მალთაყვის სარეკრეაციო ტერიტორიის განაშენიანების რეგულირების გეგმა

ურბანიკა

Urbanica LTD

Urban Planning and Architectural Design



მალთაყვის სარეკრეაციო ტერიტორიის განაშენიანების რეგულირების გეგმა

ურბანიკა

Urbanica LTD

Urban Planning and Architectural Design

სარჩევი და გრაფიკული ნაწილების ნუსხა

1	კვალიფიკაცია
2	კვალიფიკაცია
3	კვალიფიკაცია
4	კვალიფიკაცია
5	კვალიფიკაცია
6	კვალიფიკაცია
7	კვალიფიკაცია
8	კვალიფიკაცია
9	კვალიფიკაცია
10	კვალიფიკაცია
11	კვალიფიკაცია
12	ტერმინების განმარტება
13	პირობითი აღნიშვნები
14	პირობითი აღნიშვნები
15	გეგმარებითი დავალება
16	გეგმარებითი დავალება
17	გეგმარებითი დავალება
18	გეგმარებითი დავალება
19	გეგმარებითი დავალება
20	გეგმარებითი დავალება
21	გეგმარებითი დავალება
22	გეგმარებითი დავალება
23	გეგმარებითი დავალება
24	გეგმარებითი დავალება
25	გეგმარებითი დავალება
26	გეგმარებითი დავალება
27	გეგმარებითი დავალება
28	გეგმარებითი დავალება
29	გეგმარებითი დავალება
30	გეგმარებითი დავალება
31	გეგმარებითი დავალება
32	გეგმარებითი დავალება
33	გეგმარებითი დავალება
34	გეგმარებითი დავალება
35	გეგმარებითი დავალება
36	გეგმარებითი დავალება
37	გეგმარებითი დავალება
38	გეგმარებითი დავალება
39	განმარტებითი ბარათი
40	განმარტებითი ბარათი
41	განმარტებითი ბარათი
42	განმარტებითი ბარათი
43	განმარტებითი ბარათი

სარჩევი და გრაფიკული ნაწილების ნუსხა

44	განმარტებითი ბარათი
45	განმარტებითი ბარათი
46	განმარტებითი ბარათი
47	განმარტებითი ბარათი
48	განმარტებითი ბარათი
49	განმარტებითი ბარათი
50	განმარტებითი ბარათი
51	განმარტებითი ბარათი
52	განმარტებითი ბარათი
53	განმარტებითი ბარათი
54	განმარტებითი ბარათი
55	განმარტებითი ბარათი
56	განმარტებითი ბარათი
57	განმარტებითი ბარათი
58	განმარტებითი ბარათი
59	განმარტებითი ბარათი
60	განმარტებითი ბარათი
61	განმარტებითი ბარათი
62	განმარტებითი ბარათი
63	განმარტებითი ბარათი
64	განმარტებითი ბარათი
65	განმარტებითი ბარათი
66	განმარტებითი ბარათი
67	განმარტებითი ბარათი
68	განმარტებითი ბარათი
69	განმარტებითი ბარათი
70	განმარტებითი ბარათი
71	განმარტებითი ბარათი
72	განმარტებითი ბარათი
73	განმარტებითი ბარათი
74	განმარტებითი ბარათი
75	განმარტებითი ბარათი
76	განმარტებითი ბარათი
77	განმარტებითი ბარათი
78	განმარტებითი ბარათი
79	სწოტ ანალიზი
80	სწოტ ანალიზი
81	სწოტ ანალიზი
82	სწოტ ანალიზი
83	მასჰტაბების სჰედარება
84	ბათუმი
85	თბილისი
86	გონიო-კვარიათი-სარფი

სარჩევი და გრაფიკული ნაწილების ნუსხა

87	ქობულეთი
88	ურეკი-შეკვეთილი
89	საპროექტო გადაწყვეტები
90	ეტაპები და რიგითობა
91	ეტაპები და რიგითობა
92	ეტაპები და რიგითობა
93	ეტაპები და რიგითობა
94	ეტაპები და რიგითობა
95	საკადასტრო მონაცემები
96	სიტუაციური გეგმა
97	სიტუაციური გეგმა
98	საპროექტო ტერიტორიის საზღვრების რუკა
99	ტოპოგრაფიული გეგმა
100	ტერიტორიის აეროგადაღება
101	ფოტოფიქსაცია
102	ფოტოფიქსაცია
103	ფოტოფიქსაცია
104	ფოტოფიქსაცია
105	ფოტოფიქსაცია
106	ფოტოფიქსაცია
107	ფოტოფიქსაცია
108	ფოტოფიქსაცია
109	ფოტოფიქსაცია
110	ფოტოფიქსაცია
111	ფოტოფიქსაცია
112	ფოტოფიქსაცია
113	ფოტოფიქსაცია
114	ფოტოფიქსაცია
115	ფოტოფიქსაცია
116	ფოტოფიქსაცია
117	ფოტოფიქსაცია
118	ფოტოფიქსაცია
119	ფოტოფიქსაცია
120	ფოტოფიქსაცია
121	ფუნქციური ზონირების რუკა – არსებული გენ-გეგმის მიხედვით
122	ფუნქციური ზონირების რუკა – საპროექტო
123	კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების რუკა
124	გეგმარების შემზღუდავი ზონირების რუკა – გენგეგმის მიხედვით
125	გეგმარების შემზღუდავი ზონირების რუკა
126	ქალაქის ტერიტორიის გეოლოგიური რუკა გენგეგმის მიხედვით
127	სამშენებლო და არასამშენებლო ტერიტორიების რუკა
128	საპროექტო მიწადაფარულობის გეგმა
129	დადგენილი გამოყენების სახეობების რუკა

სარჩევი და გრაფიკული ნაწილების ნუსხა

130	მიწის ნაკვეთების კ1; კ2; კ3 კოეფიციენტების განსაზღვრის რუკა
131	მაქსიმალური სართულიანობისა და სიმაღლის დადგენის რუკა
132	ავტომანქანის სადგომი ადგილების რაოდენობის განსაზღვრის რუკა
133	სარეკრეაციო და გამწვანებული ტერიტორიების რუკა – გენგეგმის მი...
134	გარემოს დაცვითი ტერიტორიების რუკა
135	გარემოს დაცვითი ტერიტორიების რუკა
136	არსებული გამწვანების სქემა
137	მიწის ნაკვეთების საკუთრების რუკა
138	ადგილსამონაცვლეო მიწის ნაკვეთები
139	ადგილსამონაცვლეო მიწის ნაკვეთები
140	ადგილსამონაცვლეო მიწის ნაკვეთები
141	ადგილსამონაცვლეო მიწის ნაკვეთები
142	საპროექტო გამწვანების სქემა
143	მიწის ნაკვეთების განაწილების რუკა
144	მიწის ნაკვეთებზე შენობათა განთავსების რუკა
145	ინტენსიურობების საანგარიშო სქემა საინჟინრო ქსელებისათვის
146	არსებული საინჟინრო ინფრასტრუქტურა
147	არსებული საინჟინრო ინფრასტრუქტურა
148	არსებული საინჟინრო ინფრასტრუქტურა
149	არსებული საინჟინრო ინფრასტრუქტურა
150	არსებული საინჟინრო ინფრასტრუქტურა
151	არსებული საინჟინრო ინფრასტრუქტურა
152	არსებული ჭა-ბურღილების რუკა
153	ჰიდროგრაფიული რუკა
154	საპროექტო ობიექტებს შორის კავშირის სქემა
155	საპროექტო გზებისა და ქუჩების რუკა
156	საპროექტო საფეხმავლო და სამანქანო გზების სქემა
157	დაგეგმილი ელ. ტრანსპორტის ხაზი
158	საპროექტო გზების ჭრილები
159	საპროექტო გზების ჭრილები
160	საპროექტო გზების ჭრილები
161	საპროექტო გზების ჭრილები
162	უფლებრივი ზონირების რუკა
163	საპროექტო უბნების განაწილების სქემა
165	უბანი ა
166	უბანი ბ
167	უბანი გ
168	უბანი დ
169	უბანი ე
170	უბანი ზ
171	უბანი თ
172	უბანი ი
173	სპორტული ბაზების მასშტაბის შედარება

სარჩევი და გრაფიკული ნაწილების ნუსხა

174	უბანი კ
175	უბანი ლ
176	უბანი მ
177	უბანი ნ
178	უბანი ო
179	უბანი პ
180	უბანი ჟ
181	უბანი რ
182	უბანი ს
183	უბანი ტ
184	უბანი უ
185	უბანი ფ
186	უბანი ქ
187	უბანი ღ
188	უბანი ყ
189	უბანი შ
190	უბანი ჩ
191	უბანი წ
192	უბანი ჯ
193	უბანი ჰ
194	ვალდებულებები წყლის სპორტის სექტორებისთვის
195	ვალდებულებები სასტუმროთა სექტორებისთვის
196	ვალდებულებები სპორტული ბაზის სექტორებისთვის
197	დეტალური რეგლამენტები
198	სექტორები ა1-ა4
199	სექტორები ბ1-ბ2
200	სექტორები გ1-გ10
201	სექტორები დ1-დ28
202	სექტორები ე1-ე3
203	სექტორები ზ1-ზ4
204	სექტორები თ1-თ17
205	სექტორები ი1-ი30
206	სექტორი კ1
207	სექტორი ლ1
208	სექტორები მ1-მ5
209	სექტორი ნ1
210	სექტორი ო1
211	სექტორი პ1
212	სექტორი ჟ1
213	სექტორი რ1
214	სექტორი ს1
215	სექტორები ტ1-ტ18
216	სექტორი უ1

სარჩევი და გრაფიკული ნაწილების ნუსხა

217	სექტორები ფ1-ფ11
218	სექტორები ფ12-ფ51
219	სექტორი ქ1 - ქ2
220	სექტორი ღ1-ღ2
221	სექტორი ყ1 - ყ2
222	სექტორი ჩ1
223	სექტორი წ1
224	სექტორი წ2-წ5
225	სექტორი წ6-წ8
226	სექტორი წ9-წ10
227	სექტორი ჯ1-ჯ3
228	სექტორი ჰ1-ჰ29
229	ვიზუალიზაცია
230	ვიზუალიზაცია
231	ვიზუალიზაცია
232	ვიზუალიზაცია
233	ვიზუალიზაცია
234	ვიზუალიზაცია
235	ვიზუალიზაცია
236	ვიზუალიზაცია
237	ვიზუალიზაცია
238	ვიზუალიზაცია

შპს ურბანიკა
Urbanica LTD
Urban Planning and Architectural Design

სატიტულო ინფორმაცია

დამკვეთი

საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო
(203840433

ხელშეკრულება- სახელმწიფო შეყიდვის ხელშეკრულება N409, 06.11.2017წ (CNT170000075) სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულება ქ. ფოთში, მალთაყვის უბნის განაშენიანების რეგულირების გეგმის შემუშავების საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

შემსრულებელი

შპს "ურბანიკა"
(404493071)

ძირითადი საპროექტო ჯგუფის შემადგენლობა

ჯგუფის ხელმძღვანელი:
ირაკლი მურღულია
მერაბი მურღულია

არქიტექტორები/ურბანისტები:
გიორგი მაღალდაძე
გიორგი ბერიშვილი
დავით მატახერია
ზურაბ ჩოჩია

იურიდიული ნაწილი:
ნინო ერაგია
ეკა გამყრელიძე

შპს ურბანიკას დირექტორი
ი. მურღულია

საპროექტო ჯგუფის კვალიფიკაცია

ურბანიკა

Urbanica LTD

Urban Planning and Architectural Design

სარეგისტრაციო ნომერი – 404493071
პროფილი – არქიტექტურა, ქალაქგეგმარება
დირექტორები – ირაკლი მურღულია, მერაბ მურღულია
ელ–ფოსტა – მურგული@ყაჯოო.ცომ
მისამართი – ქ. თბილისი, მ წინამძღვრიშვილის 1 №96

გამოცდილება

- 2015 - განაშენიანების რეგულირების გეგმა – საცხოვრებელი კომპლექსი 2500 მაცხოვრებელზე თბილისში
- 2015 - კონსულტაცია ქ.ქობულეთის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის შემუშავებასთან დაკავშირებით
- 2016 - 2017 - განაშენიანების რეგულირების გეგმა – შერეული ფუნქციის კომპლექსი, თბილისი, ჯიქიას ქუჩა
- 2016 - 2017 - განაშენიანების რეგულირების გეგმა – საცხოვრებელი კომპლექსი, თბილისი, ბაღდათის ქუჩა
- 2016 - 2017 - განაშენიანების რეგულირების გეგმა – შერეული ფუნქციის კომპლექსი, თბილისი, პოლიტკოვსკაიას კუჩა
- 2016 - 2017 - განაშენიანების რეგულირების გეგმა – სამრეწველო კომპლექსი, თბილისი, დიდი ლილოს დასახლება
- 2016 - 2017 - განაშენიანების რეგულირების გეგმა – სამრეწველო კომპლექსი, თბილისი, აეროპორტის დასახლება
- 2016 - 2017 - ჩარჩო–გეგმა – ქ. თბილისში, მდინარე ვერეს ხეობა და მისი მიმდებარე ტერიტორია
- 2016 - 2017 - მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა – ბაკურიანი და დიდი მიტარბი
- 2017 - 2018 - განაშენიანების რეგულირების გეგმა – საცხოვრებელი კომპლექსი, თბილისი, დიდი დიღომი
- 2017 - 2018 - განაშენიანების რეგულირების გეგმა – სამრეწველო კომპლექსი , თბილისი, კაიროს ქ. 81
- 2017 - 2018 - განაშენიანების რეგულირების გეგმა – თბილისი, დიდი დიღომი



ირაკლი მურღულია

საკონტაქტო ინფორმაცია
ელ-ფოსტა - murguli@yahoo.com
ტელეფონი - 577171070
მისამართი - ქ. თბილისი, მ. წინამძღვრიშვილის ქ. №96; ბინა 10

ენების ცოდნა
ქართული - მშობლიური
რუსული - თავისუფლად
ინგლისური - საშუალოდ
გერმანული - საშუალოდ

განათლება

○ 1995-2000 წწ -- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, არქიტექტურის ინსტიტუტი. სპეციალობა: "არქიტექტურა"; კვალიფიკაცია: არქიტექტორი

○ 2001-2003 წწ -- საქართვე ლოს ტექნიკური უნივერსიტეტის მაგისტრატურა. სპეციალობა: "ურბანისტიკა" კვალიფიკაცია: არქიტექტურის მაგისტრი

○ 2012 წ -- სადისერტაციო თემის დაცვა, მინიჭებული ხარისხი: დოქტორი; თემის დასახელება: თბილისის სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის სრულყოფის ურბანული გადაწყვეტები

სამეცნიერო ხარისხი

○ 1999-2000 წწ -- სამშენებლო-არქიტექტურული კომპანია "კიდ-არქიტექტურა" - არქიტექტორი

○ 2000-2001 წწ -- არქიტექტურული ფირმა "კასა ბელა" - არქიტექტორი

○ 2000-2002 წწ -- არქიტექტურულ-სამშენებლო კომპანია "კულტმშენი" - არქიტექტორი

○ 2002-2003 წწ -- შპს "ა და დ" (არქიტექტურა და დიზაინი- - არქიტექტორი

○ 2003-2004 წწ -- ტრანსპორტის დაგეგმარების ბიურო ''R+T (Retxko, Topp, Darmstadt)''

○ 2003-2004 წწ -- ქალაქგეგმარებითი ბიურო ''Bachtler, Bohm und Partner'' (Kaiserslautern)

○ 2005-2008 წწ -- ქ. თბილისის მერიის ურბანული განვითარების სამსახურის, ქალაქგეგმარების განყოფილების მთავარი სპეციალისტი

○ 2009-2010 წწ -- ქ. თბილისის მერიის არქიტექტურის სამსახურის, ქალაქგეგმარების დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი

○ 2009-დღემდე -- სტუ-ს არქიტექტურის ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის, არქიტექტურის და ქალაქმშენებლობის (ურბანისტიკის) დეპარტამენტის ასისტენტ-პროფესორი

○ 2010-2012 წწ -- ქ. თბილისის მერიის არქიტექტურის სამსახურის გენგეგმის მართვისა და ქალაქგეგმარების განყოფილების უფროსი.

○ 2012-2013 წწ -- MSI GEORGIA - #G (Good Governance in Georgia) - ურბანისტი

○ 2013-2014 წწ -- CSI - სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი, ურბანისტი, - ურბანული ჯგუფის ხელძღვანელი

○ 2015- დღემდე -- შპს "ურბანიკას" დირექტორი

ჯილდოები, კონკურსები

○ 2016 წ -- 2016 წლის საუკეთესო ქალაქგეგმარებითი პროექტი (მდინარე ვერეს ხეობის რეაბილიტაცია)

განხორციელებული პროექტები

○ 2012-2013 წწ -- USAID/Georgia-s MSI GEORGIA proeqt 3G (Good Governance in Georgia)

ფარგლებში თვითმმართველი ქალაქების ურბანულ განვითარებაში დახმარება. პოზიცია: ურბანისტი,
თვითმმართველი ქალაქი რუსთავის ურბანული განვითარების სტრატეგიული გეგმის შემუშავება

○ 2012-2013 წწ -- USAID/Georgia-s MSI GEORGIA proeqt 3G (Good Governance in Georgia)

ფარგლებში თვითმმართველი ქალაქების ურბანულ განვითარებაში დახმარება. პოზიცია: ურბანისტი
თვითმმართველი ქალაქი ფოთის ურბანული განვითარების სტრატეგიული გეგმის შემუშავება

○ 2013 წ -- USAID/Georgia-s MSI GEORGIA proeqt 3G (Good Governance in Georgia) ფარგლებში,

სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის ეგიდით თვითმმართველი ქალაქ ბათუმის მერიის დახმარება.
პოზიცია: ურბანისტი, ჯგუფის ხელმძღვანელი
თვითმმართველი ქალაქი ბათუმის ურბანული განვითარების სტრატეგიული გეგმის შემუშავება

○ 2011წ, 24-28 ოქტომბერი -- ქ.თბილისში ა.ქუთათელაძის სახელობის სამხატვრო აკადემიის არქიტექტურის ფაკულტეტის, ქალაქის მ ერიის და სტუ-ს არქიტექტურის ფაკულტეტის ერთობლივი
საერთაშორისო პროექტი - ვორქშოფი :
"ქ. თბილისის ისტორიული ცენტრის რეკონსტრუქცია-რენოვაცია და რეაბილიტაცია"

○ 2013 წ -- გარდაბნის რაიონში, საერთაშორისო ლოჯისტიკური ცენტრი - პროექტის ავტორი
განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი

○ 2014 წ -- საცხოვრებელი კომპლექსი 700 მაცხოვრებელზე თბილისში - პროექტის ავტორი
განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი

○ 2014 წ -- საცხოვრებელი კომპლექსი 100 მაცხოვრებელზე თბილისში - პროექტის ავტორი
განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი

○ 2014 წ -- სასტუმრო კომპლექსი "თბილისის ზღვაზე" - პროექტის ავტორი
განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი

○ 2014 წ -- საცხოვრებელი კომპლექსი 300 მაცხოვრებელზე თბილისში - პროექტის ავტორი
განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი

○ 2015 წ -- საცხოვრებელი კომპლექსი 2500 მაცხოვრებელზე თბილისში - პროექტის ავტორი
განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი

○ 2015 წ -- ქ. ქობულეთის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა - კონსულტანტი
ქ. ქობულეთის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის შემუშავებაში კსაონსულტაცია

○ 2016-2017 წწ -- შერეული ფუნქციის კომპლექსი თბილისში, ჯიქიას ქუჩაზე
განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი

○ 2016-2017 წწ -- საცხოვრებელი ფუნქციის კომპლექსი თბილისში, თავდადებულის ქუჩაზე
განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი

○ 2016-2017 წწ -- შერეული ფუნქციის კომპლექსი თბილისში, ბაღდათის ქუჩაზე
განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი

○ 2016-2017 წწ -- შერეული ფუნქციის კომპლექსი თბილისში, პოლიტკოვსკაიას ქუჩაზე
განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი

○ 2016-2017 წწ -- სამრეწველო ფუნქციის კომპლექსი თბილისში, დიდი ლილოს დასახლებაში.
განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი

○ 2016-2017 წწ -- სამრეწველო ფუნქციის კომპლექსი თბილისში, ლილოს დასახლებაში.
განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი

○ 2016-2017 წწ -- სამრეწველო ფუნქციის კომპლექსი თბილისში, აეროპორტის დასახლებაში.
განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი

○ 2015-2016 წწ -- ჩარჩო-გეგმა - პროექტის თანაავტორი
ქ. თბილისში, მდინარე ვერეს ხეობისა და მისი მიმდებარე ტერიტორიის ჩარჩო-გეგმა

○ 2016-2017 წწ -- მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის პროექტი - პროექტის თანაავტორი
ბაკურიანისა და დიდი მიტარბის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის პროექტი



გიორგი მაღალდაძე

საკონტაქტო ინფორმაცია
ელ-ფოსტა – george.maghaldadze@gmail.com
ტელეფონი – 593 37 89 01
მისამართი – ქ. თბილისი, კოტეტიშვილის შეს №3. ბინა 6

ენების ცოდნა
ქართული – მშობლიური
რუსული – თავისუფლად
ინგლისური –თავისუფლად

განათლება

- 2000-2006 -- №47-ე საჯარო სკოლა
- 2006-2012 -- ი. ვეკუას სახელობის №42-ე ფიზიკა-მათემატიკური საჯარო სკოლა
- 2012-2016 -- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის, არქიტექტურის ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტი, არქიტექტურის ბაკალავრიატი, (მოცულობითი არქიტექტურისა და ქალაქგეგმარების მოდულები).
- 2016-2018 -- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის, არქიტექტურის ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტი, მაგისტრატურა (არქიტექტურული კონსტრუქციები).

სამსახურეობრივი გამოცდილება

- 2014-2015 -- შ.პ.ს. არქ-სტუდიოს თანამშრომელი არქიტექტორის პოზიციაზე
- 2015 -- სტაჟირება ბათუმში, დეველოპერულ კომპანია "ორბი ჯგუფში"
- 2015 -- დღემდე -- შ.პ.ს. ურბანიკას საპროექტო ჯგუფის წევრი არქიტექტორის პოზიციაზე

ტრენინგები

- 2015 წ -- არქიტექტურული ფორუმის მიერ ჩატარებული ტრეინინგი – სემინარი ორგანული არქიტექტურის თემაზე
- 2015 წ -- საქართველოს ინოვაციების სააგენტოს მიერ ჩატარებული ტრეინინგი თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარება-ათვისების საკითხში

კონკურსები და ჯილდოები

- 2015 წ -- თბილისში, სპორტის სასახლის მიმდებარედ არდებული რეკრეაციული ზონის ესკიზური პროექტის კონკურსი – საპრიზო პროექტის თანაავტორი
- 2015 წ -- აკადემიური კონკურსის ერთ-ერთი გამარჯვებული ლანდშაფტური არქიტექტურის დარგში
- 2015 წ -- სამხატვრო აკადემიისა და ტექნიკური უნივერსიტეტის ერთობლივი კლაუზურა კონკურსის სპეც პრემიის მფლობელი.
- 2016 წ -- "არქფოლიოს" დიზაინის კონკურსის გამარჯვებული.
- 2016 წ -- თბილისის განვითარების ფონდის მიერ ჩატარებული კონკურსის მონაწილე

განხორციელებული პროექტები

- 2016-2017 წწ -- შერეული ფუნქციის კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმა თბილისში, ჯიქიას ქუჩაზე - თანაავტორი
- 2016-2017 წწ -- საცხოვრებელი ფუნქციის კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმა თბილისში, დემეტრე თავდადებულის ქუჩაზე - თანაავტორი
- 2016-2017 წწ -- შერეული ფუნქციის კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმა თბილისში, ბაღდათის ქუჩაზე - თანაავტორი
- 2016-2017 წწ -- შერეული ფუნქციის კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმა და ესკიზური მოცულობითი პროექტი პოლიტკოვსკაიას ქუჩაზე - თანაავტორი
- 2016-2017 წწ -- სამრეწველო ფუნქციის კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმა თბილისში, დიდი ლილოს დასახლებაში. - თანაავტორი
- 2016-2017 წწ -- სამრეწველო ფუნქციის კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმა თბილისში, ლილოს დასახლებაში. - თანაავტორი
- 2016-2017 წწ -- სამრეწველო ფუნქციის კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმა თბილისში, აეროპორტის დასახლებაში. - თანაავტორი

- 2015-2016 წწ -- ქ. თბილისში, მდინარე ვერეს ხეობისა და მისი მიმდებარე ტერიტორიის რეაბილიტაციის ჩარჩო-გეგმა -- ტექნიკური პერსონალის წევრი
- 2016-2017 წწ -- ბაკურიანისა და დიდი მიტარბის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის პროექტი -- გის-ის სპეციალისტი, არქიტექტორი
- 2017-2018 წწ -- მალთაყვის სარეკრეაციო ტერიტორიის განაშენიანების რეგულირების პროექტი, ხელმძღვანელი ჯგუფის წევრი, არქიტექტორი.



დავით მატახერია

საკონტაქტო ინფორმაცია
ელ-ფოსტა - DATOMATAX@GMAIL.COM
ტელეფონი - 555 722 123
მისამართი - დიღმის მასივი, მე-3 კვარტალი, მე-11 კორპუსი, ბინა 56
ენების ცოდნა
ქართული - მშობლიური
რუსული - თავისუფლად
ინგლისური -თავისუფლად

განათლება

○ 2012 -2016 წწ -- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის, არქიტექტურის ურბანისტიკისა და დიზაინის
ფაკულტეტი, ბაკალავრიატი, არქიტექტურისა და ურბანისტიკის განხრით.
○ 2016-დღემდე -- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის, არქიტექტურის ურბანისტიკისა და დიზაინის
ფაკულტეტი, მაგისტრატურა (მიმდინარე)

სამსახურეობრივი გამოცდილება

○ 2014-დღემდე -- შ.პ.ს. ურბანიკას საპროექტო ჯგუფის წევრი არქიტექტორის პოზიციაზე

ტრენინგები

○ 2015 წ -- არქიტექტურული ფორუმის მიერ ჩატარებული ტრეინინგი - სემინარი ორგანული
არქიტექტურის თემაზე
○ 2015 წ -- საქართველოს ინოვაციების სააგენტოს მიერ ჩატარებული ტრეინინგი თანამედროვე
ტექნოლოგიების განვითარება-ათვისების საკითხში

კონკურსები და ჯილდოები

2015 წ -- აკადემიური კონკურსის გამარჯვებული ლანდშაფტური არქიტექტურის დარგში, ნაშრომი
გამოქვეყნდა ჟურნალ STYLE-ში

○ 2015 წ -- სამხატვრო აკადემიისა და ტექნიკური უნივერსიტეტის ერთობლივი კლაუზურა კონკურსის
მონაწილე.

განხორციელებული პროექტები

- 2014-2015 წწ -- შერეული ფუნქციის განაშენიანების რეგულირების გეგმის შემუშავება ვაშლიჯვარში, სარაჯიშვილის ქუჩაზე - თანაავტორი
განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი
- 2016-2017 წწ -- შერეული ფუნქციის კომპლექსი თბილისში, ჯიქიას ქუჩაზე - თანაავტორი
განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი
- 2016-2017 წწ -- საცხოვრებელი ფუნქციის კომპლექსი თბილისში, თავდადებულის ქუჩაზე - თანაავტორი
განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი
- 2016-2017 წწ -- შერეული ფუნქციის კომპლექსი თბილისში, ბაღდათის ქუჩაზე - თანაავტორი
განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი
- 2016-2017 წწ -- შერეული ფუნქციის კომპლექსი თბილისში, პოლიტკოვსკაიას ქუჩაზე - თანაავტორი
განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი
- 2016-2017 წწ -- სამრეწველო ფუნქციის კომპლექსი თბილისში, დიდი ლილოს დასახლებაში. - თანაავტორი
განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი
- 2016-2017 წწ -- სამრეწველო ფუნქციის კომპლექსი თბილისში, ლილოს დასახლებაში. - თანაავტორი
განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი
- 2016-2017 წწ -- სამრეწველო ფუნქციის კომპლექსი თბილისში, აეროპორტის დასახლებაში. - თანაავტორი
განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი



გიორგი ბერიშვილი

საკონტაქტო ინფორმაცია
ელ-ფოსტა - giorgi_706@yahoo.com
ტელეფონი - 598 17 13 55
მისამართი - ქ. ფოთი, გურიის 191 ბინა 21

ენების ცოდნა
ქართული - მშობლიური
რუსული - თავისუფლად
ინგლისური -თავისუფლად
მეგრული - თავისუფლად

განათლება

○ 2013-2017 წწ -- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის, არქიტექტურის
ურბანისტიკისა და დიზაინის
ფაკულტეტი, ბაკალავრიატი, არქიტექტურისა და ურბანისტიკის განხრით.
○ 2017-დღემდე -- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა
და საინჟინრო ფაკულტეტი, თანამედროვე არქიტექტურა და მდგრადი განვითარების
პროგრამა

სამსახურეობრივი გამოცდილება

○ 2017 წ - შ.პ.ს. ურბანიკას საპროექტო ჯგუფის წევრი არქიტექტორის პოზიციაზე 2017 წ
- Kobulia & Partners - პრაქტიკები
○ 2016 წ - ბაკურიანისა და დიდი მიტარბის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის
წინასაპროექტო
კვლევისა და საპროექტო ტერიტორიის აღწერის დოკუმენტური მასალის შემუშავების
მონაწილე
○ 2015 წ - ფოთის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურის და მშენებლობის სამსახური -
პრაქტიკები

ტრენინგები

○ 2016 წ - RealLab -მომავლის ქალაქმგებმარებელთა რეალური ლაბორატორია
გარე ავლაბრის განვითარების სტუდენტური პროექტის მონაწილე
○ 2017 წ - RealLab -მომავლის ქალაქმგებმარებელთა რეალური ლაბორატორია II -
პლეხანოვი განვითარების
სტუდენტური პროექტის მონაწილე
○ 2017 წ - ბრაუნშვაიგის ტექნიკური უნივერსიტეტისა და ილიას უნივერსიტის ერთობლივი
ტრენინგი Future Revisited

კონკურსები და ჯილდოები

2016 წ - საქართველოს ინოვაციების სააგენტოს მიერ ჩატარებული კონკურსის პრიზიორი
"ინოვაცია
არქიტექტურაში" ტექნოპარკში
2017 წ - აკადემიური კონკურსი ლანდშაფტურ დიზაინში



საკონტაქტო ინფორმაცია

ელ-ფოსტა - zchochia@gmail.com
ტელეფონი - 577502788
მისამართი - თბილისი, ლ. ჯავსაძის ქ. №7ა, ბინა 2

ენების ცოდნა

ქართული - მშობლიური
რუსული - თავისუფლად
ინგლისური - თავისუფლად

განათლება

- 1995-2000 წწ -- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, არქიტექტურის ინსტიტუტი
  სპეციალობა: არქიტექტურა
  კვალიფიკაცია: სპეციალისტი

სამსახურეობრივი გამოცდილება

- 2006-დღემდე -- შპს "გეოარქი"
  თანამდებობა: დამფუძნებელი, დირექტორი, მთ. არქიტექტორი

- 2015-2016 წწ -- შპს "ნიბაინვესტი"
  თანამდებობა: არქიტექტორი

- 2013-2014 წწ -- სსიპ "საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო"
  თანამდებობა: არქიტექტორი

- 2009-2013 წწ -- შპს "ჩეხური სახლი"
  თანამდებობა: არქიტექტორი, პროექტის მენეჯერი

- 2005-2008 წწ -- შპს "ქართული პროექტი"
  თანამდებობა: არქიტექტორი

- 2003-2004 წწ -- შპს "არტსტუდიო"
  თანამდებობა: არქიტექტორი

- 2001-2002 წწ -- შპს "კიდ არქიტექტურა"
  თანამდებობა: არქიტექტორი

- 1998-2000 წწ -- შპს "დეზარი"
  თანამდებობა: არქიტექტორ-პრაქტიკანტი

კონკურსები და ჯილდოები

- 1998 წ. -- მეორე პრემია, "გარე ავლაბრის რეაბილიტაციის პროექტი" თბილისი, საქართველო
- 2017 წ. -- პირველი პრემია, "ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის ინტერიერის დიზაინის პროექტი" - ჯერძო კონკურსი
- 2018 წ. -- მესამე პრემია, "ორბინიანი ინდივიდუალური შეტყუპებული სახლის არქიტექტურული პროექტი" - ჯერძო კონკურსი



საკონტაქტო ინფორმაცია

ელ-ფოსტა - zchochia@gmail.com
ტელეფონი - 577502788
მისამართი - თბილისი, ლ. ჯავსაძის ქ. №7ა, ბინა 2

ენების ცოდნა

ქართული - მშობლიური
რუსული - თავისუფლად
ინგლისური - თავისუფლად

განხორციელებული პროექტები

- 2016 წ სკვერის რეაბილიტაციის პროექტი, თბილისი, ვახტანგ გორგასლის ქუჩა - ავტორი
- 2015 წ ოფისის ინტერიერის დიზაინის პროექტი, თბილისი, ბესიკის ქ. №4 (ბესიკი ბიზნეს ცენტრი) - ავტორი
- 2014 წ მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი, თბილისი, მიცკევიჩის ქ. №56 - ავტორი
- 2014 წ 4 პროფ.სასწავლებლის უნივერსალური დიზაინის მოთხოვნებთან ადაპტურების პროექტის მომზადება, სატენდერო დოკუმენტაციის მომზადება და რეაბილიტაციის პროცესების კონტროლი, თბილისი და ახალციხე - ავტორი
- 2014 წ 25 სკოლის რეაბილიტაციის პროექტის მომზადება, სატენდერო დოკუმენტაციის მომზადება და რეაბილიტაციის პროცესების კონტროლი, ბაღდათის და მარტვილის მუნიციპალიტეტები - ავტორი
- 2013 წ 40 სკოლის რეაბილიტაციის პროექტის მომზადება, სატენდერო დოკუმენტაციის მომზადება და რეაბილიტაციის პროცესების კონტროლი, საჩხერეს და ჭიათურის მუნიციპალიტეტები - ავტორი
- 2011 წ მიკრო დასახლების პროექტი, ელიტარული უბანი "სან სითი" დაბა წყნეთი - ავტორი
- 2006-2010 წწ სასტუმრო "კარვე დიემ" დაბა გუდაური - ავტორი
- 2008 წ (ფილარმონია) თბილისის საკონცერტო დარბაზის რეაბილიტაციის პროექტი - ავტორი
- 2006 წ წეროვანის საზაფხულო რეზიდენციის რეკონსტრუქციის პროექტი - ავტორი
- 2005 წ დახურული საცურაო აუზი, საჩხერეში - თანაავტორი
- 2002 წ მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი, თბილისი, ჭონქაძის ქ. №7 - თანაავტორი

არასრული სართული – სართული, რომლის სიმაღლე, იატაკის გეგმარებითი ნიშნულიდან ჭერის კონსტრუქციის ქვედა ნიშნულამდე 1.8 მეტრიდან 2.3 მეტრამდეა;

ბაღი – გამწვანებული ტერიტორიის ნაირსახეობა, ლანდშაფტური მშენებლობის შედეგი, განკუთვნილი სარეკრეაციო მიზნებით მწვანე ნარგავების გაშენების, დაცვის, გამოფენისა და გამოყენებისათვის;

ბულვარი – გამწვანებული ტერიტორიის ნაირსახეობა, ლანდშაფტური მშენებლობის შედეგად, ქუჩის/გზის/წყლის ზედაპირის გაყოლებაზე მოწყობილი ხეივანი, განკუთვნილი ქვეითთა სასეირნოდ და დასასვენებლად;

გაზონი – ბალახით გამწვანებული, მოვლილი მიწის ფართობები ბაღებში, პარკებში, ბულვარებში, ეზოებში და სხვა;

განაშენიანების ინტენსივობა – განაშენიანების რეგულირების წესებით განსაზღვრული კონკრეტული ფუნქციური ზონებისთვის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის მაჩვენებლით განპირობებული, ტერიტორიების განაშენიანების დაბალი, საშუალო და მაღალი ინტენსივობა;

განაშენიანების სიმაღლის რეგულირების ხაზი – მიწის ნაკვეთისათვის განაშენიანების რეგულირების წესებით განსაზღვრული ჰორიზონტალური წარმოსახვითი ხაზი, რომლითაც იზღუდება მიწის ნაკვეთზე განაშენიანების სიმაღლე;

გრუნტის ზედაპირი – მიწის ნაკვეთის გრუნტის არსებული ან საპროექტო ზედაპირი;

გეგმარების შემზღუდავი ზონირება – მიწათსარგებლობის ზონირების ნაწილი, რომელიც შესაბამისი კანონმდებლობის საფუძველზე ახდენს ქალაქის ტერიტორიების იდენტიფიცირებას განაშენიანების შემზღუდავი პირობების ან/და სხვა რეგლამენტების მიხედვით;

მანსარდა – საცხოვრებლად/სამყოფად გამოყენებული სხვენი, რომლის სახურავის სიბრტყისა და ფასადის გადაკვეთის ხაზი არ შეიძლება იყოს სხვენის იატაკის გეგმარებითი ნიშნულიდან 1,6 მეტრზე მეტ სიმაღლეზე;

მიწის ნაკვეთის საზღვარი – მიწის ნაკვეთის საკადასტრო ან საპროექტო გამყოფი ხაზი;

მიწათსარგებლობის ზონირება – მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი ან/და დაგეგმვის საჭიროებიდან გამომდინარე განსაზღვრული დასახლების ტერიტორიების გარკვეული მახასიათებლებით იდენტიფიცირება;

მრავალფუნქციური შენობა – ორი ან მეტი ფუნქციის მქონე შენობა, სადაც რომელიმე ძირითადი ფუნქცია არ აღემატება შენობის საერთო ფართობის 75 %-ს;

მწვანე სახურავი – სახურავი, რომლის ფართობის არანაკლებ 50% წყალგაუმტარი შრის ზემოთ დაფარულია მცენარეული საფარით და კეთილმოწყობილია სამყოფი მიზნებისთვის;

პარკი – დასასვენებელი, გასართობი ან/და ბუნების ბინადართა დაცვის მიზნებისთვის განკუთვნილი, ბუნებრივად ან/და ხელოვნურად მცენარეული საფარით დაფარული და კეთილმოწყობილი სივრცე, რომელიც შეიძლება აერთიანებდეს სხვადასხვა გამწვანებულ ტერიტორიას;

სახურავი – შენობა-ნაგებობის ზედა დამამთავრებელი კონსტრუქციული ელემენტი, რომელიც შენობა-ნაგებობას იცავს გარემოს ზემოქმედებისგან. სახურავი შეიძლება იყოს ქანობიანი ან/და ბრტყელი (3 % ან ნაკლები ქანობით);

სკვერი – დასასვენებელი/გასართობი მიზნებისთვის განკუთვნილი საერთო სარგებლობის ბაღი;

ტერასული შენობა – რთული რელიეფის პირობებისათვის მიზანშეწონილი, რელიეფის ქანობზე საფეხურებად განვითარებადი (სადაც თითო სართული ქმნის თითო საფეხურს), სპეციფიკური სივრცით-მოცულობითი და გეგმარებითი გადაწყვეტის მქონე შენობა;

ტერიტორიულ-სტრუქტურული ზონირება – მიწათსარგებლობის ზონირების ნაწილი, რომელიც ახდენს დედაქალაქის ტერიტორიების იდენტიფიცირებას ტერიტორიულ-სტრუქტურული ნიშნით (ქალაქის ცენტრალური ზონა, შუალედური ზონა, პერიფერიული ზონა, გეგმარებითი კარკასი);

ტერიტორიის/ზონის ფუნქციური გამოყენება – ტერიტორიაზე (ფაქტობრივად) ან/და ზონაში/ქვეზონაში (ნორმატიულად) განთავსებული მიწის ნაკვეთებისა ან/და შძრავი ქონების (ობიექტების) გამოყენების სახეობა; ტერიტორიის/ზონის ფუნქციური გამოყენება ერთგვაროვანია, თუკი იქ განთავსებული მიწის ნაკვეთებისა ან/და შძრავი ქონების (ობიექტების) მინიმუმ 75% გამოყენებულია იდენტური ფუნქციით (დომინირებული სახეობა); ტერიტორიის/ზონის ფუნქციური გამოყენება შერეულია, თუკი იქ განთავსებული მიწის ნაკვეთებისა ან/და შძრავი ქონების (ობიექტების) 25%-ზე მეტია გამოყენებულია განსხვავებული ფუნქციით;

ფუნქციური ზონირება – მიწათსარგებლობის ზონირების ნაწილი, რომელიც ახდენს დასახლების ტერიტორიების იდენტიფიცირებას მათი გამოყენების ერთგვაროვანი ან შერეული სახეობის მიხედვით;

ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტი – მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა და განაშენიანების ეგზულირების გეგმა;

ღიობი – კედელში არსებული კარის, ფანჯრის, სამტრედის/სამერსხლის ღია ნაწილი ან/და ნებისმიერი ხვრეტი;

ჯიხური – საცალო ვაჭრობისა და მომსახურებისათვის განკუთვნილი 2,5 მ-მდე სიმაღლისა და 6 მ2-მდე ფართობის მქონე დროებითი შენობა.

პირობითი აღნიშვნები

კონკრეტული ფუნქციური ზონირება

- საცხოვრებელი ზონა 1
- საცხოვრებელი ზონა 2
- საცხოვრებელი ზონა 3
- საცხოვრებელი ზონა 4
- საცხოვრებელი ზონა 5
- საცხოვრებელი ზონა 6
- საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1
- საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2
- საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 3
- სატრანსპორტო ზონა 1
- სატრანსპორტო ზონა 2
- სატრანსპორტო ზონა 3
- სამრეწველო ზონა 1
- საკურორტო-რეკრეაციული ზონა 1
- საკურორტო-რეკრეაციული ზონა 2
- სარეკრეაციო ზონა 1
- სარეკრეაციო ზონა 2
- სარეკრეაციო ზონა 3
- გარემოს დამცავი ზონა 3
- სპეციალური ზონა 1
- სპეციალური ზონა 2
- სამხედრო დაცვის ზონა 1

ზოგადი ფუნქციური ზონირება

- საცხოვრებელი ზონა
- სამრეწველო ზონა
- სამხედრო დაცვის ზონა
- საკურორტო - რეკრეაციული ზონა
- სატრანსპორტო ზონა
- საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა
- სასოფლო-სამეურნეო ზონა
- სანიტარული ზონა
- საკულტო ზონა
- სატყეო ზონა
- სარეკრეაციო ზონა
- სპეციალური ზონა
- ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონა

პირობითი აღნიშვნები

ტერიტორიულ-სტრუქტურული ზონირება

- გეგმარებითი კარკასი
- ცენტრალური ზონა
- შუალედური ზონა
- პერიფერიული ზონა

გეგმარების შემზრუდავი ზონირება

- სამშენებლოდ შეზღუდული ტერიტორია
- სასაფლაოების შეზღუდვის არეალი
- მაღალი ძაბვის გადამცემი ხაზის შეზღუდვის ზოლი
- სანაპირო ზოლის შეზღუდვის არეალი
- სამხედრო დანიშნულების ობეიქტების შეზღუდვის ზონა
- განსაკუთრებული რეგულირების სარეკრეაციო ზონა
- კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლები
- კულტურული განაშენიანების სახელმწიფო დაცვის ზონა
- ისტორიული განაშენიანების რეგულირების ზონა
- არქეოლოგიური უბნები

სხვა აღნიშვნები

- ნაკვეთის საკადასტრო საზღვარი
- შენობის განთავსების არეალი
- განაშენიანების რეგულირების წითელი ხაზი
- განაშენიანების რეგულირების ლურჯი ხაზი
- შენობის სავარაუდო კონფიგურაცია
- სექტორის საზღვარი
- უბნის საზღვარი
- ვალდებულება, შეზღუდვა
- სამშენებლო ტერიტორია
- არასამშენებლო ტერიტორია
- საპროექტო ტერიტორია
- საპროექტო ტერიტორიის საზღვრები

საქართველო
ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერია
Municipality of Poti City
Poti City Hall

№ 1-03/1352 „17" მაისი 2018წ.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების
სამინისტროს სივრცითი დაგეგმარებისა და სამშენებლო
პოლიტიკის დეპარტამენტის უფროსს,
ქალბატონ ნინო გვენცაძეს

ქალბატონო ნინო,

თქვენი, 2018 წლის 10 აპრილის, №11/2920 წერილის პასუხად გეგზავნებათ, "ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მალთაყვის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების თაობაზე" ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, 2018 წლის 10 მაისის, №12/32 განკარგულების ასლი და დამტკიცებული გეგმარებითი დავალების პროექტი.

დანართი: 31 ფურცელი

პატივისცემით,

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერი გოჩა კურდღელია

შემსრულებელი:
ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურის,
სივრცითი მოწყობისა და ადმინისტრაციული ზედამხედველობის
სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი დ. ჯგერენაია

ურბანული დაგეგმარებისა და სივრცითი მოწყობის განყოფილების
უფროსი თ. დაგარგულია

საქართველოს ეკონომიკისა და
მდგრადი განვითარების სამინისტრო
შემოსულია №8685/14
„18" 05 2018წ.
1+31 ფურცელი

საქართველო, 4400, ქალაქი ფოთი, აღმაშენებლის ქ №12; ტელ/ფაქსი: 0(493)222525; 221001 ელ-ფოსტა:
poti.info@gmail.com №12, agmaSenebeli str. 4400 poti, Georgia, te/fax: (+995) 493 222525; 221001 E-mail:poti.info@gmail.com

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №12/32

2018 წლის 10 მარტი

ქალაქი ფოთი

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მალთაყვის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების თაობაზე

„ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მალთაყვის უბნის განვითარებისათვის საჭირო რიგ ღონისძიებათა განხორციელების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის, 2017 წლის 31 მარტის, №632 განკარგულების შესაბამისად, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და შპს „ურბანიკას“ შორის გაფორმებული 2017 წლის 6 ნოემბრის №409 ხელშეკრულების საფუძველზე შპს „ურბანიკამ“ მოამზადა წინასაპროექტო კვლევა - ხედვა მალთაყვის სარეკრეაციო ტერიტორიის განვითარებისათვის და მალთაყვის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალება.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიას 2018 წლის 10 აპრილს №11/2920 წერილით საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ წარუდგინა განსახილველად და კანონმდებლობით დადგენილი პროცედურების განსახორციელებლად მალთაყვის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტი.

წარმოდგენილი წინასაპროექტო კვლევა - ხედვა მალთაყვის სარეკრეაციო ტერიტორიის განვითარებისათვის და მალთაყვის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალება აკმაყოფილებს „სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ“ საქართველოს კანონის, „ტექნიკური რეგლამენტის- დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვარის №59 დადგენილების, „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებისა და სხვა ნორმატიული აქტების მოთხოვნებს.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელმა ორგანომ, განახორციელა „ტექნიკური რეგლამენტის- დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვარის №59 დადგენილებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით გათვალისწინებული ადმინისტრაციულ წარმოების ყველა პროცედურა.

ამდენად, მიზანშეწონილია ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მალთაყვის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცება.

აღნიშნულიდან გამომდინარე:

მუხლი 1.

დამტკიცდეს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მალთაყვის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალება თანახმად დანართისა.

მუხლი 2.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლის მე-2 ნაწილის, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 178-ე მუხლის შესაბამისად, განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ფოთის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტი, დავით აღმაშენებლის ქუჩა №3).

მუხლი 3.

განკარგულება ძალაშია 2018 წლის 10 მაისიდან.

საკრებულოს თავმჯდომარე ირაკლი კაკულია

მალთაყვის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალება

შეთანხმებულია:

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ

წერილი N ——————————

————— ————————————— 2018 წ

დამტკიცებულია:

ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ

დადგენილება N ——————————

————— ————————————— 2018 წ

შინაარსი

I. საერთო ნაწილი 4
1. აღწერა 4
1.1. გეგმარებითი დავალების ადგილი დაგეგმვის პროცესში 4
1.2. დოკუმენტის წყაროები..... 4
1.3. ძირითადი ცნებები და განმარტებები 5
1.4. გამოყენებული შემოკლებები 6
1.5. ჩართული მხარეები 8
II. გდ შედგენის საფუძვლები და წინაპირობები 9
2. გდ სამართლებრივი საფუძვლები 9
3. გდ წინაპირობები 9
III. დაგეგმვის მიზანი და ამოცანები 10
4. დაგეგმვის მიზანი და განვითარების წარმართველი ხაზი 10
5. დაგეგმვის ამოცანები 11
IV. დაგეგმვის საგანი და ობიექტი 12
6. დაგეგმვის ტერიტორიული ფარგლები 12
6.1. საზღვრების აღწერა 12
7. ინფორმაცია საპროექტო ტერიტორიის შესახებ 12
8. გასავითარებელი ძირითადი ფუნქციები და სიმჭიდროვეების ჩარჩო 13
9. გასავითარებელი ინფრასტრუქტურა 14
V. მოთხოვნები დაგეგმვის მიმართ 15
10. ძირითადი მოთხოვნები დაგეგმვის მიმართ 15
10.1. დაგეგმვის სახელმძღვანელო დოკუმენტები 15
10.2. დაგეგმვის ეტაპები, რიგითობა და ვადები 17
10.3. საჯაროობა და დაინტერესებულ პირთა მონაწილეობა 17
10.4. ინტერესთა შეჯერების პირობები..... 17
11. სპეციალური მოთხოვნები დაგეგმვის მიმართ 18
VI. მოთხოვნები დაგეგმარების მიმართ 18
12. გრგ შემუშავების პირობები..... 18
12.1. მოთხოვნები დოკუმენტების მიმართ: 18
13. გრგ პროექტი შემადგენლობა 20
13.1. ზონირების ნაწილი: 20
13.2. საინჟინრო ნაწილი:..... 20
13.3. ტექსტური ნაწილი:..... 21
13.4. თემატური ნაწილი: 21

წინასიტყვაობა

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მალთაყვის უბნის განაშენიანების რეგულირების გეგმის (გრგ) შემუშავების საპროექტო მომსახურების ფარგლებში, გრგ გეგმარებითი დავალების პროექტს, რომელიც შემუშავებულია სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულება N409, 06.11.2017წ (CNT170000075) საფუძველზე. მისი დანიშნულებაა გრგ შემუშავებისა და დამტკიცებისთვის, წინასაპროექტო კვლევის საფუძველზე თავი მოუყაროს იმ მოთხოვნებს, რომლებიც ადგენენ დაგეგმვის ამოცანებს, პარამეტრებს და ტერიტორიულ ფარგლებს, აგრეთვე დაგეგმვის და მისი განხორციელების ეკოლოგიურ, ტექნიკურ, საორგანიზაციო და სხვა პირობებს. აღნიშნული უნდა გახდეს საფუძველი ტერიტორიის განაშენიანების დეტალური დაგეგმვისა და დაგეგმარებისა.

მოკლედ პროექტის შესახებ:

ხელშეკრულება:	სახელმწიფო შეყიდვის ხელშეკრულება N409, 06.11.2017წ (CNT170000075) - http://tenders.procurement.gov.ge/public/?go=239075&lang=ge
შემსყიდველი:	ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო (203840433) - http://economy.ge
მიმწოდებელი:	შპს „ურბანიკა“ (404493071)
ჩართული მხარეები:	• მთავრობა; • მუნიციპალიტეტი;
დაინტერესებული უწყებები/პირები	- მუნიციპალიტეტი; - საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია; - სპორტის და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო. - გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

პოზიცია	სახელი-გვარი	ხელმოწერა
დირექტორი:	მერაბ მურღულია	
პროექტის ხელმძღვანელი:	ირაკლი მურღულია	

I. საერთო ნაწილი

1. აღწერა

წინამდებარე გეგმარებითი დავალება შედგენილია ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მალთაყვის უბნის განვითარების საფუძველი დოკუმენტის – განაშენიანების რეგულირების გეგმის შემუშავებისა (ტერიტორიის დაგეგმვა - დაგეგმარება) და დამტკიცებისათვის.

წინამდებარე გეგმარებითი დავალება მოიცავს:

1. დაგეგმვის საფუძვლებს და წინაპირობებს;
2. დაგეგმვის მიზნებს და ამოცანებს;
3. დაგეგმვის საგანს და ობიექტ(ებ)ს;
4. დაგეგმვის მიმართ მოთხოვნებს;
5. დაგეგმარების მიმართ მოთხოვნებს.

დოკუმენტის შედგენაში, ასევე დაგეგმვის და დაგეგმარების მიმართ მოთხოვნებში გათვალისწინებულია საერთაშორისო და ქვეყანაში არსებული საუკეთესო პრაქტიკა.

1.1. გეგმარებითი დავალების ადგილი დაგეგმვის პროცესში:

ეტაპი	სტადია	სტატუსი
I ეტაპი	•წინასაპროექტო კვლევა და განვითარების ხედვა	ჩაბარებულია
II ეტაპი	**•გრგ გეგმარებითი დავალება**	**მიმდინარე**
III ეტაპი	განაშენიანების რეგულირების გეგმა	
IV ეტაპი	•განაშენიანების რეგულირების წესები	

1.2. დოკუმენტის წყაროები

1. შპს ურბანიკა. წინასაპროექტო კვლევა და სტრატეგიული განვითარების ხედვა. თბილისი : შპს ურბანიკა, 2017 წელი.
2. 2013 წელს შპს გეოგრაფიკის მიერ დამუშავებული ქ. ფოთის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა.
3. 2015 წელს შპს სალი-2011-ის მიერ დამუშავებული მალთაყვის პერსპექტიული განვითარების გეგმა,
4. საქსტატი. საქსტატის ოფიციალური ვებგვერდი.

1.3. ძირითადი ცნებები და განმარტებები

1) გეგმა გრაფიკი — ხელშეკრულების დანართი 2.

2) გეოინფორმაციული სისტემა — სისტემა გეოგრაფიული სივრცის შესახებ, რომელიც ითვალისწინებს მონაცემთა შეგროვებას, შენახვას, შემოწმებას, ანალიზს, განზოგადებას, ინტერპრეტირებას და გამოისახება სივრცითი თვისებების გამოყენებით. იგი წარმოდგენილია მონაცემთა ბაზებით, რომლებიც დაკავშირებულია სივრცით მახასიათებლებთან შესაბამის პროგრამულ უზრუნველყოფაში.

3) დაგეგმარება — პროექტირება, დაგეგმვის ამოცანების შესაბამისად სივრცით-ტერიტორიული ორგანიზების გადაწყვეტების ტექსტური და გრაფიკული ასახვა (ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტის (ამ შემთხვევაში გრგ) მომზადება).

4) დაგეგმვა — სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვა და მიწათსარგებლობის დაგეგმვა.

5) დაზუსტებული საპროექტო ტერიტორია — კველვის ეტაპზე დაზუსტებული საპროექტო ტერიტორია ტექნიკური დავალების შესაბამისად.

6) დენდროლოგია — მერქნიანი მცენარეების შესწავლა, ტაქსონომია და აღწუსხვა, მათი სარგებლიანობის და გამოყენების საჭიროების დადგენის მიზნით.

7) კომპიუტერული გრაფიკა — კომპიუტერული ტექნოლოგიის (აპარატურული და პროგრამული უზრუნველყოფა) გამოყენებით შექმნილი გრაფიკა.

8) მასშტაბი — ფიზიკურ გარემოში გაზომილი სხეულების გამოხატვის/გამოხაზვის დროს შემცირების ზომა. ასევე, რუკაზე, გეგმაზე ან სქემაზე მოცემული ხაზების სიგრძის შეფარდება ამ ხაზით გამოხატულ ნამდვილ სიგრძესთან. მასშტაბი სამი სახისაა: რიცხვითი, ხაზოვანი და სიტყვიერი.

9) მემკვიდრეობითი აქტივი — ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობის უძრავი და არამატერიალური ფასეულობების (ღირებული ობიექტების და ძეგლების) ერთობლიობა;

10) მიმწოდებელი — შპს „ურბანიკა“ (404493071).

11) მომსახურება — ხელშეკრულების საგანი (მე-2 მუხლი).

12) რეგლამენტი — ტერიტორიის სივრცით-ტერიტორიული განვითარების პირობები, შეზღუდვები და შესაძლებლობები, რომელიც დგინდება განაშენიანების რეგულირების წესებით

13) საკვლევი არეალი - იგულისხმება ტექნიკური დავალების შესაბამისად განსაზღვრული ტერიტორია, საორიენტაციო საზღვრებში.

14) საკონკურსო წინადადება — მიმწოდებლის მიერ შემუშავებული გამარჯვებული საკონკურსო წინადადება.

15) საპროექტო ტერიტორია — იგულისხმება მალთაყვის გეგმარებითი ტერიტორია ტექნიკური დავალების შესაბამისად.

16) საყრდენი გეგმა — ტერიტორიის ან დასახლების არსებული (ფაქტობრივი) მიწათსარგებლობის ამსახველი დაგეგმვის საბაზისო დოკუმენტი, მომზადებული ციფრული (გის მონაცემთა ბაზაში) ან/და ბეჭდური (კარტოგრაფიული

გეგმის/რუკის) სახით. საყრდენი გეგმა, არის სივრცითი განვითარების მართვის საინფორმაციო სისტემის ნაწილი და ასახავს ტერიტორიის სივრცითი განვითარების და ფიზიკური გარემოს ფორმირების არსებულ (როგორც წესი დაგეგმვის წინა) სურათს, რომელიც სახეზეა ადამიანის სამეურნეო ან/და სხვა სახის საქმიანობის შედეგად.

17) ტექნიკური დავალება — ხელშეკრულების დანართი 1.

18) ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთება — კვლევის ნაწილი, დაგეგმვის მიზნების და ამოცანების შესაბამისად, განსაზღვრავს დაგეგმვის საჭიროებებზე საპასუხო, შემოთავაზებული იდეის/გადაწყვეტის სიცოცხლისუნარიანობას.

19) ღირებული ობიექტი — ისტორიულ-კულტურული (ურბანული, არქიტექტურული, მხატვრული, ან/და მეხსიერებითი) ღირებულების მქონე უძრავი ობიექტი (შენობა ან ნაგებობა), რომელსაც არ გააჩნია ძეგლის სტატუსი, თუმცა მემკვიდრეობითი აქტივის ნაწილად მოიაზრება.

20) შემსყიდველი — საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო (203840433)

21) ხელშეკრულება — სახელმწიფო შეყიდვის ხელშეკრულება N409, 06.11.2017წ (CNT170000075) სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულება ქ. ოთხი, მალთაყვის უბნის განაშენიანების რეგულირების გეგმის შემუშავების საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის შესახებ.

1.4. გამოყენებული შემოკლებები

1) მალთაყვა – უბანი მალთაყვა;

2) მუნიციპალიტეტი – თვითმმართველი ქალაქი ფოთის მუნიციპალიტეტი;

3) მთავრობა – საქართველოს მთავრობა;

4) პარლამენტი – საქართველოს პარლამენტი;

5) სამინისტრო – საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო (შემსყიდველი);

6) კულტურის სამინისტრო – საქართველოს კულტურუსა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო;

7) სააგენტო – საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო;

8) მგფ/ფონდი – სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი;

9) საპატრიარქო – საქართველოს საპატრიარქო, პროექტში წარმოდგენილი ალავერდის ეპარქიის სახით;

10) საჯარო რეესტრი – სსიპ საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო;

11) საქსტატი – სსიპ სტატისტიკის ეროვნული სამსახური;

12) ჯგუფი – შპს ურბანიკას საპროექტო ჯგუფი (მიმწოდებელი);

13) საკრებულო – ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულო;

14) დამკვეთი – შემსყიდველი / სამინისტრო;

15) 57 – საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის დადგენილება №57 „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“;

16) ძირითადი დებულებები – საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №59 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტი -

„დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებები“;

17) 59 / 1254 – ძირითადი დებულებები. დამტკიცებულია საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2008 წლის 8 ივლისის N1-1/1254 ბრძანებით დამტკიცებული „დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებები“;

18) რეგულირების წესები – მომსახურების დარგლებში შესამუშავებელი მალთაყვის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესები;

19) სნდწ – სამშენებლო ნორმები და წესები;

20) მგგ/გენგეგმა – მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა;

21) გრგ – განაშენიანების რეგულირების გეგმა;

22) ტდ – განაშენიანების რეგულირების გეგმის შემუშავების ტექნიკური დავალება;

23) კვლევა – გრგ გეგმარებითი დავალების შემუშავებისთვის საჭირო წინასაპროექტო კვლევა;

24) კონცეფცია – ტდ განსაზღვრული სტრატეგიული განვითარების ხედვა (კონცეფცია);

25) გდ – გრგ გეგმარებითი დავალება;

26) გის – გეოინფორმაციული სისტემა;

27) მართვის სისტემა – სივრცითი განვითარების მართვის საინფორმაციო სისტემა;

28) არეალი – საკვლევი არეალი

29) ტერიტორია – საპროექტო ტერიტორია.

1.5. ჩართული მხარეები

დამკვეთი: სამინისტრო (შემსყიდველი)
ჯგუფი: შპს ურბანიკა. შემადგენლობა დეტალურად მოცემულია კვლევაში.
ჩართული მხარეები:
• მთავრობა;
• ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტი;
• საპატრიარქო.
დაინტერესებული უწყებები ან/და იურიდიული პირები:
• სივრცითი დაგეგმარებისა და სამშენებლო პოლიტიკის დეპარტამენტი;
• საპატრიარქო.
• საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია;
• სპორტის და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო.
• გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

დოკუმენტის საბოლოო ადრესატი: მუნიციპალიტეტი

II. გდ შედგენის საფუძვლები და წინაპირობები

2. გდ სამართლებრივი საფუძვლები

გდ დავალების შედგენის სამართლებრივი საფუძველია:

დოკუმენტი	შინაარსი	რეესტრი
საქართველოს კანონი	სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ	1506–Iს, 24.06.2005წ
მთავრობის დადგენილება	განაშენიანების ძირითადი დებულებები	59, 15.01.2014წ
ხელშეკრულება	სახელმწიფო შეყიდვის შესახებ	603, 06.12.2012წ
	სახელმწიფო შეყიდვის ხელშეკრულება	N409, 06.11.2017წ

3. გდ წინაპირობები

გდ შედგენის წინაპირობაა წინასაპროექტო კვლევა, რომელიც ჩატარდა 2017 წლის 6 ნოემბრიდან 2018 წლის 6 თებერვლამდე მიმწოდებელი ჯგუფის მიერ. კვლევის საფუძველზე შეგროვებული დაგეგმვის საბაზისო მონაცემების და მათი ანალიზის შედეგების საფუძველზე ჩამოყალიბდა, წინამდებარე გდ ასახული დაგეგმვის მიზანი და ამოცანები.

კვლევის ფარგლებში შესწავლილ იქნა ტერიტორიის: ფიზიკური გარემო; დოკუმენტური მონაცემები; ჩართული მხარეების / დაინტერესებული პირების ინტერესები. კვლევის ფარგლებში შემუშავდა სტრატეგიული განვითარების ხედვა (კონცეფცია) და შესრულდა ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთება.

III. დაგეგმვის მიზანი და ამოცანები

4. დაგეგმვის მიზანი და განვითარების წარმართველი ხაზი

დაგეგმვის მიზანია,

- ჯანსაღი, უსაფრთხო და მოხერხებული ტურისტულ-სარეკრეაციო გარემოს და პირობების შექმნა;
- მდგრადი განვითარების მიზნით, ფიზიკური და იურიდიული პირების, ადგილობრივი და თვითმმართველობის ინტერესების ურთიერთშეთანხმება ტერიტორიების გამოყენებისა და განვითარების საკითხებში;
- მალთაყვისა და კოლხეთის ეროვნული პარკის ჰარმონიული განვითარება;
- ტერიტორიებისა და განაშენიანების განვითარების პრიორიტეტების დადგენა;
- მიწათსარგებლობის ზონებისა და ქვეზონების დადგენა;
- ტერიტორიების გამოყენების (მიწათსარგებლობის) და განაშენიანების პარამეტრების განსაზღვრა.
- ტურისტული ინფრასტრუქტურის და ქსელის ფორმირება.

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი საკვანძო გადაწყვეტა, საჭიროებს დაზუსტებას გრგ შემუშავების ეტაპზე და შესაძლებელია შეიცვალოს დაგეგმვის მიზნების შესაბამისად, გამოვლენილი გარემოებების გათვალისწინებით.

დამხმარე გადაწყვეტებს შორის არის:

- ტურისტული ჰაბის დაგეგმარება.
- ოქროს ტბის სპორტული კომპლექსის აღდგენა.
- კომპლექსამდე მისასვლელი გზის და დაკავშირებული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია-განვითარება:
- ტბის გაწმენდა და გაფართოვება;
- საგზაო ინფრასტრუქტურის აღდგენა-განვითარება: საგზაო მოძრაობის რეორგანიზება; პარკირება; ველობილიკები; ქუჩის პეიზაჟის განახლება-გაჯანსაღება;
- ეკო-ტრანსპორტის განვითარება.
- ტყე-პარკში სარეკრეაციო სივრცის ფორმირება და გზისპირა გამწვანების განახლება;
- საპროექტო ტერიტორიის ღირებული განაშენიანების რეაბილიტაციის სტიმულირება.
- ბულვარის განვითარება გამართული საფეხმავლო და საველოსიპედო კავშირების უზრუნველყოფა სანაპირო ზოლის აქტიურად ასათვისებლად.
- ველობილიკების დაგეგმარება.
- საზღვაო და სანაოსნო კავშირების დაგეგმვა.
- მალთაყვის ტერიტორიასთან პორტიდან საზღვაო და სახმელეთო კავშირის შექმენა.
- მდინარე კაპარჭინის გაწმენდა და სანიჩბოსნო სპორტის განვითარებისთვის არსებული ინფრასტრუქტურის შექმნა.
- სასტუმრო კომპლექსების განვითარეაბა.
- სპორტული კომპლექსებისა და ბაზების შექმნა.

- სამნადირეო ტურიზმის განვითარება.

5. დაგეგმვის ამოცანები

საკვანძო და დამხმარე გადაწყვეტების განხორციელებისთვის სამართლებრივი პირობების განსაზღვრა, მოქმედი კანონმდებლობის გათვალისწინებით:

(1) კერძო და საზოგადოებრივი ინტერესების შეჯერება განვითარების საუკეთესო სცენარის გამოვლენის მიზნით;

(2) ტერიტორიის მიწათსარგებლობის და განაშენიანების რეგულირების (მშენებლობის მართვის) საკითხების გადაწყვეტა;

(3) ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის და განვითარების საკითხების ინტეგრირება გადაწყვეტებში;

(4) დარგობრივი განვითარების პროგრამებისა და დარგობრივი გეგმების ინტეგრაცია სივრცით-ტერიტორიული განვითარების ძირითად მიმართულებებთან და შესაბამისად ასახვა გრგ-ში;

(5) ერთიანი ქალაქთმშენებლობითი კადასტრის ფორმირება.

IV. დაგეგმვის საგანი და ობიექტი

6. დაგეგმვის ტერიტორიული ფარგლები

დაგეგმვის ტერიტორიული ფარგლები მიღებულია ტდ მიხედვით და დაზუსტებულია კვლევის საფუძველზე. იხ. დანართი 1.

6.1. საზღვრების აღწერა

მალთაყვა- ტერიტორია მდებარეობს ქ.ფოთის სამხრეთ ნაწილში. საპროექტო ტერიტორია მოიცავს სანაპორო ზოლს მდ.რიონიდან კაპარჭინის არხამდე, ფოთის ადმინისტრაციულ საზღვრამდე. საპროექტო არეალის აღმოსავლეთი საზღვარი მდებარეობს კუნძულ კოლიმბარზე, და მალთაყვის ტყე-პარკის საზღვრამდე, რომელსაც ნაწილობრივ შუაზე ყოფს ფოთი-ბათუმის დამაკავშირები საგზაო მაგისტრალი. ჩრდილო აღმოსავლეთი ნაწილი კი მიუყვება მალთაყვის ტერიტორიაზე გაჩენილი ახალი რაიონიდან, ფოთის უბნის-ახალსოფლის საზღვარს. ასევე ტერიტორია მოიცავს 9 კმ-იან სანაპირო ზოლს, მდ. კაპარჭინას, კუნძულ კოლიმბარს და პალიასტომის ტბის სანაპიროს.

მოცემულ საზღვრებში გარდა სახელმწიფო (მუნიციპალიტეტის) საკუთრებაში არსებული ტერიტორიებისა მოქცეულია კერძო საკუთრებაში არსებული, განაშენიანებული ან გაუნაშენიანებელი მიწის ნაკვეთები. გრგ-ს დამუშავების პროცესში, საპროექტო წინადადების ჩამოყალიბების სტადიაში კერძო მესაკუთრეებთან შესაბამისი კონსენსუსის შემთხვევაშ შესაძლებელია მათი ჩართვა გრგ-ს პროექტში. სამართლებრივი ან/და გეგმარებითი შეუთანხმებლობის შემთხვევაშ გრგ-ს ფარგლებში ასეთი ტერიტორიებისთვის განისაზღვრება განვითარების პერსპექტივა გრგ-სგან დამოუკიდებლად ან მასთთან ერთად.

7. ინფორმაცია საპროექტო ტერიტორიის შესახებ

ქალაქ ფოთის მალთაყვის უბანი მდებარეობს კოლხეთის დაბლობის დასავლეთ ნაწილში, შავი ზღვის სანაპიროზე ფოთის უკიდურეს სამხრეთ უბანში, აღმოსავლეთით მას ესაზღვრება მდინარე კაპარჭინა და პალიასტომი, დასავლეთით შავი ზღვა, სამხრეთით მდინარე მალთაყვა. ჩრდილოეთიდან ფოთის ცენტრალური უბანი და მდინარე რიონის არხი. მალთაყვის უბანი ქ. ფოთის ცენტრიდან დაშორებულია 4 კილომეტრით დამდებარეობს ზღვის დონიდან 0,5 მ-ის სიმაღლეზე.

მალთაყვა როგორც სოფელი, შედიოდა ლანჩხუთის რაიონის შემადგენლობაში. ამჟამად არის ფოთის უკიდურესი სამხრეთი უბანი.

მალთაყვა გამოირჩევა ზღვის ნოტიო და თბილი ჰავით. ზამთარი ძლიერ რბილი და უთოვლო, იანვრის საშუალო ტემპერატურა +5, +7 გრადუსია, ზაფხული ძალზე თბილია,

აგვისტოს საშუალო ტემპერატურა +23, +24 გრადუსია. ნალექები დიდი რაოდენობითაა მთელი წლის განმავლობაში და საშუალოდ 1660 მმ-ს შეადგენს, დამახასიათებელია მაღალი შეფარდებითი ტენიანობა 78%. ტერიტორიის გახსნილობის გამო ხშირია ქარები განსაკუთრებით ზამთარში. მოსახლეობის რიცხოვნობა —9187 ადამიანი. მაღალია საშუალო ასაკის ადმიანთა ხვედრითი წილი – 60%, დაბალია შობადობის კოეფიციენტი. რელიეფის ძირითადი ფორმაა სანაპიროს გასწვრივ განვითარებული რელიქტური ქვიშიანი დიუნების ვიწრო ზოლი და მცირე კოლბოხოვანი მიკრო რელიეფი.

მალთაყვის ტერიტორიის დიდი ნაწილი უკავია ხელოვნურად გაშენებულ შერეულ ტყეს, ჩრდილო-აღმოსავლეთით კი ვრცელდება ჭარბტენიანი კოლხური რელიქტური ტყეები, რომელიც კოლხეთის დაცულ ტერიტორიებში შედის. ზღვის სანაპირო ზოლი მდიდარია მაგნეტიტით.

კოლბოხოვან მიკრორელიეფზე გვხვდება ჭილიანი, ლაქაშიანი და ლელიანი ფრაგმენტები. ჭილიანები გავრცელებულია ისეთ ადგილებზე სადაც ძლიერია ზღვის წყლის გავლენა-სველ ქვიშნარებზე, ლაგუნებზე, არხების სანაპიროზე. იქ სადაც კოლბოხებს შორის დგას წყალი,

მალთაყვის ტერიტორიაზე მდებარეობს ე.წ. „ ოქროს ტბა“ . ტბის

სანაპიროზე არის მცირე დებატიანი ჰირბოკარბონატული მინერალური წყალი. ტბაში

ბინადრობენ კობრი, ამური, კარჩხანა, შამაია, კეფალი და ზუთხი. სიგრძე 1000–1200 მეტრი,

სიგანე 120–150 მეტრი. სიღრმე შუაში 4–6 მეტრი, ფსკერი თანაბარი, ქვიშიანი. აქვს პოტენციალი გამოყენებნებულ იქნას ვარჯიშებისა და შეჯიბრებებსათვის წყალსათხილამურო სპორტში.

თვითმმართველი ქალაქი ფოთის საკრებულოს მიერ 2014 წლის 20 იანვრის #2/3

განკარგულებით დამტკიცებული კონკრეტული ფუნქციური ზონირების რუკის შეასბამისად საპროექტო ტერიტორიის უმეტესი ნაწილი ხვდება რეკრეაციულ ზონასა (რზ) და საკურორტო-სარეკრეაციო ზონა -2 -ში (სრზ 2), ხოლო სანაპირო ზოლს მთელ გაყოლებაზე ვრცელდება ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონა.

8. გასავითარებელი ძირითადი ფუნქციები და სიმჭიდროვეები

საპროექტო ტერიტორიის გეგმარებითი კარაკსი: ს-2 საავტომობილო გზის ღერძი და შავი ზღვის სანპირო ზოლი;

საპროექტო ტერიტორიის ამჟამინდელი დომინირებული ფუნქცია/ფუნქციები: საცხოვრებელი/სარეკრეაციო.

საპროექტო ტერიტორიის ამჟამინდელი საერთო შეწონილი ინტენსივობა: დაბალი

საპროექტო ტერიტორიაზე გასავითარებელი ძირითადი ფუნქციები:

• საკურორტო რეკრეაციული;

• სატრანსპორტო;

• სარეკრეაციო.

9. გასავითარებელი ინფრასტრუქტურა

• მუნიციპალური და რეგიონული ტურისტული ინფრასტრუქტურა: ერთიან ტურისტული ქსელი მემკვიდრეობითი აქტივების ინტეგრირებით; ტურისტული ჰაბის, გამანაწილებელი ცენტრის შექმნა.

• დასახლების შიდა და გარე სარეკრეაციო ინფრასტრუქტურა: მუნიციპალური სკვერები; გზისპირა გამწვანებები, მალთაყვის პასიური და აქტიური სარეკრეაციო სივრცეები; საპიკნიკე სივრცეები; ლანდშაფტურ-სარეკრეაციო სივრცეები;

• საგზაო ინფრასტრუქტურის აღდგენა-განვითარება ს-2 და პარალელური გზებისთვის: საგზაო მოძრაობის რეორგანიზება; პარკირება; ველობილიკები; ქუჩის პეიზაჟის განახლება-გაჯანსაღება;

• სოციალური ინფრასტრუქტურა: საბავშვო ბაღი, საშუალო ტექნიკური და უმაღლესი სასწავლებლები (საჭიროების შემთხვევაში);

• კომერციული ინფრასტრუქტურა: კაფეები; სასტუმროები;

• ძირითადი აქტივების დამხმარე ინფრასტრუქტურა.

V. მოთხოვნები დაგეგმვის მიმართ

10. ძირითადი მოთხოვნები დაგეგმვის მიმართ

10.1. დაგეგმვის სახელმძღვანელო დოკუმენტები

კლასიფიკაცია	შინაარსი	რეესტრი	წყარო
ორგანული კანონი	ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი	№1958-IIს, 05.02.2014წ	საკანონმდებლო მაცნე
კანონი	საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი	№2181–IIს 25.06.1999	matsne.gov.ge
	სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ	№1506–Iს, 24.06.2005წ	matsne.gov.ge
	კულტურული მემკვიდრეობის შესახებ	№4708–Iს, 08.05.2007წ	matsne.gov.ge
	გარემოს დაცვის შესახებ	№519–Iს, 10.12.1996	matsne.gov.ge
	წყლის შესახებ	№936–Iს, 16.10.1997წ	matsne.gov.ge
	საავტომობილო გზების შესახებ	№585, 11.11.1994წ	matsne.gov.ge
	საგზაო მოძრაობის შესახებ	№1830-რს, 24.12.2013წ	matsne.gov.ge
	გეოდეზიური და კარტოგრაფიული საქმიანობის შესახებ	№1345-IIს, 28.04.1998წ	matsne.gov.ge
პარლამენტის დადგენილება	მუნიციპალიტეტების გაყოფისა და თვითმმართველი თემების – მუნიციპალიტეტების შექმნის შესახებ	№2205-IIს, 04.04.2014წ	matsne.gov.ge
პრეზიდენტის ბრძანებულება	საქართველოში სახელმწიფო გეოდეზიურ კოორდინატორთა სისტემის შესახებ	№206, 30.04.1999წ	matsne.gov.ge
მთავრობის დადგენილება	განაშენიანების ძირითადი დებულებები	№59, 15.01.2014წ	matsne.gov.ge
	კულტურული მემკვიდრეობის დამცავი ზონების შემუშავების წესები	№181, 14.05.2012წ	matsne.gov.ge
	ელექტრული ქსელების ხაზობრივი ნაგებობების დაცვის წესი და მათი დაცვის ზონები	№366, 24.12.2013წ	matsne.gov.ge
	მაგისტრალური მილსადენების (ნავთობის, ნავთობპროდუქტების, ნავთობის თანმდევი და ბუნებრივი გაზის და მათი ტრანსფორმაციის	№365, 24.12.2013წ	matsne.gov.ge

	პროდუქტების) დაცვის წესისა და მათი დაცვის ზონები		
მთავრობის განკარგულება	საქართველოს საავტომობილო გზების რიგ მონაკვეთებზე რეკონსტრუქცია - მოდერნიზაციის (მშენებლობის) სამუშაოების განხორციელების მიზნით ზოგიერთ გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ	№104, 18.02.2009წ	matsne.gov.ge
მთავრობის დადგენილება	მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ	№57, 24.03.2009წ	matsne.gov.ge
საკრებულოს დადგენილება	მალთაყვის უბნის განვითარებისათვის საჭირო რიგ ღონისძიებათა განხორციელების თაობაზე	632, 31.04.2017წ	matsne.gov.ge
სტანდარტი/წესი	შინაარსი	რეესტრი	წყარო
სნდწ	ქალაქთმშენებლობა. ქალაქისა და სოფლის დასახლების დაგეგმარება და განაშენიანება.	2.07.01-89	თბ. : საქ. რესპ. არქ. და ქალაქთმშენ. სახ. კომიტეტი, 1991წ
სხვა	შინაარსი	რეესტრი	წყარო
ძეგლების სახელმწიფო რეესტრი	კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლების სახელმწიფო რეესტრი	13.01.2017წ	www.heritagesites.ge

10.2. დაგეგმვის ეტაპები, რიგითობა და ვადები

ეტაპი 1. განვითარების სტრატეგიული ხედვის მიმართ მოსაზრებების შეგროვება ანალიზი

1) მოსაზრებების პერიოდული შეგროვება ოფიციალური არხების გამოყენებით;

2) არგუმენტირებული მოსაზრებების ანალიზი და ასახვა დაგეგმვაში.

ეტაპი 2. გრგ სამუშაო ვერსია:

1) წინასწარული გადაწყვეტების წარდგენა დამკვეთისთვის და დაინტერესებული პერებისთვის;

2) წინასწარული გადაწყვეტების შეთანხმება ყველა ჩართული მხარის მიერ.

ეტაპი 3. გრგ საბოლოო ვერსია:

1) გრგ წარდგენა დამკვეთისთვის და დაინტერესებული პერებისთვის;

2) გრგ შეთანხმება ყველა ჩართული მხარის მიერ.

3) გრგ დამტკიცება საკრებულოს მიერ.

დაგეგმვისთვის განკუთვნილი ვადა განისაზღვროს ტდ შესაბამისად: 26.03.2017 – 26.07.2018

10.3. საჯაროობა და დაინტერესებულ პირთა მონაწილეობა

დაგეგმვაში საჯაროობისა და დაინტერესებულ პირთა მონაწილების უზრუნველსაყოფად პირობები მიღებულ იქნას 24-ე მუხლის, მე-4 პუნქტის შესაბამისად.

საინფორმაციო ბანერის განთავსების ადგილია: ქალაქი ფოთი, საავტომობილო გზების ს-2 და მალთაყვის პარკში შესასვლელი გზის კვეთასთან არსებული მემორიალის მიმდებარე ტერიტორია.

დაინტერესებული და მესამე პირების მხრიდან მოსაზრებების/შეფასებების მიღების პერიოდია: 2018 წლის მარტი, აპრილი, მაისი და ივნისი.

10.4. ინტერესთა შეჯერების პირობები

დაგეგმვაში ინტერესთან შეჯერების პირობები მიღებულ იქნას „სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის შესაბამისად. კერძოდ, სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის სფეროში:

საჯარო ინტერესებს განეკუთვნება: ქვეყნის დასახლებებისა და დასახლებათაშორისი ტერიტორიების მდგრადი და უსაფრთხო განვითარების პირობების უზრუნველყოფა, საინჟინრო და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის ფუნქციონირება, ბუნებრივი რესურსების, კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის, სარეკრეაციო ტერიტორიების შენარჩუნება და განვითარება. თუ სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის ღონისძიებები ეწინააღმდეგება საჯარო ინტერესებს, უნდა დაისვას მათი შეწყვეტის საკითხი.

კერძო ინტერესებს განეკუთვნება: ფიზიკურ და იურიდიულ პირთა ინტერესები, დაკავშირებული მათ საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (ობიექტების) სივრცით-ტერიტორიულ დაგეგმვასთან და განვითარებასთან, ჯანსაღ და უსაფრთხო გარემოში არსებობასთან. სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის სფეროში ფიზიკურ და იურიდიულ პირთა საქმიანობა შეიძლება შეიზღუდოს იმ შემთხვევაში, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონმდებლობას, საჯარო ინტერესებს, ხელყოფს სხვათა უფლებებს.

11. სპეციალური მოთხოვნები დაგეგმვის მიმართ

გრგ-ში განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილდეს დასაგეგმარებელ სივრცეში ბუნებრივი და ადამიანის მიერ სახეშეცვლილი გარემოს, ისტორიისა და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების, ტურისტული, სატრანსპორტო და საინჟინრო ინფრასტრუქტურის უსაფრთხო და ჰარმონიულ განვითარებას, ლანდშაფტური დაგეგმარებისა და კეთილმოწყობის საკითხებს. გრგ-ს შემუშავების პროცესში მაქსიმალურად უნდა იყოს გათვალისწინებული მდგრადი განვითარების, მწვანე ეკონომიკისა და მწვანე ლანდშაფტური დიზაინის მიდგომები და პრინციპები.

VI. მოთხოვნები დაგეგმარების მიმართ

12. გრგ შემუშავების პირობები

გრგ უნდა შემუშავდეს ქვეყანაში მოქმედი კანონმდებლობის დაცვით, რაც მითითებულია გდ II თავში და სფეროში არსებული საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინებით.

განაშენიანების რეგულირების გეგმის შემუშავება უნდა განხორციელდეს წინასაპროექტო კვლევის საფუძველზე შემუშავებული და წინამდებარე გეგმარებითი დავალებით განსაზღვრული ტერიტორიისათვის.

12.1. მოთხოვნები დოკუმენტების მიმართ:

გრგ გრაფიკული ნაწილი – გეგმები, რუკები და სქემები შესრულებული უნდა იყოს CAD და/ან გეო–ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებით და შეესაბამებოდეს თანამედროვე კარტოგრაფიულ სტანდარტებს. დოკუმენტაციის ტექსტური და გრაფიკული მასალების დაბეჭდილი და ციფრული ვერსიები, CAD და/ან გის მონაცემთა ბაზები სრულად უნდა იქნეს წარმოდგენილი (ArcGIS 10 ვერსიის პერსონალური გეო-ინფორმაციული ბაზა) შემდეგი ფენებით:

1) ადმინისტრაციული საზღვარი (ხაზოვანი, პოლიგონალური)

2) მდინარე (ხაზოვანი, პოლიგონალური)

3) საპროექტო გზა/ქუჩა

4) საპროექტო გზა/ქუჩის გასხვისების ზონა

5) საპროექტო ტროტუარი/საფეხმავლო ზონა

6) საპროექტო ველო-ბილიკი

7) ფუნქციური ზონირება

8) განაშენიანების რეგულირების ხაზი

9) საინჟინრო ინფრასტრუქტურის გასხვისების ზონა

პერსონალური გეომონაცემთა ბაზა უნდა იყოს WGS 84\UTM 38N საქართველოს სახელმწიფო საკოორდინატო სისტემაში.

 გეო-ინფორმაციული მასალების (იგულისხმება გარკვეული ფენები) საბოლოო ვერსია უნდა იქნეს შემოწმებული ტოპოლოგიურ შეცდომებზე (ტოპოლოგიური სიზუსტე 0.025 მ).

საპროექტო დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იყოს A-4/A-3 ფორმატის, აკინძული ალბომის სახით:

– სათაური;

– სატიტულო ფურცელი, დამოწმებული ორგანიზაციის ბეჭდით, ხელმძღვანელისა და პროექტის ავტორ(ებ)ის ხელმოწერ(ებ)ით;

– ალბომის შემადგენლობა;

– პროექტის შემადგენლობა;

– შესაბამისი ტექსტური ნაწილ(ებ)ი, დადასტურებული შემსრულებლ(ებ)ის/ ავტორ(ებ)ის მიერ - A-4 ფორმატი;

– გრაფიკული ნაწილ(ებ)ი, შტამპით და ჩარჩოთი - A-3 ფორმატი (გამონაკლის შემთხვევაში დასაშვებია განსხვავებული ფორმატის წარმოდგენა, ალბომში აკინძული A3 ფორმატის ზომაზე), დადასტურებული ხელმძღვანელის, პროექტის ავტორ(ებ)ის/შემსრულებლ(ებ)ის მიერ ხელმოწერებით.

13. გრგ პროექტი შემადგენლობა

განაშენიანების რეგულირების გეგმა უნდა შედგებოდეს:

13.1. ზონირების ნაწილი:

ზონირების ნაწილი წარმოადგენს საპროექტო ტერიტორიის მიწათსარგებლობის კონკრეტულ უფლებრივ ზონირებას, რომელიც შესაძლებელია მოიცავდეს:

ა) მიწის ნაკვეთის განაშენიანების კოეფიციენტებს;

ბ) მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტებს;

გ) მიწის ნაკვეთის გამწვანების კოეფიციენტებს;

დ) საპროექტო ტერიტორიაზე მიწის ნაკვეთების განაწილების რუკას (მიწის ნაკვეთის ნომრის და ფართობის ჩვენებით);

ე) განაშენიანების რეგულირების ხაზებს (წითელ ხაზებს);

ვ) განაშენიანების სავალდებულო ხაზებს (ლურჯ ხაზებს);

ზ) მიწის ნაკვეთებზე შენობათა განთავსების სქემებს.

13.2. საინჟინრო ნაწილი:

საინჟინრო ნაწილი უნდა მოიცავდეს: საპროექტო ტერიტორიაზე ძირითადი და ლოკალური გზების და ქუჩების ქსელის რუკას.

საინჟინრო ნაწილი შესაძლებელია მოიცავდეს:

ა) საპროექტო ტერიტორიაზე წყალსადენის და საყოფაცხოვრებო წყალარინების ძირითადი და ლოკალური ქსელის რუკას, კონკრეტული მიწის ნაკვეთებისთვის განკუთვნილი სიმძლავრეების მითითებით;

ბ) საპროექტო ტერიტორიაზე ელექტრომომარაგების ძირითადი და ლოკალური ქსელის რუკას, კონკრეტული მიწის ნაკვეთებისთვის განკუთვნილი სიმძლავრეების მითითებით;

გ) საპროექტო ტერიტორიაზე ბუნებრივი აირით მომარაგების ძირითადი და ლოკალური ქსელის რუკას, კონკრეტული მიწის ნაკვეთებისთვის განკუთვნილი სიმძლავრეების მითითებით;

დ) საპროექტო ტერიტორიაზე სანიაღვრე წყალარინების ძირითადი და ლოკალური ქსელის რუკას, კონკრეტული მიწის ნაკვეთებისთვის განკუთვნილი სიმძლავრეების მითითებით.

13.3. ტექსტური ნაწილი:

ტექსტური ნაწილი მოიცავს:

ა) განაშენიანების რეგულირების გეგმის აღწერას;

ბ) განაშენიანების რეგულირების გეგმის განმარტებით ბარათს (მ.შ. მალთაყვის განვითარების ძლიერი და სუსტი მხარეების, შესაძლებლობებისა და საფრთხეების ანალიზი; განვითარების ოპტიმალური ვარიანტი და ,,ხედვა“);

გ) განაშენიანების რეგულირების გეგმის ეფექტიანობის (ხეირიანობის) შეფასებას;

დ) განაშენიანების რეგულირების გეგმის განხორციელების ეტაპებს და რიგითობას;

13.4. თემატური ნაწილი:

თემატური ნაწილი შეიძლება მოიცავდეს მოთხოვნებს ტერიტორიების განვითარებისა და ახალმშენებლობის შესახებ:

ა) რეკონსტრუქციისა და განვითარების არეალების იდენტიფიკაცია ასაღები და შესანარჩუნებელი შენობების მითითებით);

ბ) ახალმშენებლობის დასაშვები პარამეტრები (მასშტაბი, სიმაღლე, სივრცითი და გეგმარებითი კონფიგურაცია, ფასადების რითმი);

გ) მოთხოვნებს საზოგადოებრივი სივრცის კეთილმოწყობის თაობაზე.

განმარტებითი ბარათის შინაარსი

წინასიტყვაობა 40
მოკლედ პროექტის შესახებ: 40
ძირითადი ცნებები და განმარტებები 41
გამოყენებული შემოკლებები 42
ჩართული მხარეები 43
დაგეგმვის მიზანი და ამოცანები 44
დაგეგმვის საგანი და ობიექტი 45
საპროექტო გადაწყვეტები 47
ტურიზმის განვითარების სტრატეგიული ხედვა 54
სპორტული ინფრასტრუქტურა, არსებული მდგომარეობა და განვითარების პერსპექტივები 62
გარემოს დაცვა 66
უბნებად და სექტორებად დაყოფის პრინციპები 69
განვითარების პრინციპები 74

წინასიტყვაობა

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მალთაყვის უბნის განაშენიანების რეგულირების გეგმის (გრგ) შემუშავების საპროექტო მომსახურების ფარგლებში, გრგ-ს საბოლოო ვერსიას, რომელიც შემუშავებულია სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულება N409, 06.11.2017წ (CNT170000075) საფუძველზე. იგი ასახავს დაგეგმვის და მისი განხორციელების ეკოლოგიურ, ტექნიკურ, საორგანიზაციო და სხვა პირობებს. აღნიშნული უნდა გახდეს საფუძველი ტერიტორიის განაშენიანების არქიტექტურული და ლანდშაფტური დეტალური დაგეგმვისა და დაგეგმარებისა.

მოკლედ პროექტის შესახებ:

ხელშეკრულება:
სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულება N409, 06.11.2017წ (CNT170000075) - http://tenders.procurement.gov.ge/public/?go=239075&lang=gef

შემსყიდველი:
საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო (203840433)

მიმწოდებელი:
შპს „ურბანიკა“ (404493071)

ჩართული მხარეები:
•მთავრობა;
•მუნიციპალიტეტი;

დაინტერესებული უწყებები/პირები
- მუნიციპალიტეტი;
- საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია;
- სპორტის და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო.
- გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

საბოლოო სამუშაო ვერსიის ადგილი დაგეგმვის პროცესში:

I ეტაპი	წინასაპროექტო კვლევა და განვითარების ხედვა	ჩაბარებულია
II ეტაპი	გრგ გეგმარებითი დავალება	ჩაბარებულია
III-ა ეტაპი	საწყისი სამუშაო ვერსია	ჩაბარებულია
III-ბ ეტაპი	განაშენიანების რეგულირების გეგმა	მიმდინარე

ძირითადი ცნებები და განმარტებები

1) გეგმა გრაფიკი — ხელშეკრულების დანართი 2.

2) გეოინფორმაციული სისტემა — სისტემა გეოგრაფიული სივრცის შესახებ, რომელიც ითვალისწინებს მონაცემთა შეგროვებას, შენახვას, შემოწმებას, ანალიზს, განზოგადებას, ინტერპრეტირებას და გამოისახება სივრცითი თვისებების გამოყენებით. იგი წარმოდგენილია მონაცემთა ბაზებით, რომლებიც დაკავშირებულია სივრცით მახასიათებლებთან შესაბამის პროგრამულ უზრუნველყოფაში.

3) დაგეგმარება— პროექტირება, დაგეგმვის ამოცანების შესაბამისად სივრცით-ტერიტორიული ორგანიზების გადაწყვეტების ტექსტური და გრაფიკული ასახვა (ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტის (ამ შემთხვევაში გრგ) მომზადება).

4) დაგეგმვა— სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვა და მიწათსარგებლობის დაგეგმვა.

5) დაზუსტებული საპროექტო ტერიტორია — კვლევის ეტაპზე დაზუსტებული საპროექტო ტერიტორია ტექნიკური დავალების შესაბამისად.

6) დენდროლოგია— მერქნიანი მცენარეების შესწავლა, ტაქსონომია და აღწუსხვა, მათი სარგებლიანობის და გამოყენების საჭიროების დადგენის მიზნით.

7) კომპიუტერული გრაფიკა — კომპიუტერული ტექნოლოგიის (აპარატურული და პროგრამული უზრუნველყოფა) გამოყენებით შექმნილი გრაფიკა.

8) მასშტაბი— ფიზიკურ გარემოში გაზომილი სხეულების გამოხატვის/გამოხაზვის დროს შემცირების ზომა. ასევე, რუკაზე, გეგმაზე ან სქემაზე მოცემული ხაზების სიგრძის შეფარდება ამ ხაზით გამოხატულ ნამდვილ სიგრძესთან. მასშტაბი სამი სახისაა: რიცხვითი, ხაზოვანი და სიტყვიერი.

9) მემკვიდრეობითი აქტივი — ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობის უძრავი და არამატერიალური ფასეულობების (ღირებული ობიექტების და ძეგლების) ერთობლიობა;

10) მიმწოდებელი— შპს „ურბანიკა“ (404493071).

11) მომსახურება— ხელშეკრულების საგანი (მე-2 მუხლი).

12) რეგლამენტი— ტერიტორიის სივრცით-ტერიტორიული განვითარების პირობები, შეზღუდვები და შესაძლებლობები, რომელიც დგინდება განაშენიანების რეგულირების წესებით

13) საკვლევი არეალი - იგულისხმება ტექნიკური დავალების შესაბამისად განსაზღვრული ტერიტორია, საორიენტაციო საზღვრებში.

14) საკონკურსო წინადადება — მიმწოდებლის მიერ შემუშავებული გამარჯვებული საკონკურსო წინადადება.

15) საპროექტო ტერიტორია — იგულისხმება მალთაყვის გეგმარებითი ტერიტორია ტექნიკური დავალების შესაბამისად.

16) საყრდენი გეგმა — ტერიტორიის ან დასახლების არსებული (ფაქტობრივი) მიწათსარგებლობის ამსახველი დაგეგმვის საბაზისო დოკუმენტი, მომზადებული ციფრული (გის მონაცემთა ბაზაში) ან/და ბეჭდური (კარტოგრაფიული გეგმის/რუკის) სახით. საყრდენი გეგმა, არის სივრცითი განვითარების მართვის საინფორმაციო სისტემის ნაწილი და ასახავს ტერიტორიის სივრცითი განვითარების და ფიზიკური გარემოს ფორმირების არსებულ (როგორც წესი დაგეგმვის წინა) სურათს, რომელიც სახეზეა ადამიანის სამეურნეო ან/და სხვა სახის საქმიანობის შედეგად.

17) ტექნიკური დავალება — ხელშეკრულების დანართი 1.

18) ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთება — კვლევის ნაწილი, დაგეგმვის მიზნების და ამოცანების შესაბამისად, განსაზღვრავს დაგეგმვის საჭიროებებზე საპასუხო, შემოთავაზებული იდეის/გადაწყვეტის სიცოცხლისუნარიანობას.

19) ღირებული ობიექტი — ისტორიულ-კულტურული (ურბანული, არქიტექტურული, მხატვრული, ან/და მეხსიერებითი) ღირებულების მქონე უძრავი ობიექტი (შენობა ან ნაგებობა), რომელსაც არ გააჩნია ძეგლის სტატუსი, თუმცა მემკვიდრეობითი აქტივის ნაწილად მოიაზრება.

20) შემსყიდველი — საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო (203840433)

21) ხელშეკრულება— სახელმწიფო შეყიდვის ხელშეკრულება N409, 06.11.2017წ (CNT170000075) სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულება ქ. ფოთში, მალთაყვის უბნის განაშენიანების რეგულირების გეგმის შემუშავების საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის შესახებ.

გამოყენებული შემოკლებები

1) მალთაყვა– უბანი მალთაყვა;

2) მუნიციპალიტეტი– თვითმმართველი ქალაქი ფოთის მუნიციპალიტეტი;

3) მთავრობა– საქართველოს მთავრობა;

4) პარლამენტი– საქართველოს პარლამენტი;

5) სამინისტრო– საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო (შემსყიდველი);

6) კულტურის სამინისტრო – საქართველოს კულტურუსა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო;

7) სააგენტო– საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო;

8) მგფ/ფონდი – სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი;

9) საპატრიარქო– საქართველოს საპატრიარქო, პროექტში წარმოდგენილი ალავერდის ეპარქიის სახით;

10) საჯარო რეესტრი – სსიპ საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო;

11) საქსტატი– სსიპ სტატისტიკის ეროვნული სამსახური;

12) ჯგუფი– შპს ურბანიკას საპროექტო ჯგუფი (მიმწოდებელი);

13) საკრებულო– ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულო;

14) დამკვეთი– შემსყიდველი / სამინისტრო;

15) 57 – საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის დადგენილება №57 „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“;

16) ძირითადი დებულებები – საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №59 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტი – „დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებები“;

17) 59 / 1254 – ძირითადი დებულებები. დამტკიცებულია საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2008 წლის 8 ივლისის N1-1/1254

ბრძანებით დამტკიცებული „დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებები“;

18) რეგულირების წესები – მომსახურების დარგლებში შესამუშავებელი მალთაყვის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესები;

19) სნდწ– სამშენებლო ნორმები და წესები;

20) მგგ/გენგეგმა – მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა;

21) გრგ– განაშენიანების რეგულირების გეგმა;

22) ტდ– განაშენიანების რეგულირების გეგმის შემუშავების ტექნიკური დავალება;

23) კვლევა– გრგ გეგმარებითი დავალების შემუშავებისთვის საჭირო წინასაპროექტო კვლევა;

24) კონცეფცია– ტდ განსაზღვრული სტრატეგიული განვითარების ხედვა (კონცეფცია);

25) გდ– გრგ გეგმარებითი დავალება;

26) გის– გეოინფორმაციული სისტემა;

27) მართვის სისტემა – სივრცითი განვითარების მართვის საინფორმაციო სისტემა;

28) არეალი– საკვლევი არეალი

29) ტერიტორია– საპროექტო ტერიტორია.

ჩართული მხარეები

დამკვეთი: რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო (შემსყიდველი)

ჯგუფი: შპს ურბანიკა. შემადგენლობა დეტალურად მოცემულია კვლევაში.

ჩართული მხარეები:

•მთავრობა;

•ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტი;

დაინტერესებული უწყებები ან/და იურიდიული პირები:

•სივრცითი დაგეგმარებისა და სამშენებლო პოლიტიკის დეპარტამენტი;

•საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია;

•სპორტის და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო.

•გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

დოკუმენტის საბოლოო ადრესატი: მუნიციპალიტეტი

დაგეგმვის მიზანი და ამოცანები

დაგეგმვის მიზანია,

• ჯანსაღი, უსაფრთხო და მოხერხებული ტურისტულ-სარეკრეაციო გარემოს და პირობების შექმნა;

• მდგრადი განვითარების მიზნით, ფიზიკური და იურიდიული პირების, ადგილობრივი და თვითმმართველობის ინტერესების ურთიერთშეთანხმება ტერიტორიების გამოყენებისა და განვითარების საკითხებში;

• მალთაყვისა და კოლხეთის ეროვნული პარკის ჰარმონიული განვითარება;

• ტერიტორიებისა და განაშენიანების განვითარების პრიორიტეტების დადგენა;

• მიწათსარგებლობის ზონებისა და ქვეზონების დადგენა;

• ტერიტორიების გამოყენების (მიწათსარგებლობის) და განაშენიანების პარამეტრების განსაზღვრა.

• ტურისტული ინფრასტრუქტურის და ქსელის ფორმირება.

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი საკვანძო გადაწყვეტა, გათვალისწინებულია დაგეგმვის მიზნების შესაბამისად, გამოვლენილი გარემოებების გათვალისწინებით.

დამხმარე გადაწყვეტებს შორის არის:

• ტურისტული ჰაბის დაგეგმარება.

• ოქროს ტბის სპორტული კომპლექსის აღდგენა.

• კომპლექსამდე მისასვლელი გზის და დაკავშირებული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია-განვითარება:

• ტბის გაწმენდა და გაფართოვება;

• საგზაო ინფრასტრუქტურის აღდგენა-განვითარება: საგზაო მოძრაობის რეორგანიზება; პარკირება; ველობილიკები; ქუჩის კეთილმოწყობა-გაჯანსაღება;

• ეკო-ტრანსპორტის განვითარება.

• ტყე-პარკში სარეკრეაციო სივრცის ფორმირება და გზისპირა გამწვანების განახლება;

• საპროექტო ტერიტორიის ღირებული განაშენიანების რეაბილიტაციის სტიმულირება.

• ბულვარის განვითარება გამართული საფეხმავლო და საველოსიპედო კავშირების უზრუნველყოფა სანაპირო ზოლის აქტიურად ასათვისებლად.

• ველობილიკების დაგეგმარება.

• საზღვაო და სანაოსნო კავშირების დაგეგმვა.

• მალთაყვის ტერიტორიასთან პორტიდან საზღვაო და სახმელეთო კავშირის შექმენა.

• მდინარე კაპარჭინის გაწმენდა და სანიჩბოსნო სპორტის განვითარებისთვის არსებული ინფრასტრუქტურის შექმნა.

• სასტუმრო კომპლექსების განვითარება.

• სპორტული კომპლექსებისა და ბაზების შექმნა.

• აგრო ტურიზმის განვითარება.

დაგეგმვის ამოცანები

საკვანძო და დამხმარე გადაწყვეტების განხორციელებისთვის სამართლებრივი პირობების განსაზღვრა, მოქმედი კანონმდებლობის გათვალისწინებით:

-კერძო და საზოგადოებრივი ინტერესების შეჯერება განვითარების საუკეთესო სცენარის გამოვლენის მიზნით;

-ტერიტორიის მიწათსარგებლობის და განაშენიანების რეგულირების (მშენებლობის მართვის) საკითხების გადაწყვეტა;

-ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის და განვითარების საკითხების ინტეგრირება გადაწყვეტებში;

-დარგობრივი განვითარების პროგრამებისა და დარგობრივი გეგმების ინტეგრაცია სივრცით-ტერიტორიული განვითარების ძირითად მიმართულებებთან და შესაბამისად ასახვა გრგ-ში;

-ერთიანი ქალაქთმშენებლობითი კადასტრის ფორმირება.

დაგეგმვის საგანი და ობიექტი

დაგეგმვის ტერიტორიული ფარგლები

დაგეგმვის ტერიტორიული ფარგლები მიღებულია ტდ მიხედვით და დაზუსტებულია კვლევის საფუძველზე.

-საზღვრების აღწერა

მალთაყვა- ტერიტორია მდებარეობს ქ.ფოთის სამხრეთ ნაწილში. საპროექტო ტერიტორია მოიცავს სანაპორო ზოლს მდ.რიონიდან კაპარჭინის არხამდე, ფოთის ადმინისტრაციულ საზღვრამდე. საპროექტო არეალის აღმოსავლეთი საზღვარი მდებარეობს კუნძულ კოლიმბარზე, და მალთაყვის ტყე-პარკის საზღვრამდე, რომელსაც ნაწილობრივ შუაზე ყოფს ფოთი-ბათუმის დამაკავშირებელი საგზაო მაგისტრალი. ჩრდილო აღმოსავლეთი ნაწილი კი მიუყვება მალთაყვის ტერიტორიაზე გაჩენილი ახალი რაიონიდან, ფოთის უბნის- ახალსოფლის საზღვარს. ასევე ტერიტორია მოიცავს 9 კმ-იან სანაპირო ზოლს, მდ. კაპარჭინას, კუნძულ კოლიმბარს და პალიასტომის ტბის სანაპიროს.

მოცემულ საზღვრებში გარდა სახელმწიფო (მუნიციპალიტეტის) საკუთრებაში არსებული ტერიტორიებისა მოქცეულია კერძო საკუთრებაში არსებული, განაშენიანებული ან გაუნაშენიანებელი მიწის ნაკვეთები. გრგ-ს დამუშავების პროცესში, საპროექტო წინადადების ჩამოყალიბების სტადიაში კერძო მესაკუთრეებთან შესაბამისი კონსენსუსის შემთხვევაში შესაძლებელია მათი ჩართვა გრგ-ს პროექტში. სამართლებრივი ან/და გეგმარებითი შეუთანხმებლობის შემთხვევაშ გრგ-ს ფარგლებში ასეთი ტერიტორიებისთვის განისაზღვრება განვითარების პერსპექტივა გრგ-სგან დამოუკიდებლად ან მასთან ერთად.

ინფორმაცია საპროექტო ტერიტორიის შესახებ

ქალაქ ფოთის მალთაყვის უბანი მდებარეობს კოლხეთის დაბლობის დასავლეთ ნაწილში, შავი ზღვის სანაპიროზე ფოთის უკიდურეს სამხრეთ უბანში, აღმოსავლეთით მას ესაზღვრება მდინარე კაპარჭინა და პალიასტომი, დასავლეთით შავი ზღვა, სამხრეთით მდინარე მალთაყვა. ჩრდილოეთიდან ფოთის ცენტრალური უბანი და მდინარე რიონის არხი.მალთაყვის უბანი ქ. ფოთის ცენტრიდან დაშორებულია 4 კილომეტრით დამდებარეობს ზღვის დონიდან 0,5 მ-ის სიმაღლეზე.

მალთაყვა როგორც სოფელი, შედიოდა ლანჩხუთის რაიონის შემადგენლობაში. ამჟამად არის ფოთის უკიდურესი სამხრეთი უბანი.

მალთაყვა გამოირჩევა ზღვის ნოტიო და თბილი ჰავით. ზამთარი ძლიერ რბილი და უთოვლო, იანვრის საშუალო ტემპერატურა +5, +7 გრადუსია, ზაფხული ძალზე თბილია,

აგვისტოს საშუალო ტემპერატურა +23, +24 გრადუსია. ნალექები დიდი რაოდენობითაა მთელი წლის განმავლობაში და საშუალოდ 1660 მმ-ს შეადგენს, დამახასიათებელია მაღალი შეფარდებითი ტენიანობა 78%. ტერიტორიის გახსნილობის გამო ხშირია ქარები განსაკუთრებით ზამთარში. მოსახლეობის რიცხოვნობა —9187 ადამიანი. მაღალია საშუალო ასაკის ადმიანთა ხვედრითი წილი – 60%, დაბალია შობადობის კოეფიციენტი. რელიეფის ძირითადი ფორმაა სანაპიროს გასწვრივ განვითარებული რელიქტური ქვიშიანი დიუნების ვიწრო ზოლი და მცირე კოლბოხოვანი მიკრო რელიეფი.

მალთაყვის ტერიტორიის დიდი ნაწილი უკავია ხელოვნურად გაშენებულ შერეულ ტყეს, ჩრდილო-აღმოსავლეთით კი ვრცელდება ჭარბტენიანი კოლხური რელიქტური ტყეები, რომელიც კოლხეთის დაცულ ტერიტორიებში შედის. ზღვის სანაპირო ზოლი მდიდარია მაგნეტიტით.

კოლბოხოვან მიკრორელიეფზე გვხვდება ჭილიანი, ლაქაშიანი და ლელიანი ფრაგმენტები. ჭილიანები გავრცელებულია ისეთ ადგილებზე სადაც ძლიერია ზღვის წყლის გავლენა-სველ ქვიშნარებზე, ლაგუნებზე, არხების სანაპიროზე.იქ სადაც კოლბოხებს შორის დგას წყალი,

მალთაყვის ტერიტორიაზე მდებარეობს ე.წ. „ ოქროს ტბა“ . ტბის

სანაპიროზე არის მცირე დებატიანი ჰირბოკარბონატული მინერალური წყალი. ტბაში

ბინადრობენ კობრი, ამური, კარჩხანა, შამაია, კეფალი და ზუთხი. სიგრძე 1000–1200 მეტრი,

სიგანე 120–150 მეტრი. სიღრმე შუაში 4–6 მეტრი, ფსკერი თანაბარი, ქვიშიანი. აქვს პოტენციალი გამოყენებულ იქნას ვარჯიშებისა და შეჯიბრებებისათვის წყალსათხილამურო სპორტში.

თვითმმართველი ქალაქი ფოთის საკრებულოს მიერ 2014 წლის 20 იანვრის №2/3განკარგულებით დამტკიცებული კონკრეტული ფუნქციური ზონირების რუკის შესაბამისად საპროექტო ტერიტორიის უმეტესი ნაწილი ხვდება რეკრეაციულ ზონასა (რზ) და საკურორტო-სარეკრეაციო ზონა -2 -ში (სრზ 2), ხოლო სანაპირო ზოლს მთელ გაყოლებაზე ვრცელდება ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონა.

გასავითარებელი ძირითადი ფუნქციები და სიმჭიდროვეები

საპროექტო ტერიტორიის გეგმარებითი კარაქსი: ს-2 საავტომობილო გზის ღერძი და შავი ზღვის სანაპირო ზოლი;

საპროექტო ტერიტორიის ამჟამინდელი დომინირებული ფუნქცია/ფუნქციები: საცხოვრებელი/სარეკრეაციო.

საპროექტო ტერიტორიის ამჟამინდელი საერთო შეწონილი ინტენსივობა: დაბალი

საპროექტო ტერიტორიაზე გასავითარებელი ძირითადი ფუნქციები:

- საკურორტო რეკრეაციული;
- საცხოვრებელი;
- საგანმანათლებლო;
- სპორტულ-გამაჯანსაღებელი;
- სატრანსპორტო;
- სარეკრეაციო.

საპროექტო გადაწყვეტები

გეოლოგია

საპროექტო ტერიტორია ხასიათდება შემდეგი ბუნებრივი და საინჟინრო გეოლოგიური პირობებით:

ადმინისტრაციულად მდებარეობს ქ. ფოთში, მალთაყვის უბანში.

კლიმატი სუბტროპიკულია, გაბატონებულია სამხრეთ-დასავლეთისა და აღმოსავლეთის მიმართულების ქარი.

კლიმატური პირობების მახასიათებლები:

- საშუალო წლიური ტემპერატურა +14°
- აბსოლუტური მინიმუმ −13°
- აბსოლუტური მაქსიმუმი +41°
- ქარის უდიდესი სიჩქარე 38 მ/წ
- ქარის წნევის ნორმატიული მნიშვნელობა 5წ.-ში ერთხელ 0.6 კპა
- იგივე 15 წ.-ში ერთხელ 0.85 კპა
- ჰაერის ფარდობითი ტენიანობა 78%
- ნალექების საშ. წლიური რაოდენობა 1720 მმ
- ნალექების სადღეღამისო მაქს. რაოდენობა 268 მმ
- თოვლის საფარის დღეთა რიცხვი 6 დღე

ტექტონიკურად ს/ტ მდებარეობს კოლხეთის დაბლობზე, საქართველოს ბელტის დასავლეთ დაძირვის ზონის უკიდურეს დასავლეთ ნაწილზე.

გეომორფოლოგიურადს/ტგანლაგებულია ორ გეომორფოლოგიურ ელემენტზე, ამიტომ გეომორფოლოგიურად ის მიეკუთვნება მეორე კატეგორიას.

რელიეფის ძირითადი ფორმაა სანაპიროს გასწვრივ განვითარებულია რელიქტური ქვიშიანი დიუნების ზოლი და მცირე კოლბოხოვანი მიკრორელიეფ.

ტერიტორიის დიდი ნაწილი უკავია ხელოვნურდა გაშენებულ შერეულ ტყეს.

კოლბოხოვან მიკრორელიეფზე გვხვდება ჭილიანი, ლაქაშიანი და ლელიანი ფრაგმენტები.

ჭილიანები გავრცელებულია ისეთ ადგილებზე, სადაც ძლიერია ზღვის წყლის გავლენა სველ ქვიშნარებზე, ლაგუნებზე და არხების სანაპიროზე.

იქ სადაც კოლბოხებს შორის დგას წყალი უფრო განვითარებულია ლელიან-ლაქაშიანი ცენოზები.

უშუალოდ წღვის სანაპირო ზოლზე აქტიურად მიმდინარეობს აბრაზიული პროცესები, რაც დიდ საფრთხეს უქმნის პლიაჟსა და მთლიანად ქალაქს.

გეოლოგიურადს/ტ-ზე გავრცელებულია მეოთხეული ასაკის ზღვიური ნალექები, რომელიც სიღრმეში ხასიათდება ერთგვაროვანი გავრცელებით, ხოლო ზედაპირული ნალექების გავრცელების არეალი არაერთგვაროვანია.

საპროექტო ტერიტორიის მოკლე ჰიდროგრაფიული დახასიათება და ინჟინრული გადაწყვეტები

საპროექტო ტერიტორია, რომელსაც აღმოსავლეთიდან ესაზღვრება პალიასტომის ტბა, ჩრდილოეთიდან მდ. რიონის სამხრეთის დარეგულირებული ტოტი, დასავლეთიდან შავი ზღვა, სამხრეთიდან კი მდ. კაპარჭას სამხრეთ გაგრძელებისა და შავი ზღვის წყალგამყოფი დიუნა, მდებარეობს ქალაქ ფოთის სამხრეთ-დასავლეთით. მის ტერიტორიაზე, პალიასტომის პარალელურად გადის მდ. კაპარჭა, რომელიც ერთვის პალიასტომის ტბისა და შავი ზღვის შემაერთებელ ე.წ. მალთაყვას არხს. იმავე ტერიტორიაზე არსებობს სამი მცირე ტბა, რომელთაგან ყველაზე დიდია ე.წ. ოქროს ტბა. ტერიტორიის გარკვეულ ნაწილზე მოწყობილია დამშრობი არხების ქსელი და გაყვანილია წყალგამყვანი არხი, რომელიც ემსახურებოდა საპროექტო ტერიტორიაზე არსებულ სიტრუსების (გრეიფურტის) მეურნეობას.

პალიასტომის ტბის წყალშემკრები აუზის ფართობი 547 კმ2, სარკის ზედაპირის ფართობი 18,2 კმ2, მაქსიმალური სიღრმე 3,2 მეტრი, საშუალო

სიღრმე კი 2,1 მეტრია. პალიასტომის ტბის წყალშემკრები აუზის დიდი ნაწილი მოდის მდ. ფიჩორის აუზზე. მდინარე ფიჩორი, რომელიც პალიასტომის ტბას უერთდება ჩრდილო-აღმოსავლეთ მხრიდან, წარმოადგენს პალიასტომის ტბის ძირითად შენაკადს. ტბის მჭიდრო ჰიდროგრაფიული ქსელი ძირითადად წარმოდგენილია მცირე მარცხენა შენაკადებით, რომლებიც სათავეს იღებენ ნიგოითის ქედის ჩრდილოეთ ფერდობზე. ჩრდილოეთიდან პალიასტომის ტბას ერთვის მდ.შავიღელე, რომლის სათავის უბანზე არ არსებობს მდ.რიონის მარცხენა ნაპირის დამბა. აღნიშნულ ნაპირზე დატბორვის საწინააღმდეგო მიწის ზვინული არ იყო მოწყობილი იმ მოსაზრებით, რომ მდინარის მაქსიმალური ხარჯების გარკვეული ნაწილი ჩაეშვებოდა შავიღელეს კალაპოტში და ამით განტვირთავდა მდინარეს წყლის იშვიათი განმეორებადობის წყალდიდობისა და წყალმოვარდნების პერიოდში და ასევე, შეუნარჩუნებდა პალიასტომის ტბას ეკოლოგიურ წონასწორობას. აღნიშნულმა მოსაზრებამ დაკარგა აქტუალობა სოფ. სირიაჭყონთან მარცხენა ნაპირზე არსებული დამბის გამორეცხვისა და დანგრევის შემდეგ.

ტბის ქვაბული წარმოადგენს ზღვის ყოფილ უბეს, რომელიც ზღვიდან გამოყოფილია სანაპირო ზოლის სილიანი დიუნით. ტბის მიმდებარე ტერიტორია მთლიანად დაჭაობებულია, რაც განპირობებულია უხვი ატმოსფერული ნალექებით და კოლხეთის დაბლობის სხვა ტერიტორიებისაგან განსხვავებით გრუნტის წყლის მაღალ ნიშნულებზე დგომით. გრუნტის წყლის დგომის სიმაღლე აქ დაახლოებით 0,5-1,0 მეტრია მიწის ზედაპირიდან, რასაც განაპირობებს დაბლობ ტერიტორიაზე მოსული უხვი ატმოსფერული ნალექები, სწორი რელიეფის პირობებში წყალმოვარდნების დროს შემოსული წყლის ხანგრძლივი დგომა, წყლით გაჯერებული ტორფის არსებობა და შეტბორვა შავი ზღვის მხრიდან მაღალი დონეების პირობებში. ანალოგიური პირობების გამო ჭარბტენიანი ნიადაგებია გავრცელებული ასევე საპროექტო ტერიტორიაზე – ფოთი-გრიგოლეთის გზის დასავლეთით შავი ზღვის სანაპირო დიუნამდე.

ტბის ფსკერის სწორი რელიეფი ნელ-ნელა ღრმავდება შუა ნაწილისკენ. ტბის ფსკერის გრუნტი, რომელიც შედგება ნაცრისფერი და ყომრალი შლამისაგან და სილისაგან, ძირითადად ერთგვაროვანია. აღსანიშნავია, რომ პალიასტომის ტბის ფსკერზე დალექილია რამდენიმე ათეული მეტრის სიღრმის მძლავრ საპროპელი, რომელიც საუკუნეების მანძილზე დაბრუნებული ორგანული ნივთიერებების ხრწნის შედეგად წარმოიშვება და რაც უძვირფასეს სასუქს წარმოადგენს. გასული საუკუნის 90-იან წლებში არაბული სახელმწიფოები დაინტერესდნენ საპროპელის გატანით პალიასტომის ტბიდან. საპროპელის ამოღების მოსაზრება დადებითად შეაფასეს ქართველმა იქტიოლოგებმაც, რომელთა განმარტებით ტბის ფსკერის დაღრმავება იძლეოდა ზუთხის მოშენებისა და სარეწაო მნიშვნელობით გამრავლების შესაძლებლობას, მაგრამ სხვადასხვა მიზეზების გამო, არაბული სახელმწიფოების შემოთავაზებას საქართველოს მთავრობის მხრიდან შესაბამისი რეაგირება არ მოჰყოლია.

მალთაყვის არხით პალიასტომის ტბის დაკავშირებამ შავ ზღვასთან გამოიწვია ტბის მტკნარი წყლის დამარილიანება, რომლის მნიშვნელობა ამჟამად 12-13 მგ/ლ-ს შეადგენს. ტბის მარილიანობა 10 მგ/ლ-მდე მცირდება აღმოსავლეთით, მდ. ფიჩორის მტკნარი წყლის გავლენით. ტბის დამარილიანებულმა წყალმა გამოიწვია თევზის საკვები ბაზის – მტკნარი წყლის პლანქტონისა და ბენთოსის გაქრობა და შესაბამისად თევზის პროდუქტიულობის მნიშვნელოვანი შემცირება. აღნიშნულის გამო ტბის გამტკნარებაზე საუბარი დაიწყო ჯერ კიდევ გასული საუკუნის 60-იან წლებში. ტბის გამტკნარებით დაინტერესებული იქტიოლოგების მოსაზრებით შესაძლებელი იყო ტბაში მტკნარი თევზის სარეწაო ჯიშების გაშვება და გამრავლება. პალიასტომის ტბის გამტკნარებასთან დაკავშირებით არსებობდა მოსაზრება მალთაყვის არხის გადაკეტვის შესახებ სარეგულაციო ფარებით აღჭურვილი კაშხლით, სადაც მოეწყობოდა სატუმბი სადგური, რომელიც ჩაკეტილი ფარების შემთხვევაში გადატუმბავდა ტბის მლაშე წყალს ზღვაში იმ რაოდენობით, რა რაოდენობის წყალი შემოვიდოდა მდ. ფიჩორიდან.

სარეგულაციო ფარები გაიხსნებოდა ტბაზე წყლის მაღალი დონისა და ზღვაზე დაბალი დონის დგომის პირობებში და პირიქით, ჩაიკეტებოდა ზღვაზე წყლის მაღალი დონისა და ტბაზე დაბალი დონის დგომის პირობებში. სამწუხაროდ, აღნიშნული მოსაზრება არ განხორციელებულა პროექტის სახით.

ამჟამად, პალიასტომის ტბა სამეურნეო საქმიანობაში არ გამოყენება.

მინარე კაპარჭა, რომელიც სათავეს იღებს (გამოედინება) პალიასტომის ტბის ჩრდილო-დასავლეთ დაბოლოებიდან, გასული საუკუნის 20-იან წლებამდე მიუყვებოდა პალიასტომის ტბის დასავლეთ ნაპირს და ტბის სამხრეთით 11 კმ-ში, სოფ. მალთაყვას ტერიტორიაზე ერთვოდა შავ ზღვას. ინტენსიური წვიმების პერიოდში, პალიასტომის ტბის დონის სწრაფი აწევისას მდ. კაპარჭა ვერ უზრუნველყოფდა ტბიდან შემოსული წყლის გაზრდილი რაოდენობის ტრანსპორტირებას, რაც იწვევდა ქ. ფოთის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილისა და მიმდებარე ტერიტორიის დატბორვას. 1924 წელს, კოლხეთის დაბლობზე მასშტაბური სამელიორაციო სამუშაოების წარმოებისას, ქ. ფოთის დატბორვისაგან დაცვის მიზნით გაიჭრა პალიასტომის ტბისა და შავი ზღვის შემაერთებელი 1,5 კმ სიგრძის ე.წ. მალთაყვას არხი, რომელიც ზღვის შტორმულმა ზემოქმედებამ რამდენიმე წლის განმავლობაში გააგანიერა 150-160 მეტრამდე და დააღრმავა 3-4 მეტრის სიღრმეზე. ამჟამად, მდ. კაპარჭა და მისი სამხრეთ გაგრძელება, რომელშიც ვარდება მდ. დედაბერა მთისძირა არხთან ერთად, უერთდება აღნიშნულ, ხელოვნურად გაჭრილ მალთაყვას არხს სამხრეთიდან.

მდინარე რიონი სათავეს იღებს კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი ქედის სამხრეთ ფერდობზე ფასის მთასთან, ზღვის დონიდან 2620 მეტრზე და ერთვის შავ ზღვას ქალაქ ფოთთან. Mმდინარის სიგრძე 327 კმ, წყალშემკრები აუზის ფართობი კი 13 400 კმ2-ის ტოლია.

კოლხეთის დაბლობზე მდ. რიონის ხეობა არამკაფიოდ არის გამოხატული. მდინარეს ორმხრივი ჭალა გასდევს სამტრედიიდან შესართავამდე. სოფელ საჯავახოდან ქ. ფოთამდე მდინარის ორივე ნაპირზე მოწყობილია მიწის ნაპირდამცავი დამბები, რითაც შემოსაზღვრულია მდინარის ბუნებრივი კალაპოტი. დამბებს შორის არსებული მდინარის ჭალა წყალდიდობებისა და წყალმოვარდნების პერიოდში იფარება 1,5-3,0 მეტრის სიმაღლის წყლის ფენით.

მდინარე რიონი იკვებება მყინვარების, თოვლის, წვიმისა და გრუნტის წყლებით. მისი წყლიანობის რეჟიმი ხასიათდება გაზაფხულის წყალდიდობით და წყალმოვარდნებით მთელი წლის განმავლობაში. მდინარეზე მაქსიმალური ჩამონადენი აღინიშნება გაზაფხულზე, მინიმალური კი სექტემბერში და იანვარში. მდინარე რიონი ქალაქ სამტრედიამდე ფართოდ გამოიყენება ენერგეტიკული და ირიგაციული დანიშნულებით.

ქალაქ ფოთთან, ქალაქის დატბორვისაგან დასაცავად, გასული საუკუნის 50-იან წლებში აიგო წყალგამყოფი ნაგებობა, რომელიც მდ. რიონს ყოფს ორ ტოტად – სამხრეთისა და ჩრდილოეთის ტოტებად. წყალგამყოფი ნაგებობის რეგულატორის 16 ფარის მეშვეობით დარეგულირებული იქნა მდ. რიონის ქალაქში გამდინარე ტოტი. წყალგამყოფი ნაგებობის მოწყობამდე მდ. რიონი გაედინებოდა ქალაქის ტერიტორიაზე, ამჟამინდელი სამხრეთ ტოტის კალაპოტში და ყოველი წყალმოვარდნის პერიოდში ტბორავდა ქ. ფოთს.

სამხრეთის დარეგულირებული ტოტი, რომლის გამტარუნარიანობა პროექტის მიხედვით შეადგენდა 400 მ3/წმ-ს, გაედინება ქალაქის ტერიტორიაზე, ხოლო მდინარის ძირითადი ნაკადი – ჩრდილოეთ, ხელოვნურად გაჭრილ ტოტში. პროექტის მიხედვით, წყალმცირობის პერიოდში, როდესაც მდინარეში წყლის ხარჯის სიდიდე არ აღემატებოდა 400 მ3/წმ-ს, ჩრდილოეთის ტოტის ათივე ფარი იკეტებოდა და წყალი გაედინებოდა მხოლოდ სამხრეთის ტოტში. წყალდიდობებისა და წყალმოვარდნების პერიოდში ჩრდილოეთის ტოტის ფარები იხსნებოდა და 400 მ3/წმ-ზე მეტი წყალი გაედინებოდა ჩრდილოეთის ტოტში.

ამჟამად, სამხრეთის ტოტის გამტარუნარიანობა შავი ზღვის შესართავთან არსებული ორი ტოტიდან, მარცხენა ანუ სამხრეთი ტოტის თითქმის მუდმივად

ჩაკეტვის მიზეზით ზღვის ტალღური ზემოქმედებით წარმოქმნილი ბარით, მკვეთრად შემცირებულია 200-250 მ3/წმ-მდე. ამასთან, ცალკეულ შემთხვევებში, შავ ზღვაზე წარმოქმნილი ბარის ბუნებრივად ან ხელოვნურად გახსნის პერიოდში, ქალაქის ტოტში 400 მ3/წმ-ის გაშვების დროს, ფილტრაციული წყლებით იტბორება ქალაქში მის მიმდებარედ არსებული სახლების სარდაფები, რის გამო პროექტით გათვალისწინებული ხარჯის გაშვება სამხრეთის ტოტში პრაქტიკულად შეუძლებელია.

აქვე აღსანიშნავია, რომ ქ. ფოთიდან მე-7 კმ-ზე არსებული მდ. რიონის წყალგამყოფ ნაგებობაზე, ჩრდილოეთ ტოტის ქვედა ბიეფში, 2000 წელს დაფიქსირდა ფსკერის 11 მ-ით გამორეცხვის ფაქტი. აღნიშნულის გამო მსოფლიო ბანკის ექსპერტების რეკომენდაციით კატეგორიულად აიკრძალა წყალგამყოფი ნაგებობის ხიდზე მძიმე წონიანი მანქანების მოძრაობა. 2006 წელს, მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით განხორციელდა წყალგამყოფი ნაგებობის გამაგრება, რაც სს ,,საქწყალპროექტში" შედგენილი პროექტის მიხედვით ითვალისწინებდა გამორეცხილი ფსკერის შევსებას და თვით ნაგებობის გამაგრებას გაბიონის წყობით.

აღნიშნული პროექტით გატარებული ღონისძიებების განხორციელების შემდეგ გასულია 12 წელი. სამწუხაროდ, ბოლო წლების მანძილზე არ ჩატარებულა საკვლევ-საძიებო სამუშაოები წყალგამყოფი ნაგებობის ფსკერის ამჟამინდელი მდგომარეობის შეფასების მიზნით, რაც აუცილებელ პირობად მიგვაჩნია. ადგილობრივი მოსახლეობის განმარტებით, წყალგამყოფი ნაგებობა წარმოადგენს სტრატეგიული დანიშნულების ობიექტს, მასზე გადის ფოთის პორტისა და სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოების დამაკავშირებელი სამანქანო გზა, ევროპა-აზიის ოპტიკურ ბოჭკოვანი კაბელი და მრავალი მნიშვნელოვანი კომუნიკაცია, რომელთა მწყობრიდან გამოსვლა აღნიშნული ნაგებობის დანგრევის შემთხვევაში, ქ. ფოთის დატბორვის გარდა კოლოსალურ ზიანს მიაყენებს საქართველოს ბიუჯეტს.

მდინარე რიონზე არსებობს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პრობლება. მდინარის ორივე ნაპირზე, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, გასული საუკუნის 20-იან წლებში მოეწყო დატბორვის საწინააღმდეგო მიწის ზვინულები (დამბები), რომლებიც იცავდა მიმდებარე ტერიტორიებს დატბორვისაგან და ხელახალი დაჭაობებისაგან. ვინაიდან დატბორვის საწინააღმდეგო მიწის ზვინულები (დამბები) ისეთივე ჰიდროტექნიკური ნაგებობებია, როგორიც კაშხლები ან საინჟინრო სათავე ნაგებობები, მათ მოვლა-შენახვას და ექსპლუატაციას, მიმდინარე საუკუნის დასაწყისამდე ახორციელებდა საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროში შემავალი ,,მელიორაციისა და წყალთა მურნეობის დეპარტამენტი". 2001-2002 წლებში დატბორვის საწინააღმდეგო მიწის ზვინულები, მოვლა-შენახვისა და ეწსპლუატაციისთვის გადაეცა ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოებს, რომელთა მწირი დაფინანსება ვერ უზრუნველყოფდა აღნიშნული ნაგებობების (დამბების) სრულფასოვან და კვალიფიციურ ექსპლუატაციას.შედეგად, მდ.რიონის აქტიური ეროზიული პროცესებით მრავალ ადგილზე გაირეცხა და დაინგრა აღნიშნული მიწის ზვინულები. ერთ-ერთი ასეთი ადგილი, სადაც მდინარის მარცხენა ნაპირის დამბა გარეცხილი და სრულად დანგრეულია დაახლოებით 800 მეტრის სიგრძეზე, არის მდ. ცივის შესართავის მოპირდაპირე მხარეს, ყოფილ სოფელ სირიაჭყონის ტერიტორიაზე. გარეცხილი და დანგრეული დამბით შეშფოთებული და მდ. რიონიდან მოსალოდნელი დატბორვით შეშინებული სოფ. სირიაჭყონის მოსახლეობა გადასახლდა.

პალეოგეოგრაფიული და გეოლოგიური კვლევებით დადგენილია, რომ მდ. რიონი ისტორიულ წარსულში მიედინებოდა ამჟამინდელი კალაპოტის სამხრეთით 7-8 კმ-ში, რაც თითქმის ემთხვევა მდ. ფიჩორის ამჟამინდელ კალაპოტს. მეცნირების აზრით არ არის გამორიცხული მდ. რიონის ისტორიულ კალაპოტში, ანუ მდ. ფიჩორის კალაპოტში დაბრუნება. მდინარე რიონის აქტიური ეროზიული პროცესების, კლიმატის გლობალური ცვლილებების ფონზე

ნალექების გაზრდილი რაოდენობითა და ინტენსივობით ჩამოყალიბებული წყალმოვარდნების მაქსიმალური ხარჯების ზრდის, აღნიშნულ მონაკვეთზე მდინარის მარცხენა ნაპირის დატბორვის საწინააღმდეგო ზვინულის არ არსებობისა და მდ. რიონის ამჟამინდელი კალაპოტისა და მდ. ფიჩორის კალაპოტის ნიშნულებს შორის არსებული სხვაობის გათვალისწინებით, არ არის გამორიცხული მდ. რიონის გადავარდნა მდ. ფიჩორის კალაპოტში, რაც დანამდვილებით გამოიწვევს პალიასტომის ტბის დონის მყისიერ აწევას და ქ. ფოთის დატბორვას.

საპროექტო ტერიტორიაზე, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, მდებარეობს სამი მცირე ზომის ტბა, რომელთაგან ყველზე დიდია ე.წ. ოქროს ტბა. აღნიშნული ტბები წარმოქმნილია ჭარბტენიანი რელიეფის დეპრესიულ ადგილებში. ისინი, ისევე როგორც მათ მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული ჭარბტენიანი ადგილები, საზრდოობენ უხვი ატმოსფერული ნალექებით და გრუნტის წყლებით. ცალკეულ უხვნალექიან წლებში, მოსალოდნელია მათი წყლის დონის აწევა, რომლის დროს წყალი ტბებიდან გადაედინება ან ჭარბტენიან დეპრესიულ ადგილებში, ან ზღვის მიმართულებით პლაჟზე. საპროექტო ტერიტორიის რეკრეაციული მიზნებით განვითარების პირობებში საჭირო იქნება ტბებში აკუმულირებული ზედმეტი წყლის ორგანიზებული გაყვანა მათ აღმოსავლეთით არსებულ დამშრობ არხში, ან დასავლეთით, ზღვის სანაპირო ზოლის მიმართულებით. ტბებიდან ზედმეტი წყლის დამშრობ არხში ჩაშვების შემთხვევაში გასათვალისწინებელია ტბებისა და არხის ნიშნულებს შორის სხვაობა და ყოფილი სიტრუსების მეურნეობის ტერიტორიაზე გაყვანილი დამშრობი არხის გამტარუნარიანობა, ვინაიდან დამშრობი ქსელის და ქსელიდან წყლის მიმღები დამშრობი არხის პროექტის შედგენისას, გაანგარიშებით დადგენილია მომსახურე, ანუ დასაშრობ ფართობზე ჩამოყალიბებული მაქსიმალური ხარჯის სიდიდეები და მისი სამხრეთის ტოტში გადამტუმბავი ტუმბო-აგრეგატის წარმადობა. აღნიშნულის გამო, სამხრეთის ტოტის ამჟამად უმოქმედო განშტოების გაწმენდის, დამშრობი არხის გამტარუნარიანობისა და სატუმბი სადგურის წარმადობის გაზრდის გარეშე, ადვილად შესაძლებელია დამშრობმა არხმა და სატუმბო სადგურმა ვერ უზრუნველყონ წყლის დამატებითი რაოდენობის მიღება და მისი გადატუმბვა, რაც გამოიწვევს საპროექტო ტერიტორიის ცენტრალური ნაწილის განმეორებით დაჭაობებას. აქვე აღსანიშნავია, რომ ე.წ. ოქროს ტბის გაფართოებამ გონივრილ ფარგლებში, არ უნდა მოახდინოს ნეგატიური ზემოქმედება საპროექტო ტერიტორიის ეკოლოგიაზე, ვინაიდან მის გარშემო არსებული ჭარბტენიანი ადგილების ეკოსისტემა შეგუებულია წყლიან გარემოს.

საკვლევ ტერიტორიაზე, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, მოწყობილი იყო ცინტრუსების ყოფილი მეურნეების დამშრობი ქსელი, რომელიც ამჟამად არ ფუნქციონირებს განვლილი ათწლეულის მანძილზე გაუწმენდაობის მიზეზით. ცნობილია, რომ დამშრობი სისტემების არხები დანალექისაგან და მცენარეულობისგან უნდა იწმინდებოდეს ორ წელიწადში ერთჯერ, ვინაიდან ჭარბტენიან ადგილებზე მოწყობილ დამშრობ არხებში ბალახი იზრდება დღე-ღამეში დაახლოებით 1 სმ-ის სიმაღლით. მიგვაჩნია, რომ აუცილებლად გასაწმენდი და აღსადგენია დამშრობ არხზე დამოკიდებული ქსელი, რომელიც სფერული კვლებისა და მცირე არხების მეშვეობით უზრუნველყოფს ტერიტორიაზე მოსული ჭარბი ატმოსფერული ნალექებით წარმოქმნილი წყლის მაქსიმალური ხარჯების გაყვანას. ამასთან, დასადგენია სატუმბი სადგურის ამჟამინდელი ტექნიკური მდგომარეობა, რომლის მეშვეობით დამშრობი არხით მიღებული წყალი იტუმბებოდა სამხრეთის ტოტის ზღვის ტალღური ზემოქმედებით ჩაკეტილ სამხრეთის განშტოებაში, რომლის გაწმენდის გარეშე შეუძლებელია დამშრობ არხზე დამოკიდებული ფართობიდან ჭარბი წყლის მოცილება.

წყლის მაქსიმალური დონეები

საკვლევ ტერიტორიაზე არსებულ წყალსადინარებზე, გარდა მდინარე რიონისა, არ არის დაფიქსირებული წყლის მაქსიმალური ხარჯების გავლა.

მდინარე რიონის ნაპირების შემოზვინვის შემდეგ, იშვიათი განმეორებადობის წყლის მაქსიმალური ხარჯების გავლისას, წყალი გადადიოდა მდინარის მარცხენა ნაპირზე შემოზვინვის გარეშე დატოვებულ უბნებზე, მაგალითად მდ. შავიღელეს უბანზე.ამჟამად, აღნიშნული უბნების გარდა წყალი გადადის სოფ. სირიაჭყონის ტერიტორიაზე, სადაც მდინარემ გარეცხა და დაანგრია, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, მარცხენა ნაპირის ზვინული დაახლოებით 800 მეტრის სიგრძეზე.

წყლის მაქსიმალური ხარჯები სოფ. სირიაჭყონის დანგრეული დამბის კვეთში გაანგარიშებულია სს ,,საქწყალპროექტში" დამუშავებული F,,ქ. ფოთთან მდ. რიონის წყალგამყოფი ჰიდროკვანძის რეაბილიტაციის დროებითი ღონისძიებების პროექტის" ფარგლებში. აღნიშნული გაანგარიშებები ითვალისწინებდა მდ. რიონის მაქსიმალური ხარჯების გარკვეული ნაწლის ორგანიზებულ გადაგდებას მდ. ფიჩორის კალაპოტში, რაც შეამცირებდა წყლის მაქსიმალურ ხარჯს ავარიულ წყალგამყოფ ნაგებობაზე. ჩატარებულმა გაანგარიშებებმა გამოავლინა, რომ მდ.რიონის 1000 წლიანი განმეორებადობის წყლის მაქსიმალური ხარჯის (4400 მ3/წმ) გავლისას სოფ. სირიაჭყონთან დანგრეული დამბის კვეთიდან მდ. ფიჩორის კალაპოტში გადადის 460 მ3/წმ წყლის ხარჯი, რომლის მორბენის ხანგრძლივობა პალიასტომის ტბამდე 14 საათის ტოლია. პალიასტომის ტბის წყალსამეურნეო ბალანსის საფუძველზე დადგენილია, რომ მდ. რიონიდან გადავარდნილი წყლის ხარჯისა და მდ. ფიჩორის წყლის მაქსიმალური ხარჯების თანხვედრისას, პალიასტომის ტბაზე და შავ ზღვაზე წყლის საშუალო დონეების დგომისა (პალიასტომის ტბაზე +0,14 მ.აბს და შავ ზღვაზე 0,00 მ.აბს) და მალთაყვის არხის ნორმალური ფუნქციონირების პირობებში, პალიასტომის ტბის დონე 27 საათში აიწევს +0,58 მ. ნიშნულამდე. შავ ზღვაზე 100 წლიანი განმეორებადობის წყლის მაქსიმალური დონის (+1,29 მ.აბს) დგომისა და მალთაყვას არხის შეტბორვის შემთხვევაში, მდ. რიონიდან გადავარდნილი წყლის ხარჯისა და მდ. ფიჩორის წყლის მაქსიმალური ხარჯების თანხვედრისას, ქ. ფოთს და საკვლევ ტერიტორიას ემუქრება დატბორვა.

ქალაქის ფარგლებში გამავალი მდ. რიონის სამხრეთ ტოტი, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, დარეგულირებულია წყალგამყოფი ნაგებობის რეგულატორით, რის გამო მასში წყლის კატასტროფიული მაქსიმალური ხარჯების გავლა, წყლის დონის მნიშვნელოვანი აწევა და რაიმე ნეგატიური ზემოქმედების მოხდენა საკვლევ ტერიტორიაზე შეუძლებელია.

მდინარე კაპარჭას სიგრძე-6.5 კმ, ფართობი 2.04 კმ2-ია. მისი ჩამონადენი დარეგულირებულია ერთი მხრიდან პალიასტომის ტბით და მეორე მხრიდან შავი ზღვით შეტბორილი მალთაყვას არხით. ამასთან, მდინარის წყალშემკრები აუზის მცირე ფართობი, ნაკადის ჰიდრავლიკური ქანობისა და შესაბამისად მისი სიჩქარის მეტად უმნიშვნელო მაჩვენებლები ვერ უზრუნველყოფენ მაქსიმალური ხარჯების ჩამოყალიბების პირობებს. ამიტომ, მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული მხოლოდ მისი მაქსიმალური დონეების ნიშნულების დადგენა, რაც მჭიდრო კავშირშია პალიასტომის ტბისა და შავი ზღვის დონეების რყევის რეჟიმთან.

პალიასტომის ტბის დონეებზე დაკვირვების მონაცემების მიხედვით, ტბის 100 წლიანი განმეორებადობის მაქსიმალური დონე +0,90 მეტრ ნიშნულს, ხოლო შავი ზღვის იმავე განმეორებადობის მაქსიმალური დონე +1,29 მეტრ ნიშნულს უტოლდება. აღსანიშნავია, რომ შავი ზღვის მაქსიმალური დონე (+1,29 მ), ორჯერ არის დაფიქსირებული 1998 წელს – თებერვალში და დეკემბერში. შავ ზღვაზე აღნიშნული დონის დგომის პირობებში მალთაყვას არხისა და შესაბამისად პალიასტომის ტბის შეტბორვის გათვალისწინებით, მოსალოდნელია საპროექტო ტერიტორიის დატბორვა.

გასატარებელი ღონისძიებები და რეკომენდაციები

დაჭაობებული და ჭარბტენიანი მიწები წარმოიქმნება მის ზედაპირზე მოხვედრილი წყლის ხუთი სახეობით – ატმოსფერული ნალექებით, მაღალ ნიშნულებზე მდგომი გრუნტის წყლებით, წნევიანი მიწისქვეშა წყლებით, ფერდობებიდან ჩამოდენილი დელუვიური წყლებით და მდინარეთა კალაპოტებიდან ფილტრაციით შესული ალუვიური წყლებით.

ჩვენ შემთხვევაში, საკვლევ ტერიტორიაზე ჭარბტენიანი ნიადაგების ჩამოყალიბებას განაპირობებს უხვი ატმოსფერული ნალექები და გრუნტის წყლის მაღალ ნიშნულებზე დგომა. საკვლევ ტერიტორიაზე არ ფიქსირდება წნევიანი მიწისქვეშა წყლების ამოსვლა წყალგაუმტარი თიხის ფენის მიწის ზედაპირთან ახლოს წოლის მიზეზით. ტერიტორია ასევე არ საზრდოობს დელუვიური წყლებით, რომლებიც ჩამოედინებიან მიმდებარე ტერიტორიის გორაკ-ბორცვიანი რელიეფის ფერდობებიდან და ადგილი არ აქვს ასევე ალუვიური წყლებით კვებას, ვინაიდან მდ. კაპარჭადან და შავი ზღვიდან არ შემოდიან ფილტრაციული წყლები.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია საკვლევ ტერიტორიაზე არსებული ჭარბტენიანი მიწების დაშრობა გონივრულ დონემდე ატმოსფერული ნალექებისა და გრუნტის წყლების ჭარბი რაოდენობის მოცილებით/გაყვანით. გონივრულ დონემდე დაშრობა გულისხმობს არსებული დამშრობი არხებისა და მდ. კაპარჭას კალაპოტის გაწმენდას იმ სიღრმეზე (დაახლოებით 0,5-0,8 მეტრის სიღრმეზე მიწის ზედაპირიდან), რომელიც მრავალწლიანი მცენარეების ფესვთა სისტემას არ დატოვებს წყალშემცველ ჰორიზონტზე მაღლა, რამაც შესაძლებელია გამოიწვიოს მცენარეების გახმობა. ამ მიზნით მიზანშეწონილი იქნება შემდეგი სამუშაოების განხორციელება:

- მდინარე რიონის სამხრეთის ტოტის მარცხენა განშტოების გაწმენდა ზღვის ტალღური ზემოქმედებით შეტანილი მყარი დანალექი მასალისგან. აღნიშნული განშტოების გაწმენდა აუცილებელია საკვლევ ტერიტორიაზე არსებული სიტრუსების ყოფილი მეურნეობის ტერიტორიაზე გამავალი დამშრობი სისტემიდან გადატუმბული წყლის გასატარებლად ზღვის მიმართულებით;
- სიტრუსების ყოფილი მეურნეობის ტერიტორიაზე გამავალი დამშრობი სისტემის (კვლები, კოლექტორები, წყალგამტარი არხი, მილხიდები და ა.შ.) გაწმენდა წლების განმავლობაში აღმოცენებული ბალახეულობისგან და მყარი ნატანისგან, რაც იძლევა მოსული უხვი ატმოსფერული ნალექებით ჩამოყალიბებული წყლის მაქსიმალური ხარჯების სატუმბი სადგურისკენ შეუფერხებელი გატარებისა და ტერიტორიის განმეორებითი დაჭაობებისგან დაცვის საშუალებას;
- მდინარე კაპარჭას კალაპოტის გაწმენდა და დაღრმავება მალთაყვის არხის ფსკერის დონემდე, რაც შავ ზღვაზე წყლის საშუალო დონეზე დგომისა და პალიასტომის ტბაზე წყლის მაქსიმალურ დონეზე დგომის პირობებში წყლის გარკვეულ რაოდენობას მოაცილებს ქ. ფოთის სამხრეთ რაიონს და საკვლევ ტერიტორიას დაიცავს დატბორვისაგან;
- მიზანშეწონილი იქნება საკვლევ ტერიტორიაზე მოსაწყობი სასეირნო ბილიკების გასწვრივ, ორივე მხარეს გაშენდეს ევკალიპტის ნარგავები, რომელიც გააუმჯობესებს ტერიტორიის ეკოლოგიურ პირობებს, შესარულებს

ქარსაფარის ფუნქციას და ხელს შეუწყობს ჭარბტენიანი ნიდაბების ამოშრობას, ვინაიდან ევკალიპტის ერთი ზრდასრული ხე დღე-ღამის განმავლობაში ორთქლებს დაახლოებით 10-12 ლიტრ წყალს;

- შესამოწმებელია დამშრობი სისტემის შემადგენლობაში შემავალი სატუმბი სადგურის ამჟამინდელი ტექნიკური მდგომარეობა, რომლის არადამაკმაყოფილებელი ტექნიკური მდგომარეობის შემთხვევაში, საკითხი მისი რეაბილიტაციის შესახებ უნდა დაისვას შპს ,,საქართველოს მელიორაციის" წინაშე;

- შავი ზღვის დონის პერმანენტული მატებისა და ფოთის რაიონის 2 მმ-ით დაძირვის გათვალისწინებით, სასურველია მომავალში საპროექტო ტერიტორიის შემოზვინვა შავი ზღვიდან და პალიასტომის ტბიდან დატბორვის საწინააღმდეგო ზვინულებით. აღნიშნული, ნაგებობის მოწყობა დღეის მდგომარეობით, შეუძლებელია მისი მაღალი ღირებულებისა და საპროექტო ტერიტორიის ვიზუალურ მხარეზე ნეგატიური ზემოქმედების მიზეზით.

ტურიზმის განვითარების სტრატეგიული ხედვა

1. მალთაყვა - ტურიზმის განვითარების პერსპექტივა / ტურისტული პოტენციალის შეფასება

სპორტული ინფრასტრუქტურა არის სპორტის სისტემის მატერიალური ბაზა, რომლის შექმნისა და განვითარების გარეშე შეუძლებელი იქნება სპორტის სახელმწიფო პოლიტიკის სტრატეგიული მიზნების განხორციელება. მალთაყვაში სპორტისა და ვარჯიშებისათვის საჭირო ინფრასტრუქტურა შეიცავს კომუნალურ ინფრასტრუქტურასაც, ელექტრო და ბუნებრივ აირ-მომარაგებას, წყალ-მომარაგებას, კომუნიკაციების და უსაფრთხოების სისტემებს და სპორტული მენეჯმენტისა და ინფრასტრუქტურის უზრუნველსაყოფად სხვადასხვა დასახელების საქონლისა და მომსახურების მომწოდებლებს. სპორტული ინფრასტრუქტურა აერთიანებს სხვადასხვა ტიპის ისეთ ნაგებობებსა და ობიექტებს, რომორიცაა სპორტული ცენტრები, სარეკრიაციო ზონები, სტადიონები, მცირე მოედნები, საცურაო აუზები და საწყალოსნო ცენტრები, იპოდრომები, ჩოგბურთის კორტები, საბავშვო მოედნები და სხვა. სახელმწიფო დაწესებულებები, კერძო კომპანიები, სპორტული ორგანიზაციები და მუნიციპალიტეტები მუშაობენ სპორტულ ინფრასტრუქტურასთან გამომდინარე სახელმწიფოსა და კერძო ბიზნესის ინტერესებიდან. ინფრასტრუქტურის მართვას ახასიათებს ძალიან მნიშვნელოვანი სოციალური და ეკონომიკური გავლენა გარემოსა და საზოგადოების მდგრად განვითარებაზე. სპორტის, ვარჯიშისა და დასვენების ინფრასტრუქტურის სფერო როგორც ეკონომიკის სექტორი, ძალიან დიდია და მისი ზუსტი გავლენის განსაზღვრა ძალზე რთულია, სტატისტიკა კი ძალიან არაზუსტი, განსაკუთრებით ფოთის შემთხვევაში. ეს სექტორი ერთ-ერთი ყველაზე მზარდია დღევანდელი მსოფლიოს ეკონომიკაში. სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარება მჭიდროდაა დაკავშირებული მენეჯმენტის ახალ სისტემებთან, გარემოს დაცვის განვითარებასთან, დაგეგმარების, მშენებლობის, რეკონსტრუქციის სტანდარტებსა და ნორმებთან, ადამიანებისათვის ინოვაციური პროგრამების მართვასა და გაფართოებასთან.

ფოთი/მალთაყვას მდებარეობა ევროპისა და აზიის გზაჯვარედინზე საშუალებას გვაძლევს შავი ზღვით დავაკავშიროთ ფოთი/მალთაყვა ხმელთაშუა ზღვის აუზის ქვეყნებსა და მთელ მსოფლიოს საკრუიზო და სპორტული ტურიზმის განვითარებლად. საქართველოს ტერიტორია ჰავის დიდი მრავალფეროვნებით გამოირჩევა. შედარებით მცირე ფართობის მიუხედავად,

ფოთი/მალთაყვასთან ახლო მდებარე რეგიონებში წარმოდგენილია დედამიწის ზედაპირზე არსებული ჰავის თითქმის ყველა ტიპი. ჰავის ასეთი მრავალფეროვნება განპირობებულია ქვეყნის მდებარეობით სუბტროპიკულ და ზომიერ კლიმატურ სარტყლების მიჯნაზე და რელიეფის თავისებურებით, ასევე აღსანიშნავია, მალთაყვას ხელსაყრელი რეკრეაციულ-გეოგრაფიული მდებარეობა, რადგანაც იგი მნიშვნელოვან ტურისტულ-რეკრეაციულ არეალებს – კავკასიონსა და შავი ზღვის პირეთს შორისაა მოქცეული. კულტურულ-გეოგრაფიული მდებარეობის თვალსაზრისით ფოთი-მალთაყვა სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის და ახლო აღმოსავლეთის კულტურულ რეგიონებს შორის მდებარეობს, რაც თავისებურ გავლენას ახდენს ქვეყნის ტურიზმისა და სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე. თუმცა ტურიზმის ინდუსტრიაში, სპორტული ტურიზმი ძალიან სუსტად არის წარმოდგენილი.

დღევანდელი მდგომარეობით ფოთში საბჭოთა პერიოდის სპორტული ინფრასტრუქტურის დიდი ნაწილი განადგურებულია, შემორჩენილი ნაწილი კი ან მნიშვნელოვან განახლებას საჭიროებს ან არ აკმაყოფილებს არსებულ რაოდენობრივ თუ ხარისხობრივ მოთხოვნებს. შესაბამისად აუცილებელია, როგორც შემორჩენილი სპორტული ინფრასტრუქტურის აღდგენა–განახლება, ისე ახალი სპორტული ინფრასტრუქტურის მშენებლობა.

სპორტული ღონისძიებების ჩატარებისას ეკონომიკის ისეთი სფეროები, როგორიცაა წარმოება, მშენებლობა, ტურიზმი და სხვ. პოულობენ სარგებელს, რასაც შეუძლია ხელი შეუწყოს ეკონომიკის აღდგენის დაჩქარებას რეგიონში. სხვადასხვა სპორტული ღონისძიებებისათვის აშენებული ობიექტები მომავალში გამოიყენებულ იქნება, არა მარტო სპორტსმენთა მომზადებისათვის, არამედ საერთაშორისო სპორტული ტურნირების და სავარჯიშო პროგრამების განსახორციელებლად, ასევე საზოგადოების ფიზიკური გაჯანსაღებისათვის.

ფოთი/მალთაყვას პროექტის განვითარების აუცილებელი პირობაა, ტურისტული ინფრასტრუქტურის შესაბამისი მომსახურე პერსონალი. ადგილობრივი მოსახლეობისთვის გაჩნდება ახალი სამუშაო ადგილები, რითაც დაიძლევა სიღარიბე და უმუშევრობა.

ისეთ ქვეყნებში, სადაც განვითარებულია სპორტული ტურიზმი თავისი მრავალფეროვანი ტურისტული ინფრასტრუქტურით, სერვისის კომპონენტის განვითარებას სპეციალური პროგრამები ეთმობა, ასევე თან ერთვის მომსახურების სასწავლო-საგანმანათლებლო ბაზების განვითარება.

საერთაშორისო ტურიზმიდან მიღებული შემოსავლები

2017 წელს, საერთაშორისო სპორტული ტურიზმიდან მიღებულმა შემოსავლებმა $19 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა. სპორტულ ტურიზმში მოწინავე ქვეყნების ათეულის უმრავლესობა შემოსავლების მხრივ, ევროპული ქვეყნებია, ლიდერთა შორის აშშ-ც არის, ასევე უკანასკნელ წლებში ავსტრალია, ახალი ზელანდია, კანადა, იაპონია, თურქეთი და სხვა ქვეყნებიც დიდ ყურადღებას უთმობენ სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარებას.

წყარო: მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაცია

სპორტულ ვარჯიშებისა, ტურნირების და ჩემპიონატების მონაწილეებს ემატებიან გულშემატკივრები, რომელთა ვიზიტებს ძლიერი სასტუმრო და კვების უზრუნველყოფა ესაჭიროება. სპორტული სტუმარ-მასპინძლობის ინდუსტრიის განვითარებისთვის დასაწყისშივე აუცილებელია სწორი დაბებმარება და პოტენციური რესურსების მაქსიმალური გამოყენება.

სპორტული ტურიზმი მთელს მსოფლიოში ეკონომიკური აღმავლობის, მიმზიდველობის და გულშემატკივრებისთვის გართობის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ფორმა ხდება. მალთაყვაში შესაძლებელია მოეწყოს სპორტის სხვადასხვა სახეობებში ფართომასშტაბიანი საერთაშორისო ტურნირები.

სპორტულ ტურიზმში არამხოლოდ კონკრეტულ მატჩებზე დასწრება და ცნობილი არენებისა და მოედნების დათვალიერება შედის, არამედ ბევრ ქვეყანაში ტურისტებს თვითონ ეძლევათ ამა თუ იმ სპორტულ ღონისძიებაში მონაწილეობის საშუალება.

2. მალთაყვა ტურიზმის განვითარების ანალიზი (SWOT შეფასების მიხედვით)

ძლიერი მხარეები:

1. ცნობადობა ქვეყნის შიგნით; ფოთთან სიახლოვე მალთაყვას გამოარჩევს, როგორც ნაკლებ-განვითარებულ კურორტს. ფოთი საქართველოს და უცხოეთის მოქალაქეებისთვის ცნობილია, როგორც პორტი და საზღვაო გადაზიდვების ერთ-ერთი დიდი ცენტრი შავ ზღვაზე.
2. საზაფხულო სეზონის ხანგრძლივობის შესაძლებლობა: ივნისიდან ოქტომბრამდე

დამსვენებლებისა და ვიზიტორების ნაკადი: ივლისი-აგვისტო

3. სეზონის ხანგრძლივობის ამჟამინდელი რეალობა: ივლისი-აგვისტო
4. ზაფხულის საშუალო ტემპერატურა: +22ჩ – +35 ჩ გრადუსი
5. სივრცე, საინტერესო ლანდშაფტი, კუნძული
6. სიახლოვე კოლხეთის დაცულ ტერიტორიასთან
7. თავისუფალი, ღია, მეგობრულად განწყობილი მოსახლეობა
8. დასავლეთ საქართველოს კურორტებთან სიახლოვე
9. უსაფრთხო გარემო (დაბალი კრიმინალური რისკი)
10. ბუნებრივი რესურსები (მდინარეები)
11. დამკვიდრებული სამკურნალო / რეკრეაციული იმიჯი
12. მოსახლეობის მოტივაცია დასაქმების კუთხით
13. მაღაზიები, ბაზარი
14. ჯანსაღი საკვები პროდუქტი

სუსტი მხარეები:

1. ავტო-სატრანსპორტო გზების მდგომარეობა
2. მოუწერიგებელი ქუჩები
3. მოწესრიგებული ავტო-სადგომების არ არსებობა
4. დანაგვიანებული გარემო / ნაგავსაყრელის პრობლემა
5. სამშენებლო მასალების ნარჩენები
6. დაუხვეწავი და გაუთვლელი არქიტექტურული ჩარევები განაშენიანებაში (ძირითადად „სასტუმრო-კოტეჯების“ უადგილობა)
7. მწვანე არეალების/პარკების, სარეკრეაციო სივრცეების სიმცირე
8. გასართობი ობიექტების არ არსებობა
9. კულტურული და სპორტული ღონისძიებების ნაკლებობა
10. მარტივი საფეხმავლო და ველო მარშრუტების არ არსებობა

11. საორიენტაციო ნიშნები, მარკირება და საინფორმაციო დაფები / პრობლემა
12. ტურიზმის საინფორმაციო ცენტრის არ არსებობა
13. კერძო საკუთრებაში არსებული მიწები საკურორტო ზონაში
14. საკანალიზაციო სისტემების, გაზის, დენის, ქუჩის განათების, სასმელი წყლის და წყალმომარაგების პრობლემა
15. მაღალი ტენიანობა
16. მწერების სიმრავლე
17. ზედამხედველობის გარეშე მიშვებული მსხვილფეხა საქონელი, უპატრონო ძაღლები და სხვა ცხოველები
18. დაბალ-ხარისხიანი გასაყიდი საკვები პროდუქტი
19. პირველადი სამედიცინო და სამაშველო დახმარების სიშორე
20. ადგილობრივი მოსახლეობის დაბალი კვალიფიკაცია და უცხო ენების არცოდნა
21. მასპინძლების მხრიდან დამსვენებლებთან კომუნიკაციის დაბალი უნარი
22. კერძო სექტორის მხრიდან გადასახადების თავიდან აცილების პრეცენდენტები
23. მოუვლელი მწვანე საფარი: უნიკალური ჯიშის ხეების შემცირება
24. მალთაყვას ტერიტორიაზე არ ფიქსირდება კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლები (წყარო: საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო)

შესაძლებლობები:
1. დაცული ლანდშაფტის ჩამოყალიბება და ერთიან ქსელში ჩართვა
2. სპორტული, დასვენების, შP, სამკურნალო ტურიზმის განვითარება
3. სპორტული შეკრებების, გამაჯანსაღებელი შპა და სანატორიუმების განვითარება
4. ინფრასტრუქტურის სწორად განვითარება
5. მწვანე გარემო მწვანე უბნების, პარკების და დასასვენებელი კუთხეების, აუზების, სპორტული მოედნების, ხელოვნური საწყალოსნო კომპლექსების განვითარება;
6. გურია-აჭარის კურორტების ერთიან ქსელში ჩართვა
7. მაღალ-განვითარებულ სპორტულ კურორტად გადაქცევა
8. სეზონურობის გაზრდა: შესაძლებელია ზამთრის თვეებშიც სპორტსმენების მოზიდვა სხვადასხვა ტურნირებისა და სპორტული შეკრებების, ასევე სპორტული სემინარებისა და კონფერენციების ჩასატარებლად
9. ზამთრის მიმართულების დამოუკიდებლად განვითარების მარკეტინგი
10. ქალაქ ფოთის და უახლოესი სოფლების მოსახლეობის დასაქმება
11. ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტის მიწოდება კურორტისთვის უახლოესი სოფლებიდან
12. აგრო-ჰაბის კონცეფციის ჩამოყალიბება, ადგილობრივი და საერთაშორისო მეწარმეობის განვითარება
13. უახლოეს ხევებზე ხიდების, გადასასვლელების მოწყობა ექსტრემალური ტურიზმისა და სპორტული თამაშებისთვის.
14. მოძრავი „სავაჭრო ურიკების“ ქსელის განვითარება (ესთეტიკური დახვეწილობით)
15. სიცოცხლის-უნარიან პროექტად გადაქცევა მცირე ბიზნესის განვითარების ხარჯზე
16. ინვესტიციების მოზიდვა სასტუმროების მშენებლობის გარდა სხვა კუთხით: შპა და სანატორიუმები; თანამედროვე სპორტული კომპლექსების განვითარება და მათ ქსელში ჩართვა Nიინჯა ჭარრიორ პროექტების განვითარება

17. აგრო-ტურიზმის განვითარება, უახლოესი სოფლების „დამხმარე ზონად“ გამოყენება
18. სპორტული კომპლექსები / კულტურულ-სპორტული ღონისძიებების მრავალფეროვნება;
19. სპორტული ფესტივალები მოყვარულებისთვის, შესაბამისი ადგილებისა და სივრცეების მოწყობა;
20. თანამშრომლობა საერთაშორისო სპორტული ტურიზმის ინდუსტრიასთან
21. ყოველწლიური სპორტულ-გასართობი ღონისძიების ჩამოყალიბება, რომელიც იქნება მათაყვას სახე და ჩატარდება ყოველწლიურად მხოლოდ მალთაყვაში
22. ღია და დახურული კინო-თეატრების მოწყობა
23. საბავშო თეატრის მოწყობა
24. საბანაკე, „კემპინგის ტიპის“ ადგილების განვითარება და ტურისტულ საფეხმავლო მარშრუტებთან დაკავშირება (მესხეთის ქედით და სხვა)
25. დასახლებისთვის დასაბუთებული სტატუსის მინიჭება
26. კერძო სექტორისთვის სეზონური გადასახადების რეგულაციების შემოღება
27. კერძო სექტორისთვის ლოიალური კომუნალური გადასახადების შეთავაზება
28. მომსახურების სექტორში დასაქმებულთა კვალიფიკაციის ამაღლება
29. ეკო-ცნობიერების გაზრდა მოსახლეობაში და მომსახურე პერსონალს შორის
30. ეკო-ცნობირების ასამაღლებლად მიმართული ღონისძიებების გატარება დამსვენებელთა წრეში
31. მიზნობრივი მარკეტინგი
32. მოკლე-ვადიანი გეგმა: საქართველოს მოსახლეობის დაინტერესება მალთაყვით
33. გრძელ-ვადიანი გეგმა: უცხოელი ტურისტების მოზიდვა სპორტული მიზნებისთვის, დასვენება და რეკრეაციისთვის
34. ტურისტული საინფორმაციო ცენტრის განვითარება მალთაყვაში
35. სპეციალური პროფილის კოლეჯის ჩამოყალიბება, რომელიც მოამზადებს მომსახურე პერსონალს სასტუმროები, კვების ობიექტები, სპორტული კომპლექსები და სხვა დარგებისთვის

რისკები / საშიშროებები:

1. პოლიტიკური და სოციალური რისკები;
2. ტურისტული ბიზნესისა და კერძო საკუთრებაში არსებული ტერიტორიების თანაარსებობის პრობლემა
3. ტურისტული ბიზნესისა და კერძო აბარაკების თანაარსებობის პრობლემა (ხმაური, მუსიკა, ვიზიტორთა მზარდი ნაკადები, სატრანსპორტო მიმოსვლა)
4. ეკოლოგიური გარემოს გაუარესება
5. მალთაყვას ტერიტორიების გადატვირთვა სასტუმროების არასწორი დაგეგმვით და მშენებლობით
6. კვალიფიციური მომსახურე პერსონალის და მცირე ბიზნესის წარმოების ჩვევების ნაკლებობა
7. არასწორად მიმართვის შემთხვევაში კურორტის იმიჯის შელახვა
8. მობინადრეთა სტრუქტურის ცვლილება და სასხოვრებელი გარემოდან ბიზნეს გარემოზე გადასვლა (ტრადიციული ყოფის მოშლა);
9. ინფრასტრუქტურული პრობლემები: წყალი, კანალიზაცია, ნაგავ-საყრელი,დენი, გაზი, გზები, ბილეკები
10. ნაგებობებისა და უბნების ფუნქციური დანიშნულების მოდიფიცირება;

11. არა-ადექვატური საგადასახადო და საინვესტიციო გარემო;
12. ეპიდემიებისა და დაავადებების გავრცელება (კანალიზაციის არ არსებობის შემთხვევაში)
13. ეკოლოგიური კატასტროფა (მწვანე საფარის უკონტროლო ჩეხვა)
14. სტიქიური უბედურება
15. კურორტის მართვის რეგულირებისა და მონიტორინგის სისუსტე

3. განვითარების წინაპირობები და ინდიკატორები

აუცილებელი წინაპირობები:

- კურორტის ტურისტული სტრატეგიისა და ხედვის ჩამოყალიბება
- სივრცულ დაგეგმვაში ინტეგრალური მიდგომა
- ტურიზმის ინდუსტრიის ჩართვა ადგილის მართვის სისტემაში
- დაინტერესებულ მხარეთა პარტნიორობა
- ადგილის პოზიციონირება / იმიჯის შექმნა / მარკეტინგი
- ხარისხიანი ინტერპრეტაცია, მომსახურების სფეროს გაძლიერება
- განვითარების შესაძლო ინდიკატორები:
- სტატისტიკის მონიტორინგი: სამუშაო ადგილების რაოდენობა მომსახურების სფეროში, ზრდა/კლების ტენდენცია; ვიზიტორთა წლიური რაოდენობა;
- ღამის სათევთა რაოდენობა (საერთაშორისო/ადგილობრივი);
- უძრავი ქონების ღირებულების ზრდა ზონების მიხედვით;
- სპორტული ღონისძიებები, ფესტივალები – რაოდენობა წლის განმავლობაში;
- სერვის დაწესებულებები და ვიზიტორთა რაოდენობა;
- მწვანე არეალების ფართის ზრდა / კლება;
- მომსახურების ობიექტებისა და სავაჭრო ობიექტების რაოდენობა/მოცულობის ზრდა/კლება;
- საფეხმავლო, სავაჭრო და რეკრიაციული უბნების ფართობის ზრდა/კლება.
- საერთაშორისო მნიშვნელობის ღონისძიებების, სპორტული შეჯიბრებების – რაოდენობისა და კატეგორიების მიხედვით ზრდა/კლება
- საფეხმავლო ბილიკების და პარკინგების განვითარება;

4. ტურისტული ინფრასტრუქტურის მრავალფეროვნების საკითხები, რეგიონში ტურ-ოპერირება და სერვისის კომპონენტები, მარკეტინგისა და ბრენდირების საკითხები, ტურიზმის სეზონურობის განსაზღვრა, მცირე ბიზნესი და ადგილობრივი მოსახლეობა

ა) მიმზიდველი დანიშნულება სპორტული, სამკურნალო და რეკრეაციის კუთხით (უცხოელები, საქართველოს მოქალაქეები)

მთელს მსოფლიოში საშუალო და მაღალი ფენის დამსვენებელთა და მოგზაურთა მოთხოვნა სწრაფად იზრდება რეკრეაციული გარემოს მიმართ. საქართველოში ცოტაა ადგილები, სადაც ინფრასტრუქტურა, საკვები პროდუქტის ხარისხი და მომსახურება ერთნაირად მაღალ დონეზეა განვითარებული. მალთყვა საშუალებას იძლევა თავიდანვე სწორად დაიგეგმოს კურორტის თითოეული სეგმენტი (მცირე და საშუალო ბიზნესი (ადგილობრივი მოსახლეობის ჩართულობა და ხელშეწყობა თუ დიდი ინვესტიციების მოზიდვა), ლანდშაფტი (თანამედროვე ძვირად-ღირებული კურორტი თუ მცირე მასშტაბის, მყუდრო დასვენების ადგილი), ეკო მიმართულება თუ ქაოსური განაშენიანება,

როგორი ტიპის დამსვენებელზე უნდა იყოს ორიენტირებული (ავსტრიის ფეშენებელური რეკრეაციული კურორტის ტიპის თუ შვეიცარიის სოფლის ტიპის, რომელზეც საშუალოზე დაბალ ფენასაც მიუწვდება ხელი), უცხოელ თუ ადგილობრივ დამსვენებელზე და ა.შ. სპორტული შეკრება, სავარჯიშო ბაზა, რეკრეაცია ჯანსაღი საკვები პროდუქტისა და წყლის გარეშე წარმოუდგენელია. ამიტომ დასაგეგმია საკვები პროდუქტის მიწოდების გზები, სამეგრელოს მოსახლეობის ჩართვა კურორტისთვის სეზონური პროდუქტის წარმოებასა და მიწოდებაში.

1. სათავგადასავლო ტურიზმი

სამწუხაროდ სათავგადასავლო ტურიზმი სუსტად არის განვითარებული საქართველოში, რასაც ბევრი ფაქტორი განაპირობებს. დაცულ ტერიტორიებზე არსებული სერვისების და დამოუკიდებლად მოგზაურობის მოყვარულების გარდა, ორგანიზებული ტურისტული ჯგუფებისთვის რთულია მსგავსი ტურების მართვა. ბევრ რეგიონში დასავლეთსაქართველოს ჩათვლით, ცოტაა ბილიკები, თითქმის არ არსებობს მარკირება, ასევე ძნელად მოსაპოვებელია დეტალური რუკები და ელექტრონული მოწყობილობები, რომლებიც ამარტივებს გადაადგილებას.

სპორტულ-სათავგადასავლო ტურიზმისთვის უმთავრესი ფაქტორია გამოცდილი ადამიანური რესურსი და პერსონალი, ასევე ორგანიზატორები და სამაშველო სამსახურები, რომლებიც თავისუფლად ფლობენ უცხო ენას/ენებს. ასევე სწორად მიმართული მარკეტინგი: რას ვთავაზობთ სპორტულ ტურისტებს? საჭიროა სეგმენტირებული პროდუქტის შექმნა ინფრასტრუქტურაზე დაყრდნობით და შესაბამისი აღჭურვილობის უზრუნველყოფით.

მალთაყვას შემთხვევაში ბილიკები შესაძლოა დაიგეგმოს ისე, რომ ერთი და იმავე ბილიკით სარგებლობა შეეძლოთ ველო-ტურისტებს და საფეხმავლო ტურისტებს. მარშრუტების მიხედვით კოტეჯები და დამატებითი ფართი განსაზღვრული იყოს, როგორც ტურისტებისთვის დასვენებისთვის, ასევე ველო-აღჭურვილობის დროებით შესანახად. სასურველია კოტეჯების მოსაწყობად გამოყენებული იყოს ბუნებრივი მასალა: ქვა და ხე

მარშრუტები:

ა) წრიული ბილიკები მსუბუქი სეირნობისთვის

ბ) ბილიკები 1 და 2 დღიანი გასვლებისთვის

გ) ბილიკები და გადასასვლელები მეზობელ რეგიონებში

2. სპა და სანატორიუმები

მალთაყვაში 4 ან 5 დახვეწილი სპა სავასებით საკმარისი იქნება, რაც დამატებით მოიზიდავს დამსვენებლებს, ასევე საშუალო კლასის სანატორიუმი საქართველოს მოქალაქეებისა და უცხოელი სტუმრებისთვის.

3. საზაფხულო ბანაკები

საზაფხულო ბანაკები უაღრესად პერსპექტიული თემაა უცხოელებისთვის, განსაკუთრებით ქუთაისის აეროპორტთან სიახლოვე ოპტიმიზმის მიზეზს იძლევა. ევროპის ქალაქებიდან ახალგაზრდა დამსვენებელთა მოზიდვა სირთულე არ იქნება, იმ შემთხვევაში თუ ადგილზე სხვადასხვა სერვისებს

შესთავაზებენ: „ზიპლაინი“, საწყალოსნო და საფეხმავლო, საცოცი კედელი, იოგას სკოლა, სხვა შემეცნებითი ღონისძიებები.

4. სპორტული კომპლექსები

სპორტული ბაზები და სავარჯიშო დარბაზები, საცურაო აუზები, სარბენი ბილიკები, ღია მოედნები, ზღვის წყალთან წვდომა სპორტის სახეების თვალსაზრისით და ა.შ.. მთელი ეს ინფრასტრუქტურა მოემსახურება როგორც ადგილობრივ ასევე უცხოურ სპორტულ კლუბებს. რაც საგრძნობლად გაზრდის ბფოთი-მალთაყვას სეზონურობას. გათვალისწინებული უნდა იყოს ლელო-ბურთის ტრადიციული შეჯიბრის გასამართად სივრცე, რომელიც მიმზიდველი იქნება მოკლე-ვადიანი ვიზიტორებისთვისაც.

5. გასართობი სივრცეები და საკონვენციო ცენტრი

200-500 ადამიანის სიმძლავრის საკონვენციო ცენტრი მიმზიდველი იქნება როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო და საერთაშორისო ორგანიზაციებისთვის, გასვლითი სემინარებისა და კონფერენციების ჩასატარებლად.

გასართობითი სივრცეები უნდა იყოს როგორც ღია, ასევე დახურული: კაფე-ბარები, კინო თეატრი, დისკოტეკა და სხვა.

6. ტურისტული საინფორმაციო ცენტრი

ტურისტული საინფორმაციო ცენტრი, ინფორმაციის გაცემის გარდა უნდა ითავსებდეს სერვისის გაუმჯობესების ხელშეწყობას: პრაქტიკანტები, მოხალისეები, სერვის-მუშაკები და სხვა.

5. ტურისტული პოტენციური პროდუქტის შეფასება სეზონების მიხედვით; ტურიზმის ფორმების განსაზღვრა: დასვენების ტურიზმი, სპორტულ კომპლექსებთან შესაბამისობა, დაცულ ტერიტორიებთან შესაბამისობა და სხვ.

2018 წლის იანვარი-ივლისის თვის მონაცემებით საქართველოში 4,600,988 საერთაშორისო მოგზაურების ვიზიტი განხორციელდა, ზრდა წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით +12.9%-ია. საერთაშორისო ვიზიტორების მიერ განხორციელებულმა ვიზიტების რაოდენობამ 3,843,036 შეადგინა, ზრდა +15.1%-ია. ტურისტული ვიზიტების რაოდენობამ 2,498,751 შეადგინა, რაც 433,624-ით მეტია 2017 წლის იანვარი-ივლისის მაჩვენებელზე (ზრდა +21%)

აღნიშნული ვიზიტების სეგმენტაციისთვის სამომავლოდ უნდა განხორციელდეს ზუსტი კვლევა სპორტული მიზნებით ჩამოსულ უცხოელ ვიზიტორებზე. ასევე მნიშვნელოვანია შიდა სპროტული ღონისძიებების სტატისტიკა და იმის გათვალისწინება, რომ სხვა რეგიონებმა არ დაკარგონ შიდა მომხმარებელი (საქართველოს მოქალაქეები).

შავ ზღვაზე საერთაშორისო ვიზიტორების მიერ განხორციელებული ვიზიტების რაოდენობა

საერთაშორისო ვიზიტორების მიერ განხორციელებული ვიზიტები				
	2015	2016	2017	2018 I კვ.
ურეკი	31,471	31,389	74,912	5,842
ბათუმი (კვარიათი, ბოტანიკური ბაღი, გონიოს ციხე და სხვა)	1,510,711	1,627,261	1,837,307	275,008
ქობულეთი	149,117	139,620	221,272	4,339
ანაკლია	29,575	49,263	66,842	1,407

მოცემული ციფრები გვაძლევს საშუალებას განვსაზღვროთ ფოთი-მალთაყვას პოტენციური ვიზიტორი, დამსვენებელი თუ მომხმარებელი.

6. სპორტული ინფრასტრუქტურა, არსებული მდგომარეობა და განვითარების პერსპექტივები

სპორტული ინფრასტრუქტურა არის სპორტის სისტემის მატერიალური ბაზა, რომლის შექმნისა და განვითარების გარეშე შეუძლებელი იქნება სპორტის სახელმწიფო პოლიტიკის სტრატეგიული მიზნების განხორციელება. მალთაყვაში სპორტისა და ვარჯიშებისათვის საჭირო ინფრასტრუქტურა შეიცავს კომუნალურ ინფრასტრუქტურასაც, ელექტრო და ბუნებრივ აირ-მომარაგებას, წყალ-მომარაგებას, კომუნიკაციების და უსაფრთხოების სისტემებს და სპორტული მენეჯმენტისა და ინფრასტრუქტურის უზრუნველსაყოფად სხვადასხვა დასახელების საქონლისა და მომსახურების მომწოდებლებს. სპორტული ინფრასტრუქტურა აერთიანებს სხვადასხვა ტიპის ისეთ ნაგებობებსა და ობიექტებს, როგორიცაა სპორტული ცენტრები, სარეკრეაციო ზონები, სტადიონები, მცირე მოედნები, საცურაო აუზები და საწყალოსნო ცენტრები, იპოდრომები, ჩოგბურთის კორტები, , , საბავშვო მოედნები და სხვა. სახელმწიფო დაწესებულებები, კერძო კომპანიები, სპორტული ორგანიზაციები და მუნიციპალიტეტები უნდა მუშაობდენ სპორტულ ინფრასტრუქტურასთან გამომდინარე სახელმწიფოსა და კერძო ბიზნესის ინტერესებიდან. ინფრასტრუქტურის მართვას ახასიათებს ძალიან მნიშვნელოვანი სოციალური და ეკონომიკური გავლენა გარემოსა და საზოგადოების მდგრად განვითარებაზე. სპორტის, ვარჯიშისა და დასვენების ინფრასტრუქტურის სფერო როგორც ეკონომიკის სექტორი, ძალიან დიდია და მისი ზუსტი გავლენის განსაზღვრა ძალზე რთულია, სტატისტიკა კი ძალიან არაზუსტი, განსაკუთრებით ფოთის შემთხვევაში. ეს სექტორი ერთ–ერთი ყველაზე მზარდია დღევანდელი მსოფლიოს ეკონომიკაში. სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარება

მჭიდროდაა დაკავშირებული მენეჯმენტის ახალ სისტემებთან, გარემოს დაცვის განვითარებასთან, დაგეგმარების, მშენებლობის, რეკონსტრუქციის სტანდარტებსა და ნორმებთან, ადამიანებისათვის ინოვაციური პროგრამების მართვასა და გაფართოებასთან.

ფოთი/მალთაყვას მდებარეობა ევროპისა და აზიის გზაჯვარედინზე საშუალებას გვაძლევს შავი ზღვით დავაკავშიროთ ფოთი/მალთაყვა ხმელთაშუა ზღვის აუზის ქვეყნებსა და მთელ მსოფლიოს საკრუიზო და სპორტული ტურიზმის გასავითარებლად. საქართველოს ტერიტორია ჰავის დიდი მრავალფეროვნებით გამოირჩევა. შედარებით მცირე ფართობის მიუხედავად, ფოთი/მალთაყვასთან ახლო მდებარე რეგიონებში წარმოდგენილია დედამიწის ზედაპირზე არსებული ჰავის თითქმის ყველა ტიპი.ჰავის ასეთი მრავალფეროვნება განპირობებულია ქვეყნის მდებარეობით სუბტროპიკულ და ზომიერ კლიმატურ სარტყლების მიჯნაზე და რელიეფის თავისებურებით, ასევე აღსანიშნავია, მალთაყვას ხელსაყრელი რეკრეაციულ-გეოგრაფიული მდებარეობა, რადგანაც იგი მნიშვნელოვან ტურისტულ-რეკრეაციულ არეალებს – კავკასიონსა და შავი ზღვის პირეთს შორისაა მოქცეული. კულტურულ-გეოგრაფიული მდებარეობის თვალსაზრისით ფოთი-მალთაყვა სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის და ახლო აღმოსავლეთის კულტურულ რეგიონებს შორის მდებარეობს, რაც თავისებურ გავლენას ახდენს ქვეყნის ტურიზმისა და სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე. თუმცა ტურიზმის ინდუსტრიაში, სპორტული ტურიზმი ძალიან სუსტად არის წარმოდგენილი საქართველოში.

დღევანდელი მდგომარეობით ფოთში საბჭოთა პერიოდის სპორტული ინფრასტრუქტურის დიდი ნაწილი განადგურებულია, შემორჩენილი ნაწილი კი ან მნიშვნელოვან განახლებას საჭიროებს ან არ აკმაყოფილებს არსებულ რაოდენობრივ თუ ხარისხობრივ მოთხოვნებს. შესაბამისად აუცილებელია, როგორც შემორჩენილი სპორტული ინფრასტრუქტურის აღდგენა–განახლება, ისე ახალი სპორტული ინფრასტრუქტურის მშენებლობა.

სპორტული ღონისძიებების ჩატარებისას ეკონომიკის ისეთი სფეროები, როგორიცაა წარმოება, მშენებლობა, ტურიზმი და სხვ. პოულობენ სარბებელს, რასაც შეუძლია ხელი შეუწყოს ეკონომიკის აღდგენის დაჩქარებას რეგიონში. სხვადასხვა სპორტული ღონისძიებებისათვის აშენებული ობიექტები მომავალში გამოიყენებულ იქნება, არა მარტო სპორტსმენთა მომზადებისათვის, არამედ საერთაშორისო სპორტული ტურნირების და სავარჯიშო პროგრამების განსახორციელებლად, ასევე საზოგადოების ფიზიკური გაჯანსაღებისათვის.

ფოთი/მალთაყვას პროექტის განვითარების აუცილებელი პირობაა, ტურისტული ინფრასტრუქტურის შესაბამისი მომსახურე პერსონალი. ადგილობრივი მოსახლეობისთვის გაჩნდება ახალი სამუშაო ადგილები, რითაც დაიძლევა სიღარიბე და უმუშევრობა.

ისეთ ქვეყნებში, სადაც განვითარებულია სპორტული ტურიზმი თავისი მრავალფეროვანი ტურისტული ინფრასტრუქტურით, სერვისის კომპონენტის განვითარებას სპეციალური პროგრამები ეთმობა, ასევე თან ერთვის მომსახურების სასწავლო-საგანმანათლებლო ბაზების განვითარება.

საერთაშორისო ტურიზმიდან მიღებული შემოსავლები

2017 წელს, საერთაშორისო სპორტული ტურიზმიდან მიღებულმა შემოსავლებმა $19 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა. სპორტულ ტურიზმში მოწინავე ქვეყნების ათეულის უმრავლესობა შემოსავლების მხრივ, ევროპული ქვეყნებია, ლიდერთა შორის აშშ-ც არის, ასევე უკანასკნელ წლებში ავსტრალია, ახალი ზელანდია, კანადა, იაპონია, თურქეთი და სხვა ქვეყნებიც დიდ ყურადღებას უთმობენ სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარებას.

წყარო: მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაცია

სპორტულ ვარჯიშებისა, ტურნირების და ჩემპიონატების მონაწილეებს ემატებიან გულშემატკივრები, რომელთა ვიზიტებს ძლიერი სასტუმრო და კვების უზრუნველყოფა ესაჭიროება. სპორტული სტუმარ-მასპინძლობის ინდუსტრიის განვითარებისთვის დასაწყისშივე აუცილებელია სწორი დაგეგმარება და პოტენციური რესურსების მაქსიმალური გამოყენება.

სპორტული ტურიზმი მთელს მსოფლიოში ეკონომიკური აღმავლობის, მიმზიდველობის და გულშემატკივრებისთვის გართობის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ფორმა ხდება. მალთაყვაში შესაძლებელია მოეწყოს სპორტის სხვადასხვა სახეობებში ფართომასშტაბიანი საერთაშორისო ტურნირები.

სპორტულ ტურიზმში არამხოლოდ კონკრეტულ მატჩებზე დასწრება და ცნობილი არენებისა და მოედნების დათვალიერება შედის, არამედ ბევრ ქვეყანაში ტურისტებს თვითონ ეძლევათ ამა თუ იმ სპორტულ ღონისძიებაში მონაწილეობის საშუალება.

7. რეკომენდაციები

სახელმწიფოს როლი მალთაყვაში სპროტული ტურიზმის განვითარებისთვის:

სახელმწიფოს შეუძლია საერთაშორისო სპორტული ტურიზმის სფეროში ტურისტული დანიშნულების ადგილის მხარდაჭერისთვის შემდეგი სახის მოქმედებების განხორციელება:

1. საერთაშორისო სპორტულ ტურიზმზე ორიენტირებული პროფესიული, საბაკალავრო, სამაგისტრო, სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების შექმნა, დაფინანსება, დანერგვა და სწავლის ხარისხის კონტროლი;
2. საერთაშორისო სპორტულ ტურიზმზე ორიენტირებული მოკლე-ვადიანი კვალიფიკაციის ასამაღლებელი პროგრამებისა და ადგილობრივი სამუშაო ძალის საერთაშორისო ტურიზმის მომსახურე სფეროში ადაპტირებისთვის საჭირო ცოდნის შექმნისა და განხორციელების ხელშეწყობა;
3. საერთაშორისო ტურიზმში დასაქმებული ორგანიზაციების ვაკანსიების შესახებ მუდმივად განახლებადი მონაცემთა ბაზის შექმნა და ამ გზით მეწარმისა და სამუშაოს მაძიებლის დაკავშირება;
4. დასაქმებულის მიმართ დისკრიმინაციულ მიდგომასთან ბრძოლა; შრომითი უფლებების დაცვის მონიტორინგი; კოლექტიური ხელშეკრულებების შესრულების გარანტირება;
5. სანიტარული დასუფთავებისა და წყალ-მომარაგების სამსახურების ნორმალური მუშაობის უზრუნველყოფა; მოქალაქეების მიერ გარემოს დაბინძურებაზე მონიტორინგი და შესაბამისი რეაგირება;
6. მოქალაქეთა ეკოლოგიური განათლება;
7. ტურისტული ბაზრის მონოპოლიზების პრაქტიკის გამოვლენა და აღკვეთა; ბაზრის განაწილების შეთანხმებებთან ბრძოლა; ბაზარზე ახლად შემოსული კომპანიისთვის დადგენილი ბარიერების აღმოჩენა და გაქრობა;
8. სახელმწიფო შესყიდვების პროცესში ჩინოვნიკთან დადებულ კორუფციულ გარიგებებთან ბრძოლა; დასაქმებულსა და დამსაქმებელს შორის ხელშეკრულებების სამართლებრივი ბაზით უზრუნველყოფა; შრომითი დავების სასამართლო გზით მოგვარების პრაქტიკის დანერგვა; ეკოლოგიური გადასახადის შემოღება; გარემოს დაბინძურების ნებართვის გაყიდვის პრაქტიკის დანერგვა; კომპანიებში გარემოს დაცვითი მოქმედებების საწარმოო პროცესებთან ინტეგრირების სტიმულირება;
9. საკუთრებითი ურთიერთობების მკაფიო განსაზღვრა ტურისტული დანიშნულების ადგილას; ტრეფიკინგის, მოგზაურებზე თავდასხმის, მოგზაურების ძარცვის და ქურდობის პრევენციული მოქმედებების განხორციელება, ამ სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობა პარტნიორი ქვეყნების შესაბამის სტრუქტურებთან და შესაბამისი სამართლებრივი ქმედებების განხორციელება;

10. ტურისტული დანიშნულების ადგილებში ეპიდემიური სიტუაციის მონიტორინგის განხორციელება და სათანადო რეაგირება. საბაჟო გამშვებ პუნქტებზე მოგზაურებზე დაკვირვება, ეპიდემიის საფრთხის ქვეშ მყოფი ქვეყნებიდან მიგრაციის რეგულირება და ამ ქვეყნებში მოგზაურობის შეზღუდვა;

11. პარტნიორ ქვეყნებთან ორმხრივი და მრავალმხრივი შეთანხმების საფუძველზე სამოგზაურო ბარიერების შემცირება; ტურისტული მომსახურების სტანდარტების შესრულებაზე კონტროლის განხორციელება და შესაბამისი რეაგირება; ტურისტული დანიშნულების ადგილების ხელმისაწვდომობის გადიდება სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის შექმნისა და მოვლა-შენახვის, სატრანსპორტო კვანძების ეფექტური დაგეგმვის, საზოგადოებრივი ტრანსპორტის ნორმალური მუშაობის უზრუნველყოფის მეშვეობით;

12. ტურისტული დანიშნულების ადგილებზე ტურისტების ეკო-განათლების შესაბამისი სისტემის შექმნა; გარემოსა და კულტურაზე ზემოქმედების შემცირება ან თავიდან არიდება; სოციალური დაძაბულობის მართვა;

13. საბიუჯეტო რესურსების გადანაწილება საერთაშორისო ტურიზმთან დაკავშირებულ ინფრასტრუქტურაზე, საერთაშორისო მოგზაურების უსაფრთხოების, ჯანმრთელობის დაცვის უზრუნველყოფაზე;

14. სახელმწიფო ფინანსური რესურსების საერთაშორისო ტურიზმთან დაკავშირებულ მიმართულებებზე ხარჯვის ეფექტიანობის მკაფიო კრიტერიუმების შემუშავება, მათი მკაცრი კონტროლი და ამ საფუძველზე საერთაშორისო ტურიზმის მხარდასაჭერი სამთავრობო პროგრამების სიცოცხლისუნარიანობის არგუმენტირება და შეფასება;

15. სახელმწიფოს საბიუჯეტო რესურსების მიმართვა სპორტულ და გარემოსდაცვით პროგრამაზე, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად არიან დაკავშირებული საერთაშორისო მოგზაურობის სფეროსთან;

16. სახელმწიფოს ქმედებები, განხორციელებული საერთაშორისო ტურიზმის სფეროში ტურისტული დანიშნულების ადგილის მხარდაჭერისთვის, შემდეგ შედეგს გამოიღებს: 1. უფრო კვალიფიცირებული პერსონალი, გაზრდილი შრომის ნაყოფიერება, სერვისის გაზრდილი ხარისხი, უმუშევრობის დონის შემცირება; ტურიზმის დარგში ადგილობრივთა ჩართულობის გადიდება; ადგილობრივ მოქალაქეთა საცხოვრებელი პირობების შენარჩუნება და გაუმჯობესება; 2. შრომის ბაზრის სამართლიანობის ხარისხის ამაღლება; მეწარმეებს შორის კონკურენტული ბრძოლის გაძლიერება, ასახული უკეთეს ფასში, ხარისხში და გამოყენებულ ტექნოლოგიებში; დამსაქმებელსა და დასაქმებულს შორის მოწესრიგებული სამართლებრივი ურთიერთობის ჩამოყალიბება; 3. საერთაშორისო ტურიზმთან დაკავშირებული ორგანიზაციების გარემოზე მავნე ზემოქმედების შემცირება; მესამე პირებისთვის მიყენებული ზარალის შემცირება საკუთრებითი ურთიერთობების მოწესრიგების გზით; საერთაშორისო მოგზაურობის გაადვილებული პროცესი; მოგზაურობის უსაფრთხოების გაზრდილი ხარისხი; მოგზაურობისგან მიღებული შთაბეჭდილებების გაუმჯობესება; 4. სოციალური, კულტურული და გარემოსდაცვითი თვალსაზრისით უფრო პასუხისმგებლიანი საერთაშორისო მოგზაური; 5. საერთაშორისო ტურიზმის სფეროს გადიდებული დაფინანსება; სახელმწიფო ფინანსების ხარჯვის გაზრდილი ეფექტიანობა; საერთაშორისო ტურიზმთან დაკავშირებული სახელმწიფო სამსახურების მაღალეფექტიანი და ოპტიმალური სტრუქტურა.

გარემოს დაცვა

საპროექტო ტერიტორია განთავსებულია შავი ზღვის წყალდაცვით ზონასა და კოლხეთის ეროვნულ პარკს შორის. კოლხეთის ეროვნული პარკის საზღვარი, უშუალოდ ემიჯნება კოლიმბარის კუნძულის სანაპირო ზოლს აღმოსავლეთის მხრიდან. ამავე მიჯნაზე გადის ზურმუხტის ქსელის კანდიდატი საიტის (კოლხეთი GE0000006) საზღვარი, რომელიც იმეორებს კოლხეთის ეროვნული პარკის არეალის კონფიგურაციას.

საპროექტო გადაწყვეტით კოლიმბარის კუნძულზე მაქსიმალურად ხდება არსებული ბუნებრივი გარემოს შენარჩუნება და უმნიშვნელო ჩარევა გათვალისწინებულია მხოლოდ იმ მონაკვეთზე სადაც არსებული მდგომარეობით ფიქსირდება შენობანაგებობები ან/და დაგეგმილია ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარება (ს/კ 04.02.14.358 და მიმდებარე ტერიტორიები).

გარდა ზემოთთქმულისა, სამშენებლოდ განვითარებას ექვემდებარება ის ტერიტორიები რომლებიც უშუალოდ ემიჯნება საცხოვრებელ განაშენიანებასა და სენაკი-ბათუმის მაგისტრალს. მოცემულ ტერიტორიაზე დაგეგმილია აგრო-ჰაბის მოწყობა, რომელიც მოემსახურება კოლიმბარის კუნძულზე დაგეგმილ აგრო-პარკში მოწეული მოსავლის გამოფენასა და რეალიზაციას. კუნძული დანარჩენი ნაწილი (90%) სრულად დათმობილია აგროპარკისთვის, სადაც მოხდება ეკოლოგიურად სუფთა, ეკო-პროდუქტის მოყვანა. აგროპარკის დაგეგმივსთვის და მისი ეფექტურობის შესასწავლად კოლიმბარის კუნძულისთვის ამ პროექტის ფარგლებში განხორციელდა გრუნტის კვლევა (ანასეულის კვლევითი ლაბორატორია), რომელმაც დაადასტურა ნიადაგის ვარგისიანობა მთელი რიგი სიტრუსის, ხეხლისის, ბაღჩეული და სხვა კულტურების გასაშენებლად.. აქვეა დაგეგმილი ტურისტული მარშრუტის მოწყობა აგროტურიზმის განვითარებისთვის.

მნიშვნელოვანია მდინარე კაპარჭინას როლი ბუნებრივი გარემოს შექმნა-შენარჩუნებაში. საპროექტო გადაწყვეთით მაქსიმალურად ხორციელდება მისი ავთენტურობის შენარჩუნება და რეკომენდაციის სახით გაწერილია მხოლოდ მისი გაწმენდითი ღონისძიებები.

გარემოსდაცვითი კუთხით მნიშვნელოვანია აგრეთვე ზღვისპირა სანაპირო ზოლის შენარჩუნება ბუნებრივი სახით. ამისთვის ხელუხლებლად ხედება 100 მეტრიანი სიგანის სანაპირო ზოლის დაცვა ყოველგვარი მშენებლობისგან. გამონაკლისს წარმოადგენს სანაპიროზე არსებული შენობა-ნაგებობა, რომელიც მოქმედი მიწათსარგებლობის გეგმითაც ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონაშია განთავსებული. გრგ-თი დაგეგმილია მხოლოდ ამ შენობის რეაბილიტაცია, ფართობისა და შეუსაბამობის ხარისხის გაუზრდელად.

აქვე აღსანიშნავია, რომ კოლიმბართან დაკავშირებული აქტივობები (ტურისტული ცენტრი, აგრო-ჰაბი, აგრო-პარკი) რთულად ინტეგრირებადია იმ სამანქანო მაგისტრალთან რომლის გატარებას ერთ-ერთი ვერსიით სწორედ ამ კუნძულზე უნდა მოხდეს. სენაკი-ბათუმის დამაკავშირებელი ავტობანის გატარება კოლიმბარის კუნძულზე მნიშვნელოვნად შეაფერხებს მისი როგორც ეკოლოგიურად სუფთა რეკრეაციული სივრცის განვითარებას, ისე მის ტურისტულ პოტენციალს.

საავტომობილო კავშირები

ტერიტორიისსაავტომობილო კავშირით უზრუნველყოფა (ზღვისპირა ნაწილი) ხორციელდება შვიდი ძირითადი შემოსასვლელიდან (გვ. 153;154);

1. მშვიდობის ქუჩა (რიონის პარალელურად)
2. ბარათაშვილის ქუჩა (კავშირით ფოთის ცენტრალურ პარკთან)
3. კუიბიშევის ქუჩა (ან გურიის ქუჩა) კავშირით სენაკი-ბათუმის (ს2) მაგისტრალთან)
4. საპროექტო გზა "ახალი უბნის" მიმდებარედ
5. არსებული გზა ტყე-პარკის გავლით (საბოლოოდ შესაძლებელია მხოლოდ საფეხმავლო ფუნქციის შენარჩუნება)
6. საპროექტო გზა ტყე-პარკის სამხრეთ მონაკვეთში
7. არსებული გზა პალიასტომის არხის პარალელურად.

კოლიმბარის მხარეს კავშირებისთვის ნაწილობრივ გამოყენებულია არსებული ხიდები, ნაწილობრივ დაგეგმილია ახალი გადასასვლელების მოწყობა მდ. კაპარჭინაზე.

კოლიმბარის კუნძულზე სატრანსპორტო მოძრაობა მინიმუმამდეა დაყვანილი და განსაზღვრულია მხოლოდ სპეც ტექნიკისა და მომსახურების ტრანსპორტის გადაადგილებისთვის.

ზღვის მხარეს ყოველი შემოსასვლელი სიღრმეში უზრუნველყოფილია სატრანსპორტო კვანძით, საიდანაც მეორეხარისხოვანი გზებით ხორციელდება საპროექტო ობიექტების უზრუნველყოფა სატრანსპორტო კავშირებით. მეორეხარისხოვანი გზები უმეტესწილად ჩიხურ სისტემაზეა აწყობილი და გრძელდება სანაპიროს გასწვრივ არსებულ და საპროექტო ბულვარამდე. ჩიხური კავშირები უზრუნველყოფს გართობა-დასვენებისთვის განსაზღვრული ზონების უსაფრთხო კავშირს და წვდომას საპლაჟო ზონასთან.

აღსანიშნავია რომ არსებულ (მიმდინარეობს ბულვარის მოწყობის სამუშაოები) ბულვარზე დაგეგმილია სატრანსპორტო მოძრაობის შეზღუდვა და სავალი ნაწილის გამოყენება საფეხმავლო ზოლად, ხოლო არსებული ტროტუარების ადაპტაცია საველოსიპედო მოძრაობისთვის.

ასეთი სისტემა ართულებს ზღვის პარალელურად გადაადგილებას ავტოტრანსპორტით და კავშირებს სანაპირო ზოლის მიმდებარე ზონებს შორის.საკომპენსაციოდ დაგეგმილია ამ მიმართულებით ალტერნატიული სატრანსპორტო საშუალებების გამოყენება.

ალტერნატიული ტრანსპორტი

გრძივი კავშირის შესაქმნელად პროექტის ფარგლებში დაგეგმილია ნაწილობრივ ძველი სამგზავრო-სალიანდაგე ტრანსპორტის აღდგენა, ნაწილობრივ კი ახალი ტრამვაის ხაზის დაგებმვა. საბოლოოდ შესაძლებელია შენარჩუნდეს მარშრუტი, თუმცა ნაცვლად ე.წ. "კუკუშკისა" რომელიც ტყეპარკის სიღრმეში მოძრაობდა, გამოყენებულ იქნას სხვა ეკოლოგიურად სუფთა ტრანსპორტი.

პროექტით დაგეგმილია ასეთი ხაზის აღდგენა/მშენებლობა ეტაპობრივად (იხ. გვ 155):

I ეტაპი – ძველი ხაზის აღდგენა ოქროს ტბიდან პალიასტომის არხამდე, რაც ძირითადად მოემსახურება წყლის სპორტის ზონასა და სასტუმროების კომპლექსებს.

II ეტაპი – წყლის სპორტის დაკავშირება სპორტული მოედნების ზონასთან და ნიკოლაძის კუნძულთან.

III ეტაპი – სასტუმრო კომპლექსების დაკავშირება აბროპარკთან.

IV ეტაპი – აგროპარკის დაკავშირება აგროჰაბთან.

V ეტაპი – აგროჰაბის დაკავშირება ქალაქის ცენტრთან.

VI ეტაპი – ცენტრის დაკავშირება სპორტულ ზონასთან.

ყველა ეტაპის განხორციელების შემდგომ შესაძლებელი გახდება წრიული მოძრაობის დაგეგმვა ორივე მიმართულებით.

საფეხმავლო კავშირები

გადაადგილების მთავარ საშუალებად გათვალისწინებულია საფეხმავლო მოძრაობა. მიუხედავად ტერიტორიის სიდიდისა მნიშვნელოვანია, რომ ძირითადი საფეხმავლო კავშირები ზღვის პერპენდიკულარულია, რაც სასტუმროების ზონაში 300-350 მეტრს შეადგენს მაქსიმუმ. ასეთი საფეხმავლო არეალი დასაშვებია საკურორტო ზონებში გადაადგილებისთვის (გვ. 153;154);.

გარდა ძირითადი, ზღვისკენ მიმართული მოძრაობისა პროექტი ითვალისწინებს სასეირნო ბილიკებს ზღვის პარალელურად (ბულვარი) და ტყე პარკის ტერიტორიაზე. აგრეთვე სარბენ/სავარჯიშო ბილიკებს სპორტულ ზონებში.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ზღვისკენ განთავსებული ზონების კავშირი კოლიმბარის კუნძულთან. ამ ორი მნიშვნელოვანი მიზიდვის ცენტრის დასაკავშირებლად აუცილებელია გამჭოლი, ტრანზიტული მაგისტრალის გადაკვეთა, რაც უარყოფითად მოქმედებს უსაფრთხო გარემოს ჩამოყალიბებაზე.

შემოვლითი გზის განხორციელების შემთხვევაში (მიმიდნარეობს საპროექტო სამუშაოები ტრაექტორიის დასადგენად) თუ ახალი საპროექტო ტრანზიტული გზა აღარ გაივლის არსებულ მონაკვეთზე, შესაძლებელია არსებულ გზაზე (ს2) გადასასვლელების მოწყობა შუქნიშნების გამოყენებით ან/და გზის ორ დონეში გადაკვეთით, ხოლო თუ ახალი საპროექტო გზა გაივლის კოლიმბარის კუნძულზე, რაც გარემოსდაცვითი კუთხით მიუღებელია, მაშინ აღარ გახდება აუცილებელი ასეთი საფეხმავლო კავშირების არსებობა.

უბნებად და სექტორებად დაყოფის პრინციპები

საპროექტო ტერიტორია დაყოფილია 28 უბნად და 233 სექტორად. ტერიტორიის (უბნების) საერთო ფართობია 8319873 კვ.მ. და მისი მიახლოებითი გაბარიტებია 9 კმ X 2.5 კმ-ზე. ასეთი მასშტაბი მიახლოებით ქობულეთის მთლიან დასახლებას შეესაბამება, ან სანაპირო ზოლს სარფიდან გონიომდე. სტერიტორიის მასშტაბის აღსაქმელად იხ. მასშტაბების შედარება (გრაფიკულ ნაწილში) სადაც წარმოდგენილია შედარებები თბილისის, ბათუმისა და ზემოთ ნახსენებ სანაპირო ზოლის დასახლებულ კუნქტებთან.

მათი დაყოფა განპირობებულია მათი ადგილმდებარეობიდან, ბუნებრივად გამოყოფილი ფართობებიდან და აუცილებელი ურთიერთკავშირებიდან.

სექტორების და ქვესექტორების ფუნქციები და დანიშულებები იხილეთ ქვემოთ მოცემულ ჩამონათვალში, ასევე პროექტში წარმოდგენილია მათი ურთიერთკავშირების სქემა (იხილეთ ნახაზი ,,ურთიერთკავშირების სქემა" გვ. 151; 161)

უბნების ჩამონათვალი:

<u>უბანი – ა</u>

დომინირებული ფუნქციური ზონა – რზ*

ძირითადი ფუნქცია (სახეობა) – კემპინგი, ავტოკემპინგი,

დამხმარე დაშვებული სახეობები – ადმინისტრაცია, საშხაპე, ტუალეტი, პარკინგი, სამაშველო, საინჟინრო ნაგებობა

განმაპირობებელი ფაქტორები – უშორესი წერტილი ურბანული გარემოდან. კარგი საკლიაჭო ზონა ტყის მომიჯნავედ. პირდაპირი კავშირი სამანქანო გზასთან

<u>უბანი – ბ</u>

დომინირებული ფუნქციური ზონა – რზ*

ძირითადი ფუნქცია (სახეობა) – კოლხეთის ეროვნული პარკის სტუმრებისთვის კოტეჯები

დამხმარე დაშვებული სახეობები – ადმინისტრაცია, საშხაპე, ტუალეტი, პარკინგი, სამაშველო, საინჟინრო ნაგებობა

განმაპირობებელი ფაქტორები – ყველაზე აქტიური ტყე. ურბანული გარემოდან დიდი დაშორება. პირდაპირი კავშირი პალიასტომის არხთან.

<u>უბანი – გ</u>

დომინირებული ფუნქციური ზონა – სრზ-1

ძირითადი ფუნქცია (სახეობა) – ინდივიდუალური, კოტეჯის ტიპის სასტუმროების კომპლექსი.

დამხმარე დაშვებული სახეობები – ადმინისტრაცია, საშხაპე, ტუალეტი, პარკინგი, სამაშველო, საინჟინრო ნაგებობა, მცირე სპორტული ობიექტები, საბავშვო მოედნები, კვების და გართობის ობიექტები

განმაპირობებელი ფაქტორები – კარგი საკლიაჭო ზონა, სიახლოვე სასტუმრო კომპლექსებთან. ყველაზე განიერი ქვიშის სანაპირო

<u>უბანი – დ</u>

დომინირებული ფუნქციური ზონა – სრზ-2

ძირითადი ფუნქცია (სახეობა) – სასტუმრო კომპლექსი

დამხმარე დაშვებული სახეობები – ადმინისტრაცია, საშხაპე, ტუალეტი, პარკინგი, სამაშველო, საინჟინრო ნაგებობა, მცირე სპორტული ობიექტები, საბავშვო მოედნები, კვების და გართობის ობიექტები

განმაპირობებელი ფაქტორები – კარგი საკლიაჭო ზონა, სიახლოვე ტყეპარკთან (მ). ყველაზე განიერი ქვიშის სანაპირო. არსებული სასტუმრ.

უბანი – ე

დომინირებული ფუნქციური ზონა – სრზ-2

ძირითადი ფუნქცია (სახეობა) – საკლიაჭო ზონა

დამხმარე დაშვებული სახეობები – საშხაპე, ტუალეტი, პარკინგი, სამაშველო, საინჭინრო ნაგებობა, მცირე სპორტული ობიექტები, საბავშვო მოედნები, კვების და გართობის ობიექტები, ქვიშის სპორტი.

განმაპირობებელი ფაქტორები – საუკეთესო მონაკვეთი სანაპირო ზოლზე. კავშირი სასტუმრო (დ), წყლის სპორტის (ვ), სპორტული დარბაზების (ზ) და სპორტსმენების სასტუმრო კომპლექსებთან (თ).

უბანი – ჰ

დომინირებული ფუნქციური ზონა – სრზ-2

ძირითადი ფუნქცია (სახეობა) – წყლის სპოტის ზონა

დამხმარე დაშვებული სახეობები – წყლის სპორტისთვის აუცილებელი ნაგებობები, ტრიბუნები, სასტუმრო, პარკინგი, ტრეინინგ ცენტრი

განმაპირობებელი ფაქტორები – არსებული წყლის სპორტის ინფრასტრუქტურა. არსებული ტრიბუნები. არსებული სასტუმრო. ოქროს ტბა და მისი გაფართოვების შესაძლებლობა.

უბანი – ზ

დომინირებული ფუნქციური ზონა – სრზ-2

ძირითადი ფუნქცია (სახეობა) – სპორტული დარბაზები

დამხმარე დაშვებული სახეობები – სპორტული დარბაზები, საინჭინრო ნაგებობა, პარკინგი

განმაპირობებელი ფაქტორები – ბრტყელი ტერიტორია. სიახლოვე სპორტსმენების სასტუმროებთან და წყლის სპორტის კომპლექსთან. პირდაპირი კავშირი შემოვლით გზასთან და ქალაქთან.

უბანი – თ

დომინირებული ფუნქციური ზონა – სრზ-2

ძირითადი ფუნქცია (სახეობა) – სასტუმრო კომპლექსი სპორტსმენებისთვის

დამხმარე დაშვებული სახეობები – სატუმროები, პარკინგი, ელინგი, საინჭინრო ნაგებობა

განმაპირობებელი ფაქტორები – სასტუმრო კომპლექსი განთავსებულია არსებული ტბის გარშემო, რაც დამატებითი ბენეფიტია. შესაძლებელია წყლის სარკის გარშემო მცირე, ლოკალური ბულვარის მოჭყობა ძირითად ბულვართან კავშირით.უშუალოდ უკავშირდება სპორტულ დარბაზებს (ზ) და სპორტული მოედნების კომპლექსს (ი)

უბანი – ი

დომინირებული ფუნქციური ზონა – სრზ-2

ძირითადი ფუნქცია (სახეობა) – სპორტული მოედნების კომპლექსი

დამხმარე დაშვებული სახეობები – ფეხბურთის მოედნები (სტანდარტული, არასტანდარტული, მინი, კალათბურთი, რაგბი, კორტები, ფრენბურთი და ა.შ.) პარკინგი, საინჭინრო ნაგებობები და ა.შ.

განმაპირობებელი ფაქტორები – განთავსებულია ყველაზე ვრცელ და გამომშრალ ტერიტორიაზე. არსებული საწრეტი არხები დაშორებულია ერთმანეთისგან სიგანეში 100-120 მეტრით რაც საკმარისია სავარჯიშო მოედნების მოსაწყობად. მაქსიმალურად უახლოვდება სასხოვრებელ ნაწილს. უშუალოდ ემიჯნება სპორტსმენების სასტუმრო კომპლექსს (თ)

უბანი – კ

ფუნქციური ზონა – სრზ-2

ძირითადი ფუნქცია (სახეობა) –გასართობი და შემეცნებითი ცენტრი (მითოლოგიური კუნძული)

დამხმარე დაშვებული სახეობები – პარკის ფუნქციონირებისთვის აუცილებელი ობიექტები

განმაპირობებელი ფაქტორები – ტერიტორია უშუალოდ ემიჯნება სასხოვრებელ კვარტლებს, ღირშესანიშნაობას (შუქურა) და საპროექტო ბულვარს. ხიდებით კავშირის უზრუნველყოფა გააააქტიურებს საფეხმავლო კავშირებს კუნძულთან

<u>უბანი – ლ</u>

დომინირებული ფუნქციური ზონა – სსზ-2

ძირითადი ფუნქცია (სახეობა) – შუქურა და ტურისტული ზონა

დამხმარე დაშვებული სახეობები – კვების ობიექტები

განმაპირობებელი ფაქტორები – არსებული ღირშესანინაობა საჭიროებს ტურისტულ აქტივობას, რაც მიღწევადია ჩიხური კავშირის ტრანზიტულ მარშრუტად გადაქცევით

<u>უბანი – მ</u>

ფუნქციური ზონა – რზ*

ძირითადი ფუნქცია (სახეობა) – ტყე-პარკი

დამხმარე დაშვებული სახეობები – ტყე-პარკის ფუნქციონირებისთვის აუცილებელი ობიექტები.

განმაპირობებელი ფაქტორები – ტყე-პარკის ფუნქციის შენარჩუნება ლოგიკურია, ხოლო მისი აქტივაცია დამოკიდებულია მომიჯნავე ფუნქციების (სასტუმროები, წყლის სპორტი) განვითარებაზე

<u>უბანი – ნ</u>

დომინირებული ფუნქციური ზონა – სრზ-2

ძირითადი ფუნქცია (სახეობა) – კოლხეთის ეროვნული პარკის ადმინისტრაცია და სასტუმრო

დამხმარე დაშვებული სახეობები – არსებული ადმინისტრაციის შენობა, არსებული სასტუმრო, არსებული მუზეუმი, ღია მუზეუმი, საკონფერენციო დარბაზი და ა.შ.

განმაპირობებელი ფაქტორები – არსებული ფუნქციის განვითარება პირდაპირპროპორციულია მალთაყვის სარეკრეაციო ზონის განვითარებასთან და შესაბამისად გათვალისწინებულია მისი გაფართოვება

<u>უბანი – ო</u>

დომინირებული ფუნქციური ზონა – ტზ-2

ძირითადი ფუნქცია (სახეობა) – მთავარი შესასვლელი და ჰაბი

დამხმარე დაშვებული სახეობები – სატრანსპორტო ჰაბი სასტუმროებისა და ეროვნული პარკის ადმინისტრაციისთვის

განმაპირობებელი ფაქტორები – ადგილმდებარეობა განისაზღვრა სატრანსპორტო მაგისტრალთან სიახლოვითა და ბუფერული ფუნქციით სასხოვრებელ დასახლებასა და საკურორტო სარეკრეაციო ზონებს შორის

<u>უბანი – პ</u>

დომინირებული ფუნქციური ზონა – სზ-3

ძირითადი ფუნქცია (სახეობა) – კერძო ნაკვეთები და საბავშვო ბაღი

დამხმარე დაშვებული სახეობები – სასხოვრებელი, კომერციული, საზოგადოებრივი შენობა-ნაგებობები.

განმაპირობებელი ფაქტორები – შენარჩუნებულია არსებული ფუნქციები

უბანი – ჟ

დომინირებული ფუნქციური ზონა – სზ-3

ძირითადი ფუნქცია (სახეობა) – საცხოვრებელი, კომერციული ობიექტები ბენზინგასამართი

დამხმარე დაშვებული სახეობები – სზ-3-ით დაშვებული სახეობები

განმაპირობებელი ფაქტორები – შენარჩუნებულია არსებული ფუნქციები, შესაძლებელია ავტოგასამართი სადგურის მოწყობა მაგისტრალთან სიახლოვისა და მესაკუთრის გათვალისწინებით.

უბანი – რ

დომინირებული ფუნქციური ზონა – სზ-5

ძირითადი ფუნქცია (სახეობა) – არსებული განაშენიანება

დამხმარე დაშვებული სახეობები – ი.გ.პ-თა საცხოვრებელი კომპლექსი

განმაპირობებელი ფაქტორები – შენარჩუნებულია არსებული განაშენიანება

უბანი – ს

დომინირებული ფუნქციური ზონა – სპეცზ

ძირითადი ფუნქცია (სახეობა) – სასაფლაო

დამხმარე დაშვებული სახეობები – არსებული სასაფლაო. შეუსაბამო ფუნქცია და ადგილმდებარეობა

განმაპირობებელი ფაქტორები – შეტარჩუნებულია არსებული ფუნქცია. აუცილებელია სასაფლაოს დახურვა და ეტაპობრივი ლიკვიდაცია

უბანი – ტ

დომინირებული ფუნქციური ზონა – სპეცზ

ძირითადი ფუნქცია (სახეობა) – სასწავლო და პროფესიული გადამზადების ობიექტები

დამხმარე დაშვებული სახეობები –საგანმანათლებლო ობიექტები, ტრეინინგ ცენტრი, სპორტსკოლა

განმაპირობებელი ფაქტორები – ბუფერული ზონა სასტუმროებსა და საცხოვრებელს შორის.საუკეთესო კავშირი საცხოვრებელ ზონასთან. პირდაპირი კავშირი პროფესიული გადამზადებისთვის (სპორტი, მომსახურება) სასტუმროებისა (08) და სპორტული ობიექტების სექტორებთან (09)

უბანი – უ

დომინირებული ფუნქციური ზონა – სპეცზ

ძირითადი ფუნქცია (სახეობა) – საპატრიარქოს რეზიდენცია

დამხმარე დაშვებული სახეობები – არსებული რეზიდენცია დახურული აზოთი

განმაპირობებელი ფაქტორები – შენარჩუნებულია არსებული განაშენიანება

უბანი – ფ

დომინირებული ფუნქციური ზონა – სზ-5, სზ-3.

ძირითადი ფუნქცია (სახეობა) – საპროექტო საცხოვრებელი დასახლება

დამხმარე დაშვებული სახეობები – დაბალი და საშუალო ინტენსიურობის საცხოვრებელი სახლები და კომერციული ობიექტები მაქს. 25%

განმაპირობებელი ფაქტორები – შენარჩუნებულია გენგეგმით განსაზღვრული ადგილმდებარეობა.

უბანი – ქ

დომინირებული ფუნქციური ზონა – სრზ-2

